კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ეკატერინე ლაღიძე

სამართლის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

პალერმოს კონვენციის იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შალვა კვინიხიძე, სამართლის დოქტორი,

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

თბილისი, საქართველო, 2024 წელი

განაცხადი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო ნაშრომის სტანდარტის შესაბამისად.

ეკატერინე ლაღიძე

31.05.2024წ.

სარჩევი

შესავალი 1

I თავი. პალერმოს კონვენციის მიზანი და თავისებურებები საქართველოს ჭრილში 11

1.1 პალერმოს კონვენციის შემუშავების ისტორია 11

1.2 პალერმოს კონვენციის ზოგიერთი ტერმინის განმარტება.....17

1.3 ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის განსაზღვრება 20

1.4 ორგანიზებული დანაშაულის განმარტებები საქართველოში 28

1.5 ორგანიზებული დანაშაულის ისტორია და განვითარება საქართველოში 31

1.6 ორგანიზებული დანაშულის მიმდინარე გამოწვევები საქართველოში..34

II თავი. პალერმოს კონვენციით კრიმინალიზებულ ქმედებათა სამართლებრივი ანალიზი 39

2.1 დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობის კრიმინალიზაცია.39

2.2 დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების) კრიმინალიზაცია 53

2.3 კორუფციის კრიმინალიზაცია 69

2.4 მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის კრიმინალიზაცია 84

III ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები 95

3.1. იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა 95

3.2 კონფისკაცია და ყადაღა, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევის ღონისძიება 106

IV თავი სასამართლო და იუსტიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობა პალერმოს კონვენციის მიხედვით 122

4.1. კონფისკაციის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობა და დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლების განკარგვა 122

4.2. ექსტრადიცია, დანაშაულის ჩამდენი პირის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა 129

4.3. მსჯავრდებულ პირთა გადაყვანა 140

4.4. სამართლებრივი ურთიერთდახმარება 144

4.5. ერთობლივი გამოძიება და სისხლის სამართალწარმოების გადაცემა 151

V თავი სამართალდამცავ (საპოლიციო) ორგანოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობა 155

5.1. სამართალდამცავ ორგანოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძვლები 155

5.2. საქართველოს თანამშრომლობა სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებთან 159

5.3. პერსონალური მონაცემების დაცვა საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში 162

5.4. გამოძიების სპეციალური მეთოდები და ნასამართლობის დადგენა .. 165

5.5. სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის სხვა სახეები 169

5.6. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ხასიათის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, გაცვლა, ანალიზი, კადრების მომზადება და ტექნიკური დახმარება 174

5.7. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილება 177

დასკვნა 181

ბიბლიოგრაფია 193

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებები:

1. აშ. - ასე შემდეგ;
2. ე.წ. - ეგრეთ წოდებული;
3. სსკ- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
4. სსსსკ - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
5. სსსკ - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
6. სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
7. CCPCJ-დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისია;
8. EUROPOL - სამართალდაცვითი თანამშრომლობის ევროკავშირის სააგენტო;
9. EPPCP - აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა (პროექტი);
10. FATF - ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი;
11. INTERPOL - კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
12. MONEYVAL – ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი;
13. SARPASCCO - სამხრეთ აფრიკის რეგიონალური პოლიციის მეთაურთა თანამშრომლობის ორგანიზაცია;
14. TOPCOP – სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (პროექტი).

ანოტაცია

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს თანამედროვეს მსოფლიოსთვის, რადგან იგი ხელყოფს საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს, სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკურ, სამართლებრივ განვითარებას, ხელს უშლის ადამიანების უსაფრთხოებას და სახელმწიფოს მიერ მართლწესრიგის დაცვას.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი ქვეყნისათვის სიახლეს არ წარმოადგენს, მაგრამ საქართველოსთვის ისევ გამოწვევად რჩება, ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულების, მათ შორის ფულის გათეთრების, „ქურდული სამყაროს წევრობისა“ და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. ჩემი ყურადღება, საკვლევ თემასთან დაკავშირებით, ამ დანაშაულების გამოვლენისა და აღკვეთის საკითხებში საქართველოს ახლებურმა მიდგომებმა და საერთაშორისო დონეზე აღებულმა ვალდებულებებმა მიიპყრო. შესაბამისად, ნაშრომი ეძღვნება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უნიკალური და გლობალური მნიშვნელობის დოკუმენტის, „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშულის წინააღმდეგ“[1] გაეროს კონვენციის იმპლემენტაციას ქართულ კანონმდებლობაში. მათ შორის, ნაშრომში განხილულია, პალერმოს კონვენციით კრიმინალიზებული ისეთი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულები, როგორიცაა: ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაული, უკანონო შემოსავლების ლეგალიზება, კორუფცია და მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა. შესაბამისად, ნაშრომში ერთმანეთს შედარებულია ქართული საკანონმდებლო აქტების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულების კრიმინალიზებას ემსახურება. ასევე ნაშრომში წარმოჩენილია

[1]შემდგომში „პალერმოს კონვენცია“, კონვენციის ტექსტი იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის როლი, როგორც საპოლიციო, ისე სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოებს შორის. დისერტაციაში განხილულია ყველა ის პრევენციული ღონისძიება, რასაც ქართულ კანონმდებლობასა და პალერმოს კონვენციაში ვხვდებით და რომლებიც მიმართულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების თავიდან აცილებისკენ.

საკვლევ თემაზე მუშაობისას აქცენტი გაკეთდა პალერმოს კონვენციის იმპლემენტაციის საკითხებზე, უშუალოდ კი, კონვენციასთან შეერთების შედეგად იმ საკანონმდებლო ცვლილებების განხილვასა და შეფასებაზე, რომელიც ეროვნულ კანონმდებლობაში განხორციელდა.

Annotation

Organized crime with its scale and impact has become a real threat to humanity. In the modern world, the fight against this crime is of great importance, since it violates the fundamental values of society, the socio-economic and legal development of states, hinders the security of people and the protection of the law by the state.

The fight against organized crime is not new for our country, but for Georgia it remains a difficult task to fight crimes committed by organized groups, including money laundering, "membership in the criminal world" and corruption. My attention to the research topic was attracted by Georgia's new approaches to detecting and suppressing these crimes and its obligations at the international level. Accordingly, the work is devoted to the implementation of the UN Convention on Combating Transnational Organized Crime "Against Transnational Organized Crime" in the legislation of Georgia. Among them, the document deals with transnational organized crimes criminalized by the Palermo Convention, such as: crimes committed by organized groups, legalization of illegal income, corruption and obstruction of justice. Accordingly, the paper compares the normative content of Georgian legislative acts that serve to criminalize the aforementioned crimes. The paper also presents the role of international cooperation in the fight against transnational organized crime, both between the police and between courts and justice authorities. The dissertation examines all the preventive measures that we find in Georgian legislation and the Palermo Convention and which are aimed at preventing transnational organized crime. The main attention in the work on the research topic was paid to Palermo.

შესავალი

თემის აქტუალურობა

ქვეყნების სწრაფ ტექნოლოგიურ განვითარებას თან სდევს ისეთი უარყოფითი მოვლენა, როგორიცაა დანაშაული. დროისა და ეპოქის ცვლილებასთან ერთად იცვლება დანაშაულის ფორმები და მათი ჩადენის ხერხები. თითქოს დანაშაულის ჩამდენი პირები ფეხს უწყობენ და ვითარდებიან დანარჩენ სამყაროსთან ერთად. გლობალიზაციის პროცესმა სახელმწიფოები უფრო მეტად დააახლოვა და მათ შორის არსებული ბარიერები მინიმუმამდე დაიყვანა. ვიზალიბერალიზაციის პროცესმა ჩვენი ქვეყანა ისე დაახლოვა ევროპას, როგორც არასდროს, არაერთი მოქალაქე ტოვებს საქართველოს ეკონომიკური თუ სხვა მიზეზით, პანდემიამ ადამიანები რეალური სივრციდან ვირტუალურში გადაიყვანა და უამრავ ადამიანს შეუცვალა ცხოვრების წესი. ჩამოთვლილი გლობალური მოვლენები აისახა არამარტო საქართველოზე, არამედ მსოფლიოზე. შედეგად, გაიზარდა ტრანსნაციონალური დანაშაულების რიცხვი, მათ შორის ორგანიზებული დანაშაულის, განსაკუთრებით კი, უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისა და ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულები. ადამიანები უკვე თავიანთი სახლიდან, კომპიუტერული ტექნოლოგიების დახმარებით, თაღლითური გზით ცდილობენ სხვადასხვა ქვეყნიდან და ოფშორული ზონების გამოყენებით უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას, ტელეფონების მეშვეობით ე.წ. „კანონიერი ქურდებთან“ საუბარს და ამ გზით თავიანთი პრობლემების მოგვარებას. გამარტივებულ კომუნიკაციას, ტექნოლოგიების დახვეწას და ქვეყნებს შორის გამარტივებულ მიმოსვლას - საერთაშორისო დანაშაულებში ჩართული პირები კარგად იყენებენ. შედეგად უფრო და უფრო აქტუალური გახდა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, რაც მაძლევს საშუალებას, გამოვთქვა ვარაუდი, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების

მზარდი ტენდენცია, მომავალშიც შენარჩუნდება და მეტად აქტუალური გახდება.

საკითხს აქტუალობას სძენს ის უარყოფითი შედეგები, რაც თან ახლავს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს. მისი უარყოფითი შედეგი აისახება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებზე. ასე მაგალითად, ფულის გათეთრება ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემოს შექმნას, ზრდის კორუფციის რისკს. კორუფცია კი ისეთი კატეგორიის დანაშაულია, რომელიც შეიძლება არსებობდეს ყველგან და ყველა სფეროში.

ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულები, განსაკუთრებით კი „ქურდულ სამყაროსთან“ ბრძოლა, აქტუალურია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ხოლო მომდევნო 10 წლის შემდეგ ეს საკითხი აქტუალური და პრობლემატური გახდა იმ ქვეყნებისთვის, სადაც „კანონიერი ქურდები“ თავს აფარებენ და ხელმძღვანელობენ ორგანიზებული ჯგუფების საქმიანობას.

ბრძოლა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ აქტიურ ფაზაში, სწორედ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შევიდა. საქართველოსთვის დღის წესრიგში დადგა სხვა სახელმწიფოებთან ერთდ ებრძოლა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, ამისთვის კი, აუცილებელი იყო შეერთებოდა კონვენციებს, დაედო საერთაშორისო ხელშეკრულებები. ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველომ 2006 წელს გადადგა, როდესაც შეუერთდა გაეროს კონვენციას „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“, ხოლო შემდგომი ნაბიჯი იყო კონვენციის იმპლემენტაცია და საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულება, კანონმდებლობის დახვეწა და ერთიანი ძალებით ბრძოლა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან. საინტერესო და მნიშვნელოვანია ის ცვლილებები, რაც დასახელებული მიზნებისთვის განხორციელდა ქართულ კანონმდებლობაში. სწორედ ამიტომ,

აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო როგორც საკითხით დაინტერესებული პირებისთვის, ისე სამეცნიერო წრეებისთვის შექმნილიყო ნაშრომი, რომელიც მოემსახურებოდა კონკრეტულად ისეთი უნიკალური და გლობალური მნიშვნელობის კონვენციის იმპლემენტაციის საკითხის შესწავლას ქართულ კანონმდებლობაში, როგორიც პალერმოს კონვენციაა. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ჯერ მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა, რაც კიდევ ერთხელ ზრდის მის აქტუალობას და მნიშვნელობას.

საბოლოოდ კი, ტრანსნაციონალურ ორგანიზებული დანაშაულები აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ, სამართლებრივ განვითარებას, უხეშად არღვევს ადამიანების უფლებებს, ძირითად თავისუფლებებს და საფრთხეს უქმნის ქვეყნის რეპუტაციას საერთაშორისო ასპარეზზე, რაც შეიძლება ქვეყნის ევროპული კურსისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს.

ვინაიდან, საკვლევი თემის მიზანი არის იმ მიდგომების და საკანონმდებლო ნორმების ანალიზი, რომელიც უშუალოდ მიზნად ისახავს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას და რომელიც უშუალოდ უკავშირდება პალერმოს კონვენციას. შესაბამისად, საკვლევ პრობლემად სწორედ ის საკანონმდებლო ცვლილებები უნდა მივიჩნიოთ, რაც პალერმოს კონვენციის იმპლემენტაციას უკავშირდება. მათ შორის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით არსებული ისეთი ტერმინები, როგორიცაა „კანონიერი ქურდი“, ან ისეთი ტერმინის არ არსებობა როგორიცაა „ორგანიზებული დანაშაული“. ორგანიზებული დანაშაულის საკანონმდებლო დონეზე განმარტება არ არსებობს, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც მწირია მისი განმარტების მცდელობა. დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშნელოვანია არსებობდეს ტერმინები და სწორად იქნას ისინი გამოყენებული. პრობლემატურია, კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მეთოდები, ბუნდოვანია კონფისკაციის და ყადაღის მარეგულირებელი ნორმები. ნაშრომი ემსახურება ამ და სხვა პრობლემების ანალიზს და მათ გადასაჭრელად შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

საკვლევი თემის **ჰიპოთეზა** მდგომარეობს შემდეგში, რომ პალერმოს კონვენციამ განსაკუთრებული როლი იქონია საქართველოს კანონმდებლობის იმ ნორმატიული აქტების შინაარსის ჩამოყალიბებაში, რომელიც ემსახურება ტრანსნაციონალურ ორგანიზებული დანაშულების წინააღმდეგ ბრძოლას.

კვლევის მიზნები და ამოცანები

საკვლევი თემის მიზანია, შეისწავლოს პალერმოს კონვენცია და მოახდინოს იმ ცვლილებების ანალიზი, რომელიც განხორციელდა კონვენციის იმპლემენტაციის შედეგად საქართველოს კანონმდებლობაში.

კვლევის მიზნის მისაღწევად უნდა შესრულდეს შემდეგი ამოცანები:

უნდა შევისწავლოთ ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებს, მათ შორის პრევენციული ღონისძიებებიც. ასევე უნდა შეფასდეს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საპოლიციო სისტემა და საერთაშორისო თანამშრომლობის როლი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

საკვლევი კითხვები

1. რამდენად შესაბამისობაშია ქართული საკანონმდებლო აქტები პალერმოს კონვენციასთან და ხომ არ იკვეთება რაიმე ისეთი საქართველოს ნორმატიულ აქტებში, რაც წინააღმდეგობაში მოვიდოდა პალერმოს კონვენციასთან?
2. რამდენად შესაბამისობაშია ჩვენი ქვეყენის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებთან და მეთოდებთან?
3. რა პრობლემები არსებობს საქართველოში ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით?

თემის შესწავლის მდგომარეობა

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნება არაერთი სამეცნიერო სტატია თუ ნაშრომი. საკვლევ თემაზე მუშაობისას ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენს დეივიდ მაკლეინის „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის გაეროს კონვენციის კომენტარები". წიგნში ავტორი აანალიზებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ხასიათს, კერძოდ, იკვლევს იმას, თუ როგორ ხორციელდება კონვენციის მუხლების იმპლემენტაცია. ავტორი საუბრობს ამ კონვენციის მნიშვნელობაზე და აღნიშნავს, რომ პალერმოს კონვენცია და მისი ორი დამატებითი ოქმი წარმოადგენს მნიშვნელოვან მოვლენას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და ტრანსნაციონალური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საუკეთესო ინსტრუმენტს.[2] კიდევ ერთი სახელმძღვანელო, რომელიც უშულოდ პალერმოს კონვენციის კომენტირებას ახდენს, გამოცემულია გაეროს ეგიდით, იგი არის საკანონმდებლო სახელმძღვანელო და ეძღვნება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშულის, პალერმოს კონვენციის იმპლემენტაციას და პროტოკოლს სხვადასხვა ქვეყნაში.[3] კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობისას მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია დარგის სპეციალისტმა მაურიციო ვარანეზმა, რომელმაც მოგვაწოდა არაერთი სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება პალერმოს კონვენციის და მისი ოქმების იმპლემენტირებას სხვადასხვა ქვეყნებში. მათგან აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მხარეთა

[2]David McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols, (Oxford University Press, 1 st 2007).

[3]Legislative guides for the implementation on the united nations conventions against transnational organized crime and the protocols thereto, (New York, 2004).

კონფერენციის შედეგების ამსახველი დოკუმენტი,[4] ასევე საკანონმდებლო გზამკვლევი პალერმოს კონვენციის იმპლემენტაციისთვის.[5]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს სახელმძღვანელო - „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინების კრიმინალიზაცია და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, (ავტორთა კოლექტივი). წიგნი ემსახურება ორგანიზებული დანაშულის ცნების, მისი კრიმინალიზაციისა და ამ დანაშაულის კანონშეფარდებითი პრაქტიკის ანალიზს. ნაშრომში შესწავლილია ორგანიზებული დანაშულის გამოვლენის კონკრეტული ფორმები და გაზიარებულია საერთაშორისო სისხლის სამართლის გამოცდილება, გამოვლენილია ტრეფიკინგის, ფულის გათეთრების, „ქურდული სამყაროს“ და „კანონიერი ქურდობის“ თავისებურებანი.[6]

მიუხედავად სამეცნიერო ლიტერატურის სიმცირისა, დისერტაციაზე მუშაობისას გამოვიყენე თითქმის ყველა ის საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული იყო საკვლევ თემასთან და აწესრიგებდა იმავე საკითხებს, რასაც განსახილველი პალერმოს კონვენცია. ვინაიდან, აუცილებელია პალერმოს კონვენცია შეფასდეს სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებთან ერთობლიობით, რაც იძლევა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მყარ გარანტიას.

კვლევაზე მუშაობისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა (საქართველოში არსებული კრიმინოგენული ვითარების ანალიზისას), იქონია კონკრეტული

---

[4]United Nations Conference of the Parties to the United Nations Convention against Transnational Organized Crime, 2008.

[5]Legislation guide for implementation of the United Nations Convention Against Transnational Organized Crime, (United Nations Office on Drugs and Crime, 2017) იხ. გაეროს ოფიციალურ საიტზე, https://www.unodc.org/documents/treaties/Legislative_Guide_2017/Legislative_Guide_E.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[6]გურამ ნაჭყებია., გიორი გორაშვილი და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში (თბილისი, 2012).

დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიებმა. ასეთია, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია. აღნიშნული სტრატეგია მოიცავს: „ქურდული სამყაროს“, ნარკოტრანზიტის, ნარკოვაჭრობის, კიბერდანაშაულის და კიბერმეთოდებით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ასპექტებს.[7]

აღნიშნული სტრატეგიდან, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენთვის საყურადღებო იყო ორგანიზებული დანაშაულის ყველაზე გავრცელებული ფორმა „ქურდული სამყარო“ და მასთან ბრძოლა. შესაბამისად, ნაშრომში საუბარია აღნიშნულ ფენომენზე და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, “ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია”. ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების, როგორც ტრანსნაციონალური დანაშაულების, წინააღმდეგ ბრძოლა და მათი პრევენცია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.[8]

ნაშრომში პრობლემატური საკითხების გადასაწყვეტად განხილულია არაერთი სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული, ისე საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა.

კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია

თემაზე მუშაობისას კვლევას ვაწარმოებთ თეორიულ მასალასა და სტატისტიკაზე დაყრდნობით – ეს იქნება სამეცნიერო სტატიები, სამეცნიერო სახელმძღვანელოები და ნორმატიული ბაზა, რომელიც დაგვეხმარება გამოვიტანოთ დასკვნები. კვლევისას უშუალოდ გამოვიყენებთ შედარებით – სამართლებრივ, ისტორიულ და ანალიტიკურ მეთოდებს. ნაშრომში, ასევე,

[7] ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[8] ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2284180?publication=3, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

გამოყენებული იქნება მეცნიერული კვლევის ისეთი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება, როგორც ემპირიულ, ისე თეორიულ დონეზე. კერძოდ: დოკუმენტური, ანალიზის, ინდუქციის და დედუქციის მეთოდები. სხვადასხვა პრობლემური საკითხის ანალიზისას გამოვიყენებთ კრიტიკული ანალიზის მეთოდს. გამოყენებული მეთოდების აუცილებლობა განპირობებულია ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე ვინაიდან, ის ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო კონვენციის ანალიზს და ახდენს მათ შედარებას. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სამეცნიერო საზოგადოებამ და კონკრეტული თემით დაინტერესებულმა მკითხველმა შეძლოს საკითხების გაგება და სწორად აღქმა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის შედეგები საინტერესო და პრაქტიკულად გამოსადეგი იქნება. საკვლევ თემაში მოყვანილი საკითხები საკმაოდ აქტუალურია და არ არის სიღრმისეულად შესწავლილი. ნაშრომში თავმოყრილია ოთხი სხვადასხვა დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემა, მათი საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება და მოცემულია საერთაშორისო თანამშრომლობის ყველა ის ფორმა, რასაც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის გამოძიებას და პრევენცია გულისხმობს, ასევე სასამართლოს, იუსტიციის ორგანოებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის სახეები. ნაშრომში საკითხების ამგვარი თავმოყრა და ასეთი ფორმით ჩამოყალიბება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას შესძენს კიდევ ერთ ნაშრომს, რომელიც აერთიანებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თემას. შესაძლოა, მისი გამოყენება მოხდეს სალექციო კურსის ფარგლებშიც, ვინაიდან, როგორც აღვნიშნე, კვლევა ეხება ყველა იმ ასპექტს, მექანიზმს, პრევენციულ ღონისძიებას, საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმებს, რაც უკავშირდება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში შეიქმნება მონოგრაფია, რომელიც უშუალოდ მოახდენს პალერმოს კონვენციის ანალიზს და აღწერს იმ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც მისი იმპლემენტაციის შედეგად განხორციელდა. ვინაიდან, საერთაშორისო სამართლებრივი აქტების იმპლემენტირების საკითხის შესწავლას ეროვნული კანონმდებლობის განვითარებასა და დახვეწაში განსაკუთრებული როლი ენიჭება. იმდენად, რამდენადაც აქტუალურია ჩვენი ქვეყნისთვის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, ამდენადვე მნიშვნელოვანია ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებობდეს მონოგრაფია, რომელიც შეისწავლის კონკრეტული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ფორმებს, მათი პრევენციის საკითხებს და საერთაშორისო თანამშრომლობის როლს ამ დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად. შედეგად, წინამდებარე ნაშრომი საინტერესო და პრაქტიკულად გამოსადეგი იქნება, ვინაიდან საკვლევ თემაში მოყვანილი საკითხები აქტუალურია და სიღრმისეულად არ იყო შესწავლილი. აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი ხასიათის კვლევა, რაც გულისხმობს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ტრანსფორმაციას შიდა კანონმდებლობაში, ჯერ არ ჩატარებულა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას. შესაძლოა, ნაშრომი საქართველოს მაგალითზე იმპლემენტაციის კუთხით სხვა ქვეყნებისთვის და დარგის სპეციალისტებისთვის სასარგებლო იყოს თავისი სპეციფიკით და თავისებურებებით.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავალის, ხუთი თავის, ოცდაოთხი ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან.

დისერტაციის პირველ თავი ეხება პალერმოს კონვენციის მიზანს და თავისებურებებს საქართველოს ჭრილში. პირველი თავის ქვეთავებში მიმოხილულია პალერმოს კონვენციის შემუშავების ისტორია, განმარტებულია

პალერმოს კონვენციის ზოგიერთი ტერმინი, მათ შორის მოცემულია ორგანიზებული დანაშაულის განმარტებაც.

ნაშრომის მეორე თავში მოცემულია პალერმოს კონვენციით კრიმინალიზებულ ქმედებათა სამართლებრივი ანალიზი.

მესამე თავი, კი უშუალოდ შეეხება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს, მათ შორის: იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხს, კონფისკაციას და ყადაღას, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევის ღონისძიებას.

დისერტაციის მეოთხე და მეხუთე თავში წარმოჩენილია საერთაშორისო თანამშრომლობის როლი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორც სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოებს შორის ისე საპოლიციო თანამშრომლობის. უფრო კონკრეტულად კი, მეოთხე თავში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა კონფისკაციის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობა, ექსტრადიცია, მსჯავრდებულ პირთა გადაყვანა, სამართლებრივი ურთიერთდახმარება და ერთობლივი გამოძიება.

მეხუთე თავში საუბარია სამართალდამცავ ორგანოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობაზე, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ. დისერტაციის ბოლო თავში ასევე საუბარია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილებას და პრევენციაზე. დასკვნაში კი შეჯამებულია ყველა ზემოაღნიშნული საკითხი, გამოკვეთილია ხარვეზები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

I თავი. პალერმოს კონვენციის მიზანი და თავისებურებები საქართველოს ჭრილში

1.1 პალერმოს კონვენციის შემუშავების ისტორია

პალერმოს კონვენცია იგივე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიღებულ იქნა 2000 წლის 15 ნოემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 55/25 რეზოლუციის საფუძველზე. კონვენციის მიზანია, ხელი შეუწყოს თანამშრომლობას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის უფრო ეფექტურად თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.[9]

პალერმოს კონვენცია საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით უნიკალური და გლობალური მნიშვნელობის სამართლებრივი დოკუმენტია. ის მოიცავს რეკეტისა და ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებს და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა დანაშაულის კრიმინალიზებას ემსახურება. პალერმოს კონვენცია ხანგრძლივი, შრომატევადი შეხვედრებისა და მსჯელობის შედეგად ჩამოყალიბდა, შედეგად განისაზღვრა მისი ძირითადი დებულებები.

საინტერესო იქნება განვიხილოთ მისი შემუშავების ისტორია და ასევე, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს გაეროს როლი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, განსაკუთრებით კი განსახილველ კონვენციასთან მიმართებით.

მიუხედავად იმისა, რომ გაერო არ არის საერთაშორისო სამართალდაცვითი ორგანიზაცია, მისი მიზანია საერთაშორისო მშვიდობის, უსაფრთხოების შენარჩუნება, ის ასევე ხელს უწყობს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას, ადამიანის უფლებების დაცვას და ამ მხრივ საერთაშორისო კანონმდებლობის განვითარებას. მნიშვნელოვანია, გავყვეთ

[9]კონვენციის ტექსტი იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

მოვლენათა ციკლს, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა პალერმოს კონვენციის მიღებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პალერმოს კონვენცია მიღებულ იქნა გაეროს ეგიდით 2000 წელს, ხოლო მისი შემუშავება უკავშირდება 1992 წელს დაფუძნებულ დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიას - CCPCJ, რომელიც მოქმედებდა, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანო დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში.[10] იმ დროს, აღნიშნული კომისია წევრ ქვეყნებს სთავაზობდა გამოცდილების გაზიარებას და ინფორმაციის გაცვლას, რომლის მიზანი იყო შეექმნათ ეროვნული და საერთაშორისო სტრატეგიები და დაედგინათ კრიმინალთან ბრძოლის პრიორიტეტები.[11] CCPCJ-ის მანდატები და პრიორიტეტები განსაზღვრულია 1992/22 გაეროს რეზოლუციით,[12] რომელიც მოიცავს საერთაშორისო ქმედებების გაუმჯობესებას, ეროვნული და ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.[13]

CCPCJ კომისიის ეგიდით, პირველად 1994 წელს ქ. ნეაპოლში მოიწვიეს მინისტერიალი (კონფერენცია), რომელიც ეხებოდა „ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს“. აღნიშნულ პერიოდში არსებობდა საჭიროება შექმნილიყო ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც დაეხმარებოდა სახელმწიფოებს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან საბრძოლველად. კონფერენციის საბოლოო შედეგად, კი მიღებულ იქნა დეკლარაცია

[10] The Commission on Crime Prevention and Criminal Justice, დამატებით იხ. გაეროს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://www.unodc.org/ (ბოლოს ნანახია, 12/05/20223).
[11] Ibid.
[12] Ibid.
[13] Ibid.

„ორგანიზებულ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და მისი გლობალური სამოქმედო გეგმა.[14]

კონფერენციაზე მიღებული ნეაპოლის დეკლარაცია განსაზღვრავდა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის 6 შემადგენელ ელემენტს:

1. დანაშაული ჩადენილი უნდა ყოფილიყო ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

2. ჯგუფის წევრებს შორის იერარქიული კავშირი ან პირადი ურთიერთობები, რითაც ხდება დანაშაულებრივი ჯგუფის კონტროლი;

3. დანაშაულის ჩადენის სხვადასხვა ხერხი, მათ შორის: ძალადობა, იძულება და კორუფცია;

4. უკანონო შემოსავლები ლეგალიზება და ლეგალურ ეკონომიკაში შეღწევის მიზანი;

5. ნებისმიერი ახალი საქმიანობის გაფართოვება ქვეყნის საზღვრებს მიღმა;

6. თანამშრომლობა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე ჯგუფებთან.[15]

აღსანიშნავია ისიც, რომ დეკლარაცია „ორგანიზებულ ტრანსნაციონალურ დანაშაულზე“ და მისი გლობალური სამოქმედო გეგმა არ მოითხოვდა გლობალური კონვენციის შემუშავებას, ის მოუწოდებდა ქვეყნებს, ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთდახმარების და განვითარებისკენ, ასევე მიუთითებდა რეგიონალური თანამშრომლობის აუცილებლობაზე.[16] ნეაპოლის დეკლარაცია „ორგანიზებულ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან

---

[14]Naples Political Declaration and Global Action Plan against Organized Transnational Crime, დეკლარაცის და მისი სამოქმედო გეგმის ტექსტი იხ. გაეროს ოფიციალურ გვერდზე https://digitallibrary.un.org,(ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[15]Ibid.
[16]Ibid.

ბრძოლის შესახებ“ და მისი გლობალური სამოქმედო გეგმა შემდგომში დამტკიცდა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1995 წელს.[17]

ნეაპოლის დეკლარაციისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, შემდგომი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო 1995 წელს ქ. ბუენოს აირესში ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების სამუშაო შეხვედრა, რომელმაც შემდგომი პალერმოს კონვენციის ძირითადი საკითხები განსაზღვრა (სამართალდაცვითი, საპოლიციო და სასამართლო თანამშრომლობა, ტექნიკური დახმარება, სამართლებრივი ურთიერთდახმარება და ა.შ.).[18] ამ შეხვედრის შემდეგ უკვე არსებობდა ის ძირითადი მიმართულებები, რაც კონვენციას უნდა მოეცვა. ასეთივე მნიშვნელობის იყო მომდევნო შეხვედრა, რომელიც გაიმართა 1996 წელს, სადაც განიხილეს ბუენოს-აირესის მოხსენება და ასევე, მოხსენება ნეაპოლის დეკლარაციის იმპლემენტაციაზე. შეხვედრაზე მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენდა: ქვეყნების კანონმდებლობის სისუსტეები, სამართალდამცავი სისტემა, ექსტრადიციები, სამართალდამცავთა ტრეინინგები და სამართლებრივი ურთიერთდახმარება.[19]

მიუხედავად არაერთი შეხვედრისა, საჭირო იყო სახელმწიფოების აქტიურობა შეემუშავებინათ კონვენციაში ჩასადები ძირითადი საკითხები. სწორედ ამიტომ, 1996 წელს გაეროს გენ. მდივანმა სახელმწიფოებს დაუგზავნა კითხვარი კონვენციის შემუშავებაზე. კითხვარს 20 სახელმწიფო გამოეხმაურა, რომელთა უმრავლესობამ თანხმობა განაცხადა კონვენციის შემუშავებაზე.[20] პოლონეთმა კი წარადგინა საკუთარი წინადადება და ორგანიზებულ

[17]Naples Political Declaration and Global Action Plan against Organized Transnational Crime, დეკლარაცია და მისი სამოქმედო გეგმა იხ. გაეროს ოფიციალურ გვერდზე https://digitallibrary.un.org, (ბოლოს ნანახია 12.05.2023).

[18] McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols, 2007, 4-5.

[19] Ibid

[20] Ibid.

დანაშაულთან ბრძოლის კონვენციის ტექსტი, რომელმაც საბოლოოდ დიდი წვლილი შეიტანა პალერმოს კონვენციის ტექსტის ჩამოყალიბებაში.[21]

შემდეგი ეტაპი, რომელიც პალერმოს კონვენციაზე შექმნას უკავშირდება, არის 1997 წელს გამართული CCPCJ-ის და ჯოვანი ფალკონეს საზოგადოების ერთობლივი სხდომა, რომელზეც განიხილეს ორგანიზებული დანაშაულის განსაზღვრება. მსჯელობისას გამოიყო განსაზღვრების ორი ასპექტი:

1. განსაზღვრება უნდა შეიცავდეს სპეციალურ მახასიათებლებს, რომლებიც გამოარჩევენ მას, როგორც განსაკუთრებულად საშიშ დანაშაულს;

2. უნდა შეიცავდეს კრიმინალური საქმიანობის სახეებს.[22]

ეს სახეები შეიძლება ყოფილიყო: თაღლითობა, ფულის გათეთრება, გამოძალვა, მევახშეობა, გატაცება, კომპიუტერული დანაშაულებები, ტრეფიკინგი, მკვლელობა და მიგრანტთა ტრეფიკინგი, რაც ყველაზე მთავარია, კონვენციის ტექსტს არ უნდა დაეფარა ტერორიზმის საკითხები.[23]

შეხვედრების ციკლი მომდევნო წლებშიც გაგრძელდა, კერძოდ, 1998-1999 წლებში გაიმართა CCPCJ-ის რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, ასევე ამავე წლებში გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ შეიქმნა Ad hoc ჯგუფი კონვენციის ტექსტის შესაჯერებლად.[24] საბოლოოდ კი 2000 წლის 15 ნოემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 55/25 რეზოლუციის საფუძველზე დამტკიცებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“.[25]

კონვენცია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტია. ის სამი

[21] McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols, 2007, 8.
[22] Ibid.
[23] Ibid.
[24] Ibid.
[25] Ibid, 9.

ოქმისგან შედგება და მიზნად ისახავს ორგანიზებული დანაშაულების სხვადასხვა გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლას. პალერმოს კონვენციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მისი სამი დამატებით ოქმი, ესენია:

ოქმი „ადამიანთა, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების მიმართ ტრეფიკინგის პრევენციის, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“[26];

ოქმი „მიგრანტთა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებებით უკანონოდ გადაყვანის აღკვეთის შესახებ“[27];

ოქმი „იარაღის უკანონო წარმოებისა და იარაღით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.[28]

ჩამოთვლილი სამი ოქმიდან, საქართველო მხოლოდ კონვენციის პირველი და მეორე დამატებითი ოქმის მონაწილეა. ხოლო კონვენცია საქართველოს მიერ ხელმოწერილ იქნა 2000 წლის 13 დეკემბერს, მისი რატიფიცირება კი მოხდა 2006 წლის 07 ივნისს.[29]

კონვენციის შემუშავება მნიშვნელოვანი და შრომატევადი შეხვედრების შედეგია, რომლის ნორმები გლობალურად გახდა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სისხლისსამართლებრივი პოლიტიკისა და დანაშაულთან ბრძოლის მეთოდების განმსაზღვრელი.

---

[26]ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და სასჯელთა დადგენის შესახებ, ტექსტი იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1394035?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[27]ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის ოქმი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის აღკვეთის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1209390?publication=0, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[28]Protocol against the Illicit Manufacturing of and Trafficking in Firearms, Their Parts and Components and Ammunition, supplementing the United Nations Convention against Transnational Organized Crime, იხ. გაეროს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://treaties.un.org/, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[29] პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

1.2 პალერმოს კონვენციის ზოგიერთი ტერმინის განმარტება

ტერმინების განმარტებას და მის სწორად აღქმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, არა მარტო კონვენციის ტექსტის სწორად გაგებისთვის, არამედ დანაშაულებრივი ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კონვენციაში სხვადასხვა ტერმინის განმარტება. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში რენე დეკარტი წერდა „დააზუსტეთ სიტყვების მნიშვნელობა და კაცობრიობას ცდომილებათა ნახევრისგან გაათავისუფლებთ“.[30]

აღსანიშნავია, რომ პალერმოს კონვენციაში „ორგანიზებული დანაშაული“ განმარტებული არ არის, მაგრამ მასში განმარტებულია ისეთი ტერმინები, როგორიცაა „დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი“, „მძიმე დანაშაული, „სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფი“, „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალი“, და სხვა.[31] ტერმინების განმარტება ემსახურება დაეხმაროს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების შემადგენლობის განსაზღვრაში.

კონვენციის მიზნებისთვის **„დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი“** ნიშნავს „ერთი ან რამდენიმე მძიმე დანაშაულის ან ამ კონვენციის შესაბამისად ასეთად მიჩნეული დანაშაულის ჩადენის მიზნით დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულ და შეთანხმებულად მოქმედი სტრუქტურული ფორმის მქონე, სამი ან მეტი პირისაგან შემდგარ ჯგუფს, რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღოს ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებელი“.[32] მსგავსი შინაარსის ჩანაწერს ვხვდებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მეორე ნაწილში. ამ მუხლის მიზნებისთვის, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა,

---

[30] დამატებით იხ. https://iep.utm.edu/rene-descartes/, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[31] პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[32] იქვე.

სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.[33] იგულისხმება, რომ ორგანიზებული ჯგუფი შექმნილია წინასწარ, აქვს თავისი მიზანი - ფინანსური ან სხვა სარგებლის მიღება.

საინტერესოა, ორგანიზებულ ჯგუფებში შემავალ პირთა რაოდენობა, სსკ-ის მიხედვით, ორგანიზებული ჯგუფში უნდა შედიოდეს ორი ან მეტი პირი, ხოლო კონვენციაში ასეთად მიჩნეულია სამი ან მეტი პირი. გამოდის, რომ თუ ორი პირი წინასწარ შეთანხმებით, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით ჩაიდენს დანაშაულს, ის სცდება კონვენციის მოქმედების სფეროს, მაგრამ შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ კონვენციის მიზნებისთვის საჭიროა უფრო დიდი ჯგუფების არსებობა.

ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფს უნდა ჰქონდეს სტრუქტურული ჯგუფის ფორმა, რაც გულისხმობს ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილებას და შესაძლო იერარქიას ჯგუფის წევრებს შორის. ასევე, ორგანიზებული ჯგუფი უნდა არსებობდეს გარკვეული დროის განმავლობაში, ჯგუფის ყველა წევრი უნდა იყოს ჩართული დანაშაულებრივ საქმიანობაში, ასევე იყოს ინფორმირებული დანაშაულის შესაძლო ჩადენაზე და, რაც მთავარია, წევრთა საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს ერთ დანაშაულს. რაც შეეხება ჯგუფის წევრთა მოტივაციას, ეს ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღება უნდა იყოს.

მომდევნო ტერმინი, რომელიც კონვენციაშია განმარტებული, არის **„მძიმე დანაშაული“,** რაც ნიშნავს დანაშაულს, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადით, არანაკლებ ოთხი წლისა ან სასჯელის უფრო

[33]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ. გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=248 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

მკაცრი ზომით.[34] აღსანიშნავია ისიც, რომ პალერმოს კონვენციაზე მომუშავე ექსპერტები თავისუფლების აღკვეთის ვადაზე მხოლოდ მე-17 შეხვედრაზე შეთანხმდნენ.[35] რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის მიხედვით, კი მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.[36] საქართველოს სსკ-გან განსხვავებით, კონვენციის მიზნებისთვის მძიმე დანაშულისთვის თავისუფლების აღკვეთის ზედა ზღვარი დადგენილი არ არის, მთავარია დანაშაული ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას 4 წელით ან მეტ ვადას, რათა ქმედება მძიმე დანაშაულად დაკვალიფიცირდეს.

მნიშვნელოვანი განსაზღვრებაა „**სტრუქტურული ჯგუფი**“, რაც ნიშნავს ჯგუფს, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის. წევრობას უნდა ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა.[37] სტრუქტურულ ჯგუფში აუცილებელი არის ფორმალურად როლების განაწილება და წევრობის უწყვეტი ხასიათი, მთავარი „მაკვალიფიცირებელი“ ნიშანი არის რომ ეს ჯგუფი იყოს წინასწარ შექმნილი. აღსანიშნავია ისიც, რომ სსკ-ის 27-ე მუხლში მოცემული განმარტება სტრუქტურული ჯგუფის შესახებ პალერმოს კონვენციაში მოცემული განმარტების ანალოგია.

---

[34]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[35]McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols, 2007, 2.

[36]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ. გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=248 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[37]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

პალერმოს კონვენციაში, ასევე განმარტებულია ისეთი ტერმინები, როგორიცაა: დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალი, **პრედიკატული დანაშაული,** კონფისკაცია, ყადაღა, ამოღება და სხვა, რომელთა განხილვას დეტალურად აქ არ შევუდგებით და მათზე უშუალოდ მომდევნო თავებსა თუ ქვეთავებში ვისაუბრებთ. რაც შეეხება **პრედიკატულ დანაშაულს,** მასში მოიაზრებენ ნებისმიერ დანაშაულს, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა უკანონო შემოსავალი,[38] და უკავშირდება კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, კონკრეტულად კი, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების) კრიმინალიზებას ახდენს.

აღსანიშნავია, რომ პალერმოს კონვენციით განმარტებული ტერმინების ძირითადი ნაწილი საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული ტერმინების ანალოგია. ტერმინების სწორი აღქმა და მათი ამ სახით ჩამოყალიბება, მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონვენციის იმპლემენტაციის საქმეში.

1.3 ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის განსაზღვრება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორგანიზებული დანაშაულის განმარტებას არ ვხვდებით პალერმოს კონვენციაში, ასევე არც ერთ სხვა საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა საკანონმდებლო აქტებში. აღნიშნული განპირობებულია მისი ხასიათიდან გამომდინარე, რადგან ორგანიზებული დანაშაული ფართო ცნებაა და თავის თავში უამრავ დანაშაულის შემადგენლობას შეიძლება მოიცავდეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტერმინების განმარტება მნიშნელოვანია დანაშაულთა კვალიფიკაციისთვის, მაგრამ შესაძლოა ყველა ტერმინის საკანონმდებლო დონეზე განმარტებამ პრაქტიკოსი იურისტები და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ჩიხში შეიყვანოს. მაგრამ,

[38]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია იურიდიულ ლიტერატურაში არსებობდეს ორგანიზებული დანაშაულის მეტნაკლებად სრულყოფილი განმარტება. იმისათვის, რომ თეორიულ დონეზე შევძლოთ ორგანიზებული დანაშაულის განმარტება, საჭიროა განვსაზღვროთ მისი მახასიათებელი ნიშნები: მიზანი, მოტივი, სტრუქტურა და სხვა.

ორგანიზებული დანაშაულის განმარტების არაერთი მცდელობა არსებობს და ასევე არაერთ სამეცნიერო შეხვედრებსა თუ კონფერენციებზე იყო მსჯელობა მოცემულ საკითხზე.[39] მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ორგანიზებული დანაშაულის ერთიანი ცნება, პრაქტიკაში ეს არ ქმნის კვალიფიკაციის პრობლემას. მაგალითად, ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ,[40] მოიცავს ხელშეკრულების განმარტების საერთო წესს, რომლის მიხედვით, ხელშეკრულების განმარტებისას კონტექსტთან ერთად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ხელშეკრულების გამოყენების ნებისმიერი შემდგომი პრაქტიკა, რომელიც აფუძნებს მხარეთა შეთანხმებას მისი განმარტების შესახებ.[41] ჩვენს შემთხვევაში შესაძლებელია გამოვიყენოთ შემდგომი პრაქტიკა და მეცნიერთა მოსაზრებები, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის განმარტებას უკავშირდება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ორგანიზებული დანაშაულის ჩვენეული განმარტება მნიშვნელოვანია კვლევის მიზნებისთვის და ასევე, ეს იქნება კიდევ ერთი მცდელობა ორგანიზებული დანაშაულის განმარტების.

---

[39]იურიდიულ ლიტერატურაში ორგანიზებული დანაშაულის განმარტებას ვხვდებით დავით მესხიშვილის დისერტაციაში და ავტორთა კოლექტივის სახელმძღვანელოში. იხ. სქოლიო 53 და 54.

[40]ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, კონვენციის ტექსტი იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2608263?publication=0, (ბოლოს ნანახია 12/05/203).

[41]იქვე.

სიტყვა „ორგანიზება“ წარმოიშვა ბერძნული და ფრანგული სიტყვებისგან და ინსტრუმენტს, იარაღს, მოწესრიგებას, დაგეგმვას, გაერთიანებას ნიშნავს.[42] ტერმინი „ორგანიზებული დანაშაული“ პირველად 1919 წელს აშშ–ში, ჩიკაგოში, იქნა გამოყენებული“.[43] როგორც აღვნიშნეთ, ორგანიზებული დანაშაულის განმარტების შესახებ არაერთი მეცნიერის მოსაზრება არსებობს, ხოლო ბოლო რამდენიმე ათწლეულია იგი წარმოადგენს მეცნიერთა კვლევის საგანს. ამერიკელი მეცნიერის ალბინის აზრით, ორგანიზებული დანაშაულის არსის განსაზღვრისას სირთულეს წარმოდგენს ტერმინ „ორგანიზებულის“ განმარტება.[44] აქ ურთიერთქმედება საკვანძო ცნებაა: პირთა უბრალო გაერთიანება, რომლებიც ახორციელებენ დანაშაულებრივ ქმედებას ერთმანეთის დახმარებით, თავისთავად არ წარმოადგენს ორგანიზებულ აქტს.[45] მაშასადამე, ორგანიზაცია არის ძირითადი განმასხვავებელი ელემენტი ორგანიზებულ და სხვა სახის დანაშაულს შორის. ფართო გაგებით, ორგანიზებული დანაშაული არის ნებისმიერი კრიმინალური აქტივობა, რომელშიც მონაწილეობს ორი ან მეტი ადამიანი, სპეციალიზებული ან არასპეციალიზებული, აქვს ჯგუფისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა და ჰყავს ლიდერი[46]. ეს არის, ალბანის აზრით, ორგანიზებული დანაშაულის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები.

უფრო კონკრეტული დეფინიციაა ფინკაუერისა და ვორონინისეული განმარტება, კერძოდ, ორგანიზებული დანაშაული არის დანაშაული, რომელიც ჩადენილია კრიმინალური ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც ახასიათებს დროში და დანაშაულში უწყვეტობა, იყენებენ სისტემატურ ძალადობასა და

---

[42]დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის საფუძვლები პრაქტიკული სახელმძღვანელო სპეციალისტებისა და პროფესიული სწავლებისათვის, (თბილისი: ინტერნეშენელ ჯენერალ სერვისი, 2021), https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/dec/books/aliashvili-danashauli-prevencia.pdf (ბოლოს ნანახია 10/04/2023), 30.

[43] მორის შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, (თბილისი: მესამე გამოცემა, მერიდიანი, 2017),75.

[44] Joseph Albini , The American Mafia: Genesis of a Legend. (New York: 1971), 35.

[45] Ibid.

[46] Ibid.

კორუფციას თავიანთი კრიმინალური საქმიანობის გასაადვილებლად.[47] ამ კრიმინალურ ორგანიზაციებს აქვთ ეკონომიკური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ზიანის მიყენების განსხვავებული შესაძლებლობები. რაც უფრო დიდია ზიანის მიყენების უნარი, მით უფრო დიდ საფრთხეს უქმნიან საზოგადოებას.[48] აღნიშნულ მსჯელობაში იკვეთება ორგანიზებული დანაშაულის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, როგორიცაა, ჯგუფის სტრუქტურა და დანაშაულის ჩადენის ხერხები.

იმისათვის, რომ უფრო მკაფიო გახდეს ორგანიზებული დანაშაულის განმარტება, უმჯობესია განვიხილოთ, აბადინსკის მიერ ჩამოყალიბებული 8 ნიშანი, რომელიც, მისი აზრით, ორგანიზებული დანაშაულისთვის არის დამახასიათებელი:

1. არ გააჩნია პოლიტიკური მიზნები;

2. არის იერარქიული;

3. აქვს შეზღუდული ან ექსკლუზიური წევრობა;

4. აქვს უნიკალური სუბკულტურა;

5. დროში განგრძობადობა;

6. იყენებს ძალადობას;

7. არის მონოპოლისტი;

8. იმართება მკაფიო წესებითა და რეგულაციებით.[49]

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი. ორგანიზებულ დანაშაულს **არ აქვს პოლიტიკური მიზნები,** ნიშნავს, რომ ის არ არის იდეოლოგიზებული,

---

[47] James Finckenauer, Yuri Voronin, The Threat of Russian Organized Crime, (Washington DC: National Institute of Justice, 2001),2.
[48] Ibid.
[49] Howard Abadinsky, Law and Justice: An Introduction to the American Legal System, 6th ed, (Upper Saddle River, NJ: Pearson, 2008), 404.

არ არის ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ორგანიზებული დანაშაული ასუსტებს სახელმწიფოებს, აფერხებს და აკნინებს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობას, მაგრამ, ტერორისტული ორგანიზაციებისგან განსხვავებით, მათი მიზანი სახელმწიფოს დასუსტება, წეს-წყობილების შეცვლა ან მთავრობის დამხობა არ არის, არამედ პირადი მოგების მიღების მიზანი აქვს.

იერარქიულობაში იგულისხმება ჯგუფის წევრებს შორის ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება. ჯგუფს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იძლევა განკარგულებას და ქვემდგომნი ასრულებენ. იერარქიულობის კარგი მაგალითია ე.წ „კანონიერი ქურდები“. მანამ, სანამ კანონიერი ქურდობის, როგორც იდეოლოგიის კრიმინალიზება არ მოხდებოდა, მანამდე პასუხისგებაში ამ დანაშაულის გამო მიცემული არავინ ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ 90-იან წლებში დააკავეს ერთ-ერთი „კანონიერი ქურდი“ ქურდობის ფაქტზე და ეს იყო ერთდერთი შემთხვევა, როცა კანონიერი ქურდმა სხვას, იერარქიულად მის ქვემდგომს არ დაავალა კონკრეტული ამოცანის შესრულება.[50]

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები შეიძლება შედგებოდეს დანაშაულებრივი ოჯახებისგან, კრიმინალური ქსელებისგან, ბანდისგან. ჯგუფის წევრები ერთიანდებიან რასობრივი და ეთნიკური ნიშნით.[51] გილბერტ ჯეიმსის აზრით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი შეიძლება იყოს პატარა, მაგრამ ჯგუფის წევრები ჩართული უნდა იყვნენ უკანონო ქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ნამდვილი ორგანიზებული ჯგუფი მისი წევრებისგან მოითხოვს მუდმივ წევრობას, მაგრამ ასევე შესაძლებელია ჯგუფის საქმიანობაში ჩაერთოს სხვა არაწევრი პირებიც. [52]

---

[50] გივი ლობჟანიძის ნარატივი, ლექციათა კურსი ორგანიზებული დანაშაულის შესახებ, 2020.
[51] Finckenauer James, Problems of Definition: What is Organized Crime?, Trends in Organized Crime, (2005). 63-83.
[52]James Gilbert, Criminal Investigation, (Upper Saddle River, NJ: Pearson PrenticeHall,(2007), 418.

რაც შეეხება, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისთვის დამახასიათებლ **სუბკულტურას,** მასში მოიაზრება, ორგანიზაციაში გაწევრიანებული დამნაშავეების ცხოვრების წესი, ქცევის ნორმები, წეს-ჩვეულებები. კრიმინალური ჯგუფებისთვის დამახასიათებელია ჯგუფის დადგენილი წესების განუხრელი შესრულება, ჯგუფის წევრი, რომელიც გადაუხვევს ტრადიციულ ნორმებს ისჯება მკაცრად.[53]

ორგანიზებული დანაშაულის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია მისი **დროში განგრძობადობა,** რაც გულისხმობს ამგვარი ორგანიზებული ჯგუფის მუდმივ არსებობას, მისი რომელიმე წევრის ახლით ჩანაცვლებას. აღსანიშნავია ისიც, რომ კრიმინალური ორგანიზაციის დროში განგრძობადობა დამოკიდებულია მასში გაწევრების მსურველთა რაოდენობაზე, რომელთა რიცხვი მზარდი უნდა იყოს, რათა მოხდეს გარდაცვლილი თუ სხვაგვარად დაკარგული წევრების „ღირსეული“ ჩანაცვლება.“[54]

ძალადობის გამოყენება უცხო არის ორგანიზებული დანაშაულების ჩასადენად. ორგანიზებული დანაშაულის დეფინიციისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენებას კრიმინალური საქმიანობის ხელშეწყობისა და ბაზრების მონოპოლიური კონტროლის შესანარჩუნებლად.[55]

ორგანიზებული ჯგუფებისთვის დამახასიათებელი **მონოპოლიური** ბუნება მოგების მიღების სურვილით აიხსნება. ჯგუფები ახდენენ საწარმოების მონოპოლიზაციას დაშინებით, აფეთქებით და სხვა მეთოდებით, რაც დიდი მოგების მიღების შესაძლებლობაა.

---

[53]ნაჭყებია, გორაშვილი და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, 2012, 519.

[54]დავით მესხიშვილი, ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი დახასიათება საქართველოში, დისერტაცია (თბილისი: 2012), https://dspace.nplg.gov.ge, (ბოლოს ნანახია 27/12/2021),15.

[55]Dennis Kenney, James Finckenauer, Organized Crime in America, (1995), 285.

და ბოლოს, რომ არა ორგანიზებული ჯგუფების მართვის **მკაცრად დადგენილი წესები და პირობები,** ორგანიზებული დანაშაული მსოფლიოსთვის არ იქნებოდა დიდი საფრთხე. „ქურდული სამყარო“ სხვა არაფერია, თუ არა კონკრეტული დადგენილი ქცევის წესების ირგვლივ გაერთიანებული ადამიანების ჯგუფი.

არსებობს ორგანიზებული დანაშულის უფრო მოკლე და ზოგადი განმარტებები. ერთ-ერთი ასეთია ჰანტერი და დანცკერის განმარტება, რომლის მიხედვით, ორგანიზებული დანაშაული შეიძლება იყოს ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილი ჯგუფის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც ჩადენილია ორგანიზებულად და უწყვეტ რეჟიმში, კონკრეტული დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად.[56] ასეთივე შინაარსის მოკლე განმარტებაა ორტმაიერის განმარტება, რომლის მიხედვით, ორგანიზებული დანაშაული განიმარტება, როგორც პირთა ნებისმიერი მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც სისტემატურად ეწევა უკანონო საქმიანობას ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგი გულისხმობს პირთა კოორდინაციას, უკანონო ქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებას. ორგანიზებული დანაშაული ხორციელდება მუქარის, დაშინების, ძალის, მონოპოლიური კონტროლისა და კორუფციის გამოყენებით.[57]

საინტერესოა საერთაშორისო ორგანიზაციების და ინსტიტუტების განმარტებები ორგანიზებული დანაშაულის შესახებ. ევროსაბჭოს ერთ-ერთი განმარტების მიხედვით, ორგანიზებული დანაშაული ნიშნავს: უკანონო ქმედებებს, რომლებსაც ახორციელებენ სამი ან მეტი ადამიანისგან შემდგარი სტრუქტურირებული ჯგუფები, რომლებიც არსებობენ დიდი ხნის განმავლობაში და მიზნად ისახავს სერიოზული დანაშაულის ჩადენას,

[56]Hunter, Ronald , Mark Dantzker, Crime & Criminality: Causes and Consequences, Upper Saddle River, (NJ: Prentice Hall ,2002), 14.

[57]Ortmeier, Introduction to Security, (Operations and Management, 4th ed., Upper Saddle River, NJ: Pearson 2013), 43.

დაშინების, ძალადობის, კორუფციის ან სხვა საშუალებების გამოყენებით, რათა მოიპოვონ პირდაპირ თუ ირიბად ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებელი.[58] აღნიშნული განმარტება ერთ-ერთი სრულყოფილი განმარტებაა, ვინაიდან თუ დანაშაული ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ, რომლებიც უწყვეტად ახორციელებენ დანაშაულებრივ ქმედებას, მას შესაძლოა სამართლიანად ეწოდოს ორგანიზებული დანაშული. მნიშვნელოვანია მოტივიც და მიზანიც, ძირითადად ამგვარი დანაშაულების მოტივი ფინანსური სარგებლის მიღებაა. ევროსაბჭოს განმარტების მსგავს განმარტებას აკეთებს სამხრეთ აფრიკის რეგიონული პოლიციის მეთაურთა თანამშრომლობის ორგანიზაცია (SARPCCO) და გამოყოფს ორგანიზებული დანაშაულის შემდეგ ძირითად ნიშნებს: ის ჩადენილია ორი ან მეტი მოძალადის მიერ, რომლებმაც მოქმედებენ ერთობლივად, იგი ჩადენილია არაერთხელ და დანაშაულის მოტივია მატერიალური და ფინანსური სარგებლის მიღება.[59]

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შესაძლოა გამოიყოს, ორგანიზებული დანაშაულისთვის დამახასიათებელი რამდენიმე აუცილებელი და ძირითადი ნიშანი. ესენია: დროში უწყვეტობა, სისტემური ძალადობა, იერარქიულობა, შეზღუდული წევრობა, მონოპოლიური ბუნება, განსხვავებული სუბკულტურა, სპეციალური წესებით მართვა, მოგების მიღების მიზანი და დროში განგრძობადობა.

რაც შეეხება ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს, იგი უნდა გასცდეს ერთი ქვეყნის საზღვრებს და აკმაყოფილებდეს ორგანიზებული დანაშაული ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს. პალერმოს კონვენციის მე-3 მუხლი კი გამოყოფს ტრანსნაციონალური დანაშაულის ნიშნებს, კერძოდ, დანაშაული ტრანსნაციონალურ ხასიათს ატარებს, თუ იგი ჩადენილია:

---

[58]Council of Europe, Crime Analysis: Organised crime - Best practice survey no. (Strasbourg, France: 2002),იხ. ევროსაბჭოს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://www.coe.int (ბოლოს ნანახია 27/12/2021), 6.

[59]Annette Hübschle, Organised Crime in Southern Africa, (First annual review, Pretoria: Institut for Security Studies,2010), 9.

1. ერთზე მეტ სახელმწიფოში;
2. ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი მომზადების, დაგეგმვის, ხელმძღვანელობის ან კონტროლის არსებითი ნაწილი ხორციელდება სხვა სახელმწიფოში;
3. ერთ სახელმწიფოში, მაგრამ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა ერთზე მეტ სახელმწიფოში;
4. ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი არსებითი შედეგები ვლინდება სხვა სახელმწიფოში.[60]

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზებული დანაშაულის სრულყოფილი განმარტება არ არსებობს, ვინაიდან მსოფლიო ვერ შეთანხმდა მის ერთიან ცნებაზე. მაგრამ ზემოაღნიშნული სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრება, ორგანიზებული დანაშაულის დამახასიათებელი ესა თუ ის ნიშანი ერთიან წარმოდგენას გვქმნის ამგვარი დანაშაულების შესახებ.

1.4 ორგანიზებული დანაშაულის განმარტებები საქართველოში

საინტერესოა ქართველი მეცნიერ-მკვლევრების მცდელობა განემარტათ ორგანიზებული დანაშაული. სახელმძღვანელოში „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინების კრიმინალიზაცია და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, მოცემულია ორგანიზებული დანაშაულის ნიშნები. ესენია:

1.ჯგუფი იდეოლოგიზებული არაა;

2. არსებობს ორგანიზაციული იერარქია;

3. ძალადობა მისი გამოყენების მუქარა;

[60] პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

4. ჯგუფის წევრობა შეზღუდულია;

5. არალეგალური წარმოების შედეგად მოგების მიღება;

6.მოსახლეობის უზრუნველყოფა არალეგალური საქონლით და მომსახურებით;

7. სახელმწიფო მოხელეების კორუმპირებული ნაწილის გამოყენება საქმიანობის უსაფრთხოებისთვის;

8. მონოპოლიზაცია სპეციალურ საქონელზე და მომსახურების განაწილებაზე;

9. ჯგუფის შიგნით პროფესიული სპეციალიზაცია;

10. კონსპირაციულობა;

11. საქმიანობის დაგეგმვა გრძელვადიან პერსპექტივაში.[61]

თოთოეული დასახელებული ნიშნის განხილვას აღარ შევუდგებით, რადგან წინა თავში რამდენიმე მათგანზე უკვე ვისაუბრეთ.

ბუნებრივია, როცა ვსაუბრობთ ორგანიზებული დანაშაულისთვის დამახასიათებლ ერთ-ერთ ნიშანზე, რომ იგი არაიდეოლოგიზებულია, მასში არ იგულისხმება ის სუბკულტურა და „ქურდული სამყაროს“ იდეოლოგია, რასაც ეფუძნება „ქურდული სამყარო“, მათი მსოფლმხედველობრივი სისტემა და საქმიანობა. არაიდეოლოგიზრებულობა ნიშნავს, რომ ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფის წევრები არ იზიარებენ რომელიმე პარტიის იდეოლოგიას და მათ არ გააჩნიათ პოლიტიკური მიზნები, მათი მთავარი მიზანი შემოსავლის მიღებაა.

არალეგალური წარმოების შედეგად მოგების მიღება და მოსახლეობის უზრუნველყოფა არალეგალური საქონლით და მომსახურებით ორგანიზებული დანაშაულის დამახასიათებელი ძირითადი ნიშანია, რადგან უკანონო

[61]ნაჭყებია, გორაშვილი და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, 2012, 46.

შემოსავლის მიღება ორგანიზებული დანაშაულის მიზანია. ფულის გათეთრება ერთ-ერთი ორგანიზებული დანაშაულია. პალერმოს კონვენციის მე-6 მუხლი სწორედაც დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის კრიმინალიზაციას ემსახურება.

ჯგუფების შიგნით პროფესიული სპეციალიზაცია ემსახურება ამგვარი ჯგუფების უკეთ ფუნქციონირებას, თუ ჯგუფის წევრები იქნება თავისი საქმის „პროფესიონალი“ საბოლო ჯამში ეს მათ საქმიანობაზე და შემოსავლებზე დადებითად აისახება. ვფიქრობთ, შეუძლებელია ამგვარი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ფუნქციონირება კონსპირაციული წესების დაცვის გარეშე. ვინაიდან ეს მათი დაცულობის და ფარულობის ერთ-ერთი გარანტიაა, შესაბამისად მასში მოიაზრება საქმიანობის საიდუმლოების დაცვა.

დავით მესხიშვილს, დიდი მსჯელობის შედეგად საინტერესოდ და ამომწურავად აქვს ჩამოყალიბებული ორგანიზებული დანაშაულის ყველა ნიშანი. იგი გამოყოფს ორგანიზებული დანაშაულის შემდეგ ნიშნებს: ორგანიზებული იერარქიის მქონე, არაიდეოლოგიური მყარი დაჯგუფება, მოქმედებს დადგენილი წესები, ქმედების განხორციელების უმთავრეს ბერკეტს წარმოადგენს ძალადობა ან ძალადობის მუქარა, დაჯგუფება მიისწრაფვის მონოპოლიური მდგომარეობის მოსაპოვებლად, მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს დიდი ოდენობით შემოსავლების მიღება, იმისდა მიუხედავად კანონიერად მოხდება ეს თუ უკანონოდ.[62] განმარტებებში გაერთიანებულია ყველა ის ძირითადი ნიშანი, რაც ორგანიზებულ დანაშაულს ახასიათებს. ერთ-ერთი, რაზედაც ზემოთ არ გვისაუბრია, არის ორგანიზებული ჯგუფის სწრაფვა მონოპოლიური საქმიანობისკენ, აღნიშნულიც ამ დანაშაულის ერთ-ერთ ძირითად მიზანს ემსახურება, როგორიცაა ფინანსური მოგების მიღება.

[62]დავით მესხიშვილი. ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი დახასიათება საქართველოში, 2012, https://dspace.nplg.gov.ge, (ბოლოს ნანახია 27/12/2021), 32.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან და სხვადასხვა ავტორთა მოსაზრების გაზიარებისა და შეჯერების საფუძველზე, შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ ორგანიზებული დანაშაულის ცნება. ორგანიზებული დანაშაული არის წინასწარი შეთანხმებით ჩადენილი დანაშაული, იმ პირთა ჯგუფის მიერ, რომელებიც გაერთიანებულნი არიან დიდი ხნის განმავლობაში და მოქმედებენ მათთვის მკაცრად დადგენილი წესებით, შესაბამისად აქვთ სანქციათა მექანიზმები, ახასიათებს იერარქიულობა და კონსპირაციულობა, დანაშაულის ჩადენის ძირითადი ხერხია ძალადობა ან ძალადობის მუქარა, ძირითადად ამგვარი დანაშაულის მიზანია მატერიალური მოგების მიღება.

მოცემული განმარტების მიხედვით, ძირითადად, ამგვარი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიზანია მატერიალური მოგების მიღება, რაც ცალსახად არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კრიმინალურ ორგანიზაციას აქვს მსგავსი მიზანი. მაგალითად, ერთ-ერთი რისთვისაც „კანონიერი ქურდები „იბრძვიან“ არის კრიმინალური სტატუსი, სწორედ ესაა „კანონიერი ქურდობის“ ამოსავალი. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ამგვარი სტატუსის ერთ-ერთი მიზანი სხვა გავლენებთან ერთად მატერიალური სარგებლის მიღებაცაა.

1.5 ორგანიზებული დანაშაულის ისტორია და განვითარება საქართველოში

ისევე როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა. ორგანიზებული დანაშაულის ისტორია საქართველოში არაერთ საუკუნეს ითვლის, მე-16 მე-17 საუკუნეებში განსაკუთრებით გავრცელებული იყო გზებზე ყაჩაღობა, ადამიანის მოტაცება და სხვა მსგავსი დანაშაულები.[63]

[63]დავით მესხიშვილი. ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი დახასიათება საქართველოში, 2012, https://dspace.nplg.gov.ge, (ბოლოს ნანახია 27/12/2021), 50-51.

მართალია, ორგანიზებული დანაშაული საქართველოში ბოლშევიკურ ამბოხამდეც არსებობდა, მაგრამ ძირითადად ორგანიზებული დანაშაული საბჭოთა კავშირთან და „კანონიერ ქურდებთან“ ასოცირდება. ორგანიზებული დანაშაულის ეს სახე განვითარდა მე-20 საუკუნეში. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა ტერმინი „კანონიერი ქურდიც“. როგორც წესი, „ქურდული სამყაროს“ ჩამოყალიბების პერიოდად საბჭოთა შრომა–გამასწორებელი ბანაკების შექმნა მიიჩნევა, სადაც ხალხთა უზარმაზარი მასების გამო წარმოიშვა მართვის პრობლემები.[64] ციხისა და „გულაგების“ ადმინისტრაციას ძალიან უჭირდა წესრიგის დამყარება და დამატებით დახმარებას საჭიროებდა, აღნიშნულ ბანაკებში გამწესებულ პატიმრებს იაფ მუშახელად იყენებდნენ, რასაც ეკონომიკურად დასუსტებული საბჭოთა კავშირისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. საბჭოთა ხელისუფლებამ განიზრახა, რომ გავლენიანი პატიმრების დახმარებით მოეხდინა მრავალრიცხოვანი ბანაკების მართვა, სწორედ ამ ე.წ. ავტორიტეტებს ეწოდათ „კანონიერი ქურდები“.[65]

უნდა აღინიშნოს თვით საბჭოთა ბელადის - სტალინის კავშირები კრიმინალთან და ტერორიზმთან, იგი მოხსენიებულია ამერიკელი ისტორიკოსის ვალტერ ლაკერის მიერ, როგორც “crime- terror nexus“[66] ერთ-ერთი პირველი მაგალითი.[67] სტალინის ბოლშევიკურ პარტიაში გაწევრიანებამ და შემდგომ საბჭოთა კავშირის სათავეში მოსვლამ კრიმინალური დაჯგუფები გააძლიერა. საბჭოთა ეპოქის დასასრულს „კანონიერი ქურდების“ ერთ მესამედს ქართველები შეადგენდნენ, ხოლო ქართველები საბჭოთა მოსახლეობის 2%.[68]

---

[64]ნაჭყებია, გორაშვილი და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, 2012, 510.

[65] იქვე.

[66]ორი ტიპი არასახელმწიფოებრივი ჯგუფის მოქმედება, რომელიც აერთიანებს კრიმინალს და ტერორიზმს.

[67]Louise Shelley, Erik R. Scott, Anthony Latta.Organized Crime and Corruption in Georgia. (Published in association with the Transnational Crime and Corruption Center, American University, Washington, DC, 2007) http://www.untag-smd.ac.id/ (ბოლოს ნანახია 12/05/2023) 50-51.

[68] Ibid, 51.

90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ქვეყანაში ძალა მოიკრიბა ახალმა ორგანიზებულმა ჯგუფებმა. ერთ-ერთი ასეთი იყო „მხედრიონი“, რომელიც ე.წ. „კანონიერმა ქურდმა“ ჯაბა იოსელიანმა დააფუძნა. 1992 წლიდან „მხედრიონი“ ეწეოდა საწვავით ვაჭრობას, იარაღისა და სიგარეტის კონტრაბანდას ეროვნული გვარდიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მფარველობით. მისი ლიდერის, ჯაბა იოსელიანის, იმდროინდელი გავლენის გამო „მხედრიონი“ დაუსჯელად მოქმედებდა.[69] „მხედრიონი“ იყო ტიპური მაგალითი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის, რომელიც ქვეყნის წამყვან უწყებებს აკონტროლებდა. მხედრიონის დაშლის შემდგომ სიტუცია შეიცვლა, ჩამოყალიბდა სახელმწიფო უწყებები, შემუშავდა კანონმდებლობა და 2000-იანი წლებიდან ქვეყანაში ორგანიზებული დანაშულის წინააღმდეგ ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 30 წელი გავიდა, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა ორგანიზებული დანაშაულის, კერძოდ, „კანონიერი ქურდობის“ როგორც დანაშაულის საბოლოოდ ამოძირკვა, რასაც ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბოლოდროინდელი სტატისტიკა ორგანიზებულ დანაშაულებთან, კერძოდ „კანონიერ ქურდებთან“ დაკავშირებით.[70] აღნიშნული განპირობებულია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, ორგანიზებული ჯგუფისთვის დამახასიათებელი ნიშნის გამო, კერძოდ ეს არის „ქურდული სამყაროს“ წევრებისთვის დამახასიათებელი მენტალიტეტი და მათთვის დამახასიათებელი განსხვავებული ცხოვრების წესი. სწორედ ამიტომ, ორგანიზებული დანაშაულის, კერძოდ „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლა 30 წლის შემდეგაც არ კარგავს აქტუალობას. საკანონმდებლო და სამართალდამცავი უწყებების გაძლიერებასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანად

[69]სტივენ ჯონსი. საქართველოს პოლიტიკური ისტორია პოლიტოლოგია, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013, https://dspace.nplg.gov.ge, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[70] შსს სტატისტიკის შესახებ იხ, 78 სქოლიო.

მიგვაჩნია თაობათა ცვლა, რაც აუცილებლად გამოიღებს შედეგს ამ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში.

1.6 ორგანიზებული დანაშულის მიმდინარე გამოწვევები საქართველოში

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვის არის გამოწვევა. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებაა. ბოლო საკანონმდებლო ცვლილება 2018 წელს გატარდა, შედეგად, აღნიშნული ტიპის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გამკაცრდა.[71] დასჯადი გახდა არა მარტო „კანონიერი ქურდობა“ არამედ „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობა, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერა, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვა ან ამ მიმართვის შედეგად მატერიალური სარგებლის ან მატერიალური უპირატესობის მიღება.[72] პირველი ნაბიჯები ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად 2005 წელს გადაიდგა, როცა საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ ასევე სხვა საკანონმდებლო ცვლილები, რაც საშუალებას იძლეოდა „კანონიერი ქურდების“ პასუხისგებაში მიცემას. მაგრამ აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომ ამ დროს არ არსებობდა ორგანიზებული დანაშაულის წინაღმდეგ ბრძოლის სტრატეგია, კანონი ითვალისწინებდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, მხოლოდ რეპრესიული მექანიზმებით. იმისათვის რომ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა იყოს ეფექტიანი აუცილებელია პრევენციული მექანიზმები არსებობა,

---

[71]ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554 (ბოლოს ნანახია 12/05/2023),2.

[72]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=248 (ბოლოს ნანახია 12/02/2023).

სწორედ ამიტომ 2013 წელს შემუშავებულ იქნა ორგანიზებული დანაშაულის წინაღმდეგ ბრძოლის პირველი ეროვნული სტრატეგია, რომელიც განახლებადი დოკუმენტია. მისი განახლება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ხდება ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული ვითარებიდან და სტრატეგიით გათვალისწინებული მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე. 2021-2024 წლის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია ემყარება შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- „კანონიერი ქურდებისა“ და „ქურდული სამყაროს“ წევრების (მათ მხარდამჭერთა) წინააღმდეგ ბრძოლის სისტემური გაძლიერება;
- კიბერდანაშაულის პრევენციული მექანიზმებისა და გამოძიების ეფექტიანობის ამაღლება/გაუმჯობესება;
- ნარკოტრანზიტის და ნარკოვაჭრობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა.[73]

აღსანიშნავია, ისიც რომ წინა სტრატეგიით გათვალისწინებული მიმართულებები, სწორედ კანონიერი ქურდების, კიბერდანაშაულისა და ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლა იყო.[74] აღნიშნული კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ორგანიზებული დანაშაულის მასშტაბებს და საშიშროებას. მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ში არაერთი ცვლილება შევიდა, რომელიც ემსახურება ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლას, მომავლ წლებშიც ქვეყნისათვის ეს მიმართულება იქნება პრიორიტეტული. სტრატეგიის მიხედვით, საქართველოს

[73]ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554 (ბოლოს ნანახია 12/05/2023), 4.

[74]ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4587287?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023),7.

ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრულია ორგანიზებული დანაშაულის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ძალისხმევის გაგრძელება.[75]

რაც შეეხება ბოლო წლების სტატისტიკას, 2018 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე, 223[2]-ე, 223[3]-ე და 223[4]-ე მუხლებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 49 პირის მიმართ. მათ შორის ,,ქურდული სამყაროს" წევრობისთვის 27 პირის, ,,კანონიერი ქურდობისთვის" - 3 პირის, „ქურდულ შეკრებაში" მონაწილეობისთვის 14 პირის, ქურდული სამყაროს" საქმიანობისთვის მხარდაჭერისთვის 5 პირის და „ქურდული სამყაროს" წევრისთვის/„კანონიერი ქურდისთვის" მიმართვა ან ამ მიმართვის შედეგად მატერიალური სარგებლის ან მატერიალური უპირატესობის მიღებისთვის 2 პირის მიმართ.[76] „ქურდული სამყაროს წევრობისა" და „კანონიერი ქურდობისთვის" 2021 წელს გამოძიება დაიწყო 96 პირის მიმართ.[77] 2022 წელს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა „ქურდულ სამყაროსთან" დაკავშირებული 85 ადამიანი, მათ შორის ექვსი – „კანონიერი ქურდი". [78]

საინტერესოა და მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები 223[1] მუხლის სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადების თაობაზე. კერძოდ, 2021 წელს სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე 2021 წელს განხილულ იქნა 165 შუამდგომლობა, 2020 წელს -113, ხოლო 2019 წელს 118 შუამდგომლობა.[79] ეს იმას ნიშნავს, რომ „ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა არის ჩვენი ქვეყნისთვის გამოწვევა, საკითხი

---

[75]ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554 (ბოლოს ნანახია 12/05/2023), 4.

[76] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის ანგარიში, იხ. საქ. პროკურატურის ოფიციალურ საიტზე, https://pog.gov.ge/. (ბოლოს ნანახია 12/05/2023), 33-34.

[77] იხ. საქართველოს გენერალური პროკურატურის ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://pog.gov.ge/page/default/saprokuroro-sabWosTvis-wardgenili-angarishebi;

[78] იქვე.

[79]იხ. საქართველოს უზანაესი სასამართლოს ოფიციალური ვებ გვერდი, https://old.supremecourt.ge/2021yearsstatistic/. (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

აქტუალურია და ამ დანაშაულის ჩადენის ხერხად, ძირითადად „კანონიერი ქურდები“ იყენებენ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებას. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ ისინი ფიზიკურად ქვეყანაში აღარ არიან, მაგრამ მათ ეს ხელს არ უშლით თავიანთი გავლენების გამოსაყენებლად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმატებით მიმდინარეობს ბრძოლა ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ. გასულ წელს ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის სამსახურებთან აქტიური თანამშრომლობით გამოვლენილი იქნა 110კგ. „ჰეროინის“ საერთაშორისო ტრანზიტის ფაქტი.[80] აღნიშნულ საქმეზე საქართველოში წარმატებით განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა ორგანიზებული ჯგუფის სამი სხვა ქვეყნის მოქალაქის მიმართ და გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი.[81]

გამოწვევაა ქვეყნისთვის უკანონო შემოსავლის ლეგალიზების წინააღმდეგ ბრძოლა, რაც პალერმოს კონვენციით პირდაპირაა გათვალისწინებული. 2020 წელს, ნარკოვაჭრობის შედეგად მიღებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 6 პირის მიმართ, ხოლო ჩამორთმევას დაექვემდებარა 854 848 ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება.[82] მნიშვნელოვანია, მიღწეული შედეგების განმტკიცება და სტრატეგიით გათვალისწინებული მიმართულებების ზედმიწევნით შესრულება.

საქართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ინდექსებზე ინფორმაციას გვაწვდის ორგანიზაცია World Economic Forum, სადაც ნათლად ჩანს საქართველოს პროგრესი აღნიშნული მიმართულებით: თუკი 2012 წელს

[80]საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის ანგარიში, იხ. საქ. პროკურატურის ოფიციალურ საიტზე, https://pog.gov.ge/. (ბოლოს ნანახია 12/05/2023), 33-34.
[81]იქვე.
[82]იქვე, 46.

საქართველო 75-ე ადგილს იკავებდა, ხოლო 2016 წელს 67-ე პოზიციაზე იყო, 2019 წლის მონაცემებით 25-ე ადგილზე გადაინაცვლა.[83]

საქართველო განაგრძობს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას. დღესდღეობით საქართველოსთვის გამოწვევას წარმოადგენს ისეთი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, როგორიცაა: „ქურდული სამყარო“, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ადამიანებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი და კიბერდანაშაული.

[83]ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554 (ბოლოს ნანახია 12/05/2023), 2-3.

II თავი. პალერმოს კონვენციით კრიმინალიზებულ ქმედებათა სამართლებრივი ანალიზი

2.1 დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობის კრიმინალიზაცია

პალერმოს კონვენციის მიზანი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი თვიდან აცილებაა, შესაბამისად იგი გამოიყენება, რათა გამოძიებულ იქნას და სისხლისსამართლებრივ დევნას დაექვემდებაროს დანაშაულები, რომლებიც დადგენილია კონვენციის მე-5 (დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა), მე-6 (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია), მე-8 (კორუფცია) და 23-ე (მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა) მუხლებით, ასევე მძიმე დანაშაულები, თუ ეს დანაშაული ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს და ჩადენილია დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით.[84]

პალერმოს კონვენციის მე-5 მუხლი ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს დასჯადად გამოაცხადოს განზრახ ჩადენილი ერთ ან რამდენიმე პირთან შეთანხმება მძიმე დანაშაულის ჩასადენად, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით.[85] მოცემული მუხლის დათქმის მიხედვით, აუცილებელია ერთ ან რამდენიმე პირთან შეთანხმება მძიმე დანაშაულის ჩასადენად, ხოლო ამ დანაშაულის მიზანი უნდა იყოს ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღება.

მეხუთე მუხლის მეორე დათქმის მიხედვით, კონვენციის მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, სისხლის სამართლის დანაშაულად გამოაცხადოს ქმედება, ჩადენილი პირის მიერ, რომელიც აცნობიერებს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიზანს და იცის მისი საერთო დანაშაულებრივი

---

[84]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[85]იქვე.

საქმიანობის ან ამ ჯგუფების მიერ აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენის განზრახვის შესახებ, ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებს ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობაში, და იცის, რომ მისი მონაწილეობა ხელს უწყობს დანაშაულებრივი მიზნის მიღწევას.[86]

მოცემული მუხლის მიზნებისთვის, მნიშნელოვანია, რომ პირი აქტიურ მონაწილეობას იღებდეს ორგანიზებული ჯგუფების საქმიანობაში. აუცილებელია განიმარტოს აქტიური მოქმედება, ვინაიდან შესაძლოა პირი ჩართული იყოს ორგანიზებული ჯგუფის საქმიანობაში და თავისი პასიური მოქმედებით უწყობდეს ხელს ამგვარი ჯგუფის საქმიანობას. იმისათვის, რომ პირს ბრალად შეერაცხოს ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა, აუცილებელია მან იცოდეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მიზანი და საქმიანობა, ან გააჩნდეს განზრახვა ჩაიდინოს დანაშაული.

საინტერესოა, რა იგულისხმება ორგანიზებული ჯგუფის „სხვა საქმიანობაში“ და აღიქმება თუ არა ორგანიზებულ ჯგუფთან კავშირში მყოფი ყველა პირი ამ დანაშაულის სუბიექტად. ამ შემთხვევაში აუცილებელია პირმა იცოდეს, რომ მისი ქმედება ემსახურება დანაშაულებრივი მიზნის მიღწევას. აღნიშნული დათქმით კანონშემოქმედმა ყველა ზომაა მიიღო ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფთან კავშირში მყოფი პირების გამოსავლენად და მათი ქმედების აღსაკვეთად, ისევე, როგორც დასჯადია ორგანიზებული ჯგუფის მიერ მძიმე დანაშაულის ორგანიზება, ხელმძღვანელობა, წაქეზება, დახმარება ან რჩევის მიცემა. აღნიშნული ჩანაწერის მსგავს ჩანაწერს ვხვდებით გაეროს 1988 წლის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ კონვენციაში (ვენის კონვენციაში).[87]

ხელმძღვანელობა, წაქეზება, დახმარება ან რჩევის მიცემა არის აქტივობის ის ფორმები, რომლითაც შესაძლოა პირი ჩაერთოს ორგანიზებული ჯგუფის

---

[86]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[87]McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols,2007, 65.

საქმიანობაში. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ პირი სხვა ქმედებით ჩაერთვება ორგანიზებული ჯგუფების დანაშაულებრივ საქმიანობაში, მაგალითად, ორგანიზებული დაჯგუფების ერთ-ერთი ფორმას - „ქურდულ სამყაროს“ საქვეყნოდ დაუჭერს მხარს ან მიმართავს „კანონიერ ქურდებს“ დასახმარებლად, ისევე, როგორც აღნიშნული ქმედებები კრიმინალიზებულია ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში.[88] პალერმოს კონვენციის 34-ე მუხლის მესამე ნაწილი თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს აძლევს უფლებას, მიიღოს უფრო მკაცრი ზომები ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის თვიდან ასაცილებლად,[89] სწორედ ამის დადასტურებაა ზემოთ აღნიშული მაგალითი.

კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია ვნახოთ, როგორ განხორციელდა პალერმოს კონვენციის მე-5 მუხლის იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობაში და რა ხარვეზები არსებობს დღეს, ასევე მნიშვნელოვანია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს ეროვნული სტრატეგიის განხილვა, სამომავლო მიზნების და ამოცანების ანალიზი.

პალერმოს კონვენციასთან შეერთების შემდგომ საქართველომ მნიშნელოვანი ნაბიჯი გადადგა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, კერძოდ, მიღებულ იქნა კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“. კანონის მიზანია ხელი შეუწყოს ორგანიზებული დანაშაულის, „ქურდული სამყაროს“ და რეკეტის წინააააღმდეგ ბრძოლას და მათ თავიდან აცილებას. საქართველოში 2005 წელამდე შესაბამისი ნორმის არ არსებობის გამო არ ისჯებოდა ისეთი ორგანიზებული დანაშაულის სახე, როგორიცაა „ქურდული სამყარო“ და მასში/მასთან დაკავშირებული პირების საქმიანობა. დღემდე იხვეწება კანონმდებლობა და არაერთი ცვლილება შევიდა მას შემდეგ ქართულ საკანონმდებლო აქტებში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისევ

[88]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე,https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=248 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[89]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

გამოწვევად რჩება არა მარტო საქართველოსთვის, არამდე მსოფლიოსთვის „ქურდული სამყაროს“ და „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლა.

დავუბრუნდეთ იმ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებიც ორგანიზებული დანაშაულების და ქურდული სამყაროს წინააღმდეგ საბრძოლველად განხორციელდა ქართულ კანონმდებლობაში. როგორც აღვნიშნეთ, კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ ემსახურება ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას, მასში მოცემულია რეკეტის, რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, „ქურდული სამყაროს“, „ქურდული სამყაროს წევრის“, „კანონიერი ქურდის“, რეკეტული ქონების, „ქურდულის სამყაროს წევრის ქონების“ განმარტებები. ვიდრე, 2018 წლამდე დასახელებული ტერმინების დეფინიცია მოხდებოდა კანონში, არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა ზემოაღნიშნული, საზოგადოებაში კარგად ცნობილი და დამკვიდრებული ტერმინების გარშემო. მართალია, მისი შინაარსი ყველას კარგად ესმოდა, მაგრამ აუცილებელი იყო მისი საკანონმდებლო დონეზე განმარტება, რათა ორგანიზებული დანაშაულის ამ ფორმის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა და სრულფასოვანი მართლმსაჯულება განხორციელებულიყო.

როგორც აღვნიშნეთ, კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ 2018 წლამდე არ განმარტავდა „კანონიერ ქურდებთან“ დაკავშირებულ ტერმინებს, ხოლო განხორციელებული ცვლილების მიზანი იყო იმ ბუნდოვანების აღმოფხვრა რაც ამ ტერმინების ირგვლივ არსებობდა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს ასე არ მოხდა. კანონში „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ „ქურდული სამყარო“ განმარტებულია, როგორც პირთა ერთობა, რომელიც შეთანხმებულია, რომ განახორციელებს „ქურდული სამყაროს“ საქმიანობას.[90] ამის შემდეგ ზუსტდება ტერმინი „ქურდული სამყაროს“ საქმიანობა და განიმარტება, როგორც „ქურდული სამყაროს წევრის“,

[90]ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/27814?publication=1 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

„კანონიერი ქურდის“ საქმიანობა, განხორციელებული დაშინებით, მუქარით, იძულებით, და აშ.[91] რაც შეხება „კანონიერი ქურდის“ განმარტებას, ის არის პირი, რომელიც ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს „ქურდული სამყაროს“, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მეთოდების გამოყენებით ან ორგანიზებას უწევს პირთა გარკვეულ ჯგუფს.[92] მოცემულ ტერმინებში ძირითადად გამოყენებულია ორი ტერმინი, „ქურდული სამყარო“ და „კანონიერი ქურდი“, რაც იწვევს გაურკვევლობას და შეუძლებელს ხდის მის ზუსტ გაგებას. დასახელებული ტერმინების გაუგებრობა შესაძლოა აიხსნას მარტივი მიზეზით, კერძოდ, „კანონიერი ქურდი“ - ეს ორი ტერმინი წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, ქურდი არ შეილება იყოს კანონიერი. მიგვაჩნია, რომ ეს არის დამნაშავის ენაზე საუბარი, ხოლო კანონმდებელი დამნაშავის ენაზე არ უნდა საუბრობდეს. ვფიქრობთ, თავიდანვე არასწორი იყო კანონში „კანონიერი ქურდის“ ჩანაწერის არსებობა, შესაძლებელია მის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს სხვა ტერმინი, მაგალითად, „დანაშაულებრივი გაერთიანების ხელმძღვანელი“, რომლის დეფინიციაც შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: როგორც დანაშაულებრივი გაერთიანების ორგანიზატორი/ხელმძღვანელი პირი, რომელიც მართავს/ორგანიზებას უწევს დანაშაულებრივი გაერთიანების წევრების საქმიანობას.

„ქურდული სამყარო“, კი შეიძლება განიმარტოს, როგორც „პირთა გაერთიანება, რომელიც შეთანხმებულია დანაშაულებრივი საქმიანობის ჩასადენად, რომელიც იმართება მკაცრად დადგენილი წესებით და პირობებით, ხოლო მის ნაცვლად გამოყენებული იქნეს ტერმინი „დანაშაულებრივი გაერთიანება“. რაც შეეხება ამგვარი დაჯგუფების საქმიანობას, ის ვრცელი უნდა იყოს და მოიცავდეს იმ ძირითად ნიშნებს, რაც „ქურდული სამყაროს“ ძირითად მიზნებს და თავისებურებებს გამოხატავს. შესაბამისად, დანაშაულებრივი

[91]ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/27814?publication=1 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[92] იქვე.

გაერთიანების საქმიანობა შესაძლოა განიმარტოს შემდეგნაირად: დანაშაულებრივი გაერთიანების მიერ განხორციელებული ქმედება, ჩადენილი დაშინებით, იძულებით, მუქარით, წაქეზებით, გაერთიანების ორგანიზატორის ავტორიტეტით, რომლის მიზანია მატერიალური სარგებლის მიღება, გავლენის/ძალაუფლების მოპოვება.

საგულისხმოა, რომ საკანონმდებლო დონეზე „კანონიერი ქურდი“, „ქურდული სამყარო“ და სხვა მსგავსი ტერმინების გამოყენება ხელს უწყობს ამ ინსტიტუტის პოპულარიზებას. ხოლო მათი ახლებურად ჩამოყალიბების შემდეგ საკანონმდებლო დონეზე გაქრება ტერმინი „კანონიერი ქურდი“, „ქურდული სამყარო“ და სხვა მასთან დაკავშირებული ტერმინები, რომელიც საბოლოოდ შეასუსტებს ამ ინსტიტუტის პოპულარობას და დროთა განმავლობაში დაკარგავს აქტუალობას. კანონმდებლობიდან ამ ტერმინის გაქრობასა და მისი ახლით ჩანაცვლების შემდეგ, არავის აქვს ილუზია რომ ჩანაწერთან ერთად ეს დანაშაულიც გაქრება, მაგრამ, როგორც აღვნიშნე ამის მიზეზია ტერმინების შინაარსობრივი შეუსაბამობა და ასევე ვვარაუდობთ, რომ შესაძლოა ახალგაზრდებშიც და ასევე თვით „ქურდული სამყაროს“ წევრების მიმართ კეთილგანწყობილ ადამიანებში შესუსტდეს ნდობა და იკლოს მათმა პოპულარობამ.

„ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ კანონში განმარტებულ ტერმინებთან დაკავშირებით, არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წელს მიღებული გადაწყვეტილება „აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ“.[93] ევროპულმა სასამართლომ მოცემული საქმის განხილვისას იმსჯელა ისეთ ტერმინებზე, როგორიცაა: „ქურდული სამყარო“, „კანონიერი ქურდი“, და მიიჩნია, რომ ეს ტერმინები წარმოადგენდა საყოველთაო ცოდნის საგანს და ფართო წრეებში იყო გაგებული. 2005 წლის 20

[93]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვტილება „აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ, სტრასბურგი, 2014, იხ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/s_winaagmdeg/saqartvelos-winaagmdeg-ashlarba.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

დეკემბერს ორი ახალი სამართალდარღვევის, კერძოდ „ქურდული სამყაროს“ წევრობის და „კანონიერი ქურდობის“ შემოტანით, საქართველოს კანონმდებლებმა უბრალოდ სისხლის სამართლებრივ ჩარჩოში მოაქციეს ცნებები და ქმედებები, რომლებიც უკავშირდება კრიმინალურ („ქურდების“) ქვეკულტურას, ამასთან, ამ ცნებების ზუსტი მნიშვნელობა უკვე ცნობილი იყო ზოგადად საზოგადოებისათვის, საინტერესოა, რომ ქართველმა კანონმდებლებმა გადაწყვიტეს სასაუბრო ენის შენარჩუნება მოცემული სამართალდარღვევების იურიდიულ განმარტებებში.[94] სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოთ ხსენებული მიდგომა გამოყენებული იქნა იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოებას მარტივად მოეხდინა სისხლის სამართლებრივ ჩარჩოში ახლად მოქცეული დარღვევების აღქმა“.[95] თუ გავყვებით მოცემულ მოსაზრებას, ზემოაღნიშნული ტერმინები გამოყენება არ უნდა იწვევდეს გაუგებრობას, მისი მიზანია იმ სასაუბრო ენის შენარჩუნება, რაც საზოგადოებაში არის დამკვიდრებული. მაგრამ თუ გავიხსენებთ იმას, რომ ამ გადაწყვტილების მიღებიდან თითქმის 10 წელი გავიდა და ასევე შეიძლება იმ დროს, როცა აღნიშნული ტერმინები კანონმდებლობაში ჩაიდო სხვა გზა არ არსებობდა ამ ინსტიტუტის წინააღმდეგ საბრძოლველად. სასამრთლო მიუთითებს რომ ეს გაკეთდა სისხლის სამართლის ჩარჩოში ახლად მოქცეული დარღვევის აღსაქმელად. ვფიქრობთ, ახლა საზოგადოებში ეს პრობლემა აღარ დგას და ზემოთ დასახელებული მიზეზების გამოც არ არის რელევანტური ამ ტერმინების საკანონმდებლო დონეზე არსებობა. ასევე, შესაძლოა, უცხოელი მოსამართლეების მხრიდან არ მოხდა ან ტერმინის სწორი აღქმა, როგორც ეს ჟღერს მაგალითად ქართულად.

---

[94]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვტილება „აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ, სტრასბურგი, 2014, იხ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/s_winaagmdeg/saqartvelos-winaagmdeg-ashlarba.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[95]იქვე.

მნიშნელოვანია ის ცვლილებები, რაც სსკ-ის კოდექსში შევიდა და ახლებურად ჩამოყალიბდა არაერთი მუხლი. სისხლის სამართლის კოდექსში 2005 წელს განხორციელებული ცვლილებებით კოდექსს დაემატა 223^1-ე, 223^2-ე, 223^3-ე და 223^4-ე მუხლები, რომლითაც დასჯადი გახდა „ქურდული სამყაროს“ წევრობა, „კანონიერი ქურდობა“, „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობა, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერა, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის/„კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვა ან ამ მიმართვის შედეგად მატერიალური სარგებლის ან მატერიალური უპირატესობის მიღება.[96]

მოცემული ცვლილებები, სწორედ პალერმოს კონვენციის იმპლემენტაციის შედეგია, რომელიც მოითხოვდა მონაწილე სახელმწიფოებისგან დასჯადად გამოეცხადებინათ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების საქმიანობა.

რაც შეეხება მოცემული მუხლების დისპოზიციებს, სსკ-ის 223^1, მუხლი დასჯადად აცხადებს „ქურდული სამყაროს წევრობას“ და „კანონიერ ქურდობას“. „ქურდული სამყაროს წევრობას“ ადგილი აქვს როცა, პირი აღიარებს „ქურდულ სამყაროს“ და იღებს მონაწილეობას მათ საქმიანობაში, ან გამოხატავს მზადყოფნას ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.[97] მონაწილეობა „ქურდული სამყაროს“ საქმიანობაში შესაძლოა გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის: დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობით, არასრულწლოვნის ჩაბმით, დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებით, დანაშაულის ჩადენით, კრიმინალური გავლენების გამოყენებით ან სხვა უკანონო ქმედებით.[98] თითოეული მათგანის სამართლებრივ განმარტებას არ შევუდგებით, მხოლოდ რამდენიმე მათგანზე ვისაუბრებთ. კერძოდ, პირის მიერ ქურდული სამყაროს აღიარება ნიშნავს, როცა პირი აღიარებს „ქურდულ

---

[96]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=248 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[97]მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი I, (თბილისი: მერიდიანი, 2019), 686.

[98]იქვე.

სამყაროს“ და „ქურდული სამყაროც“ აღიარებს მას, როგორც „ქურდული სამყაროს“ წევრს, თუ სახეზე არ არის ორივე პირობა ქმედება, ამ მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება. „ქურდული სამყაროს“ წევრობა შესაძლოა გამოიხატოს მაშინაც, თუ პირი ჩაიდენს რაიმე დანაშაულებრივ ქმედებას „ქურდული სამყაროს“ მიზნის მისაღწევად.[99] საინტერესოა ისეთი შემთხვევა, როცა პირი ჩაიდენს დანაშაულს „ქურდული სამყაროს“ მიზნების მისაღწევად, მაგალითად მუქარას, გამოძალვას და საკმარისია თუ არა ამ შემთხვევაში ქმედების სსკ-ის 223[1]-ე მუხლით კვალიფიკაცია სხვა მუხლზე მითითების გარეშე. ჩნდება შეკითხვა, რისთვის უნდა დაისაჯოს პირი, ფაქტობრივად განხორციელებული ქმედებისთვის, თუ იმისთვის რომ პირმა დანაშაულის ჩაიდინა „ქურდული სამყაროს“ მიზნებისთვის და მხოლოდ ამიტომ უნდა აგოს პასუხი, თუ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ფაქტობრივად ჩადენილი ქმედებისთვის, ასევე იმისათვის, რომ მან ეს დანაშაულის „ქურდული სამყაროს“ მიზნებისთვის ჩაიდინა. რაც შეეხება პირველ შემთხვევას, თუ პირი დაისჯება პირობითად, მხოლოდ ძალადობისთვის, და არა „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის, ვფიქრობთ, ამგვარი დანაშაულის ჩადენა „ქურდული სამყაროს“ მიზნებისთვის მომეტებული საფრთხის შემცველია ვიდრე, „უბრალო ძალადობა“. მეორე შემთხვევას რაც შეეხება, აქ საუბარია რომ პირი არ დაისაჯოს მხოლოდ „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის, რაც გამორიცხავს მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას, ხოლო მესამე შემთხვევაში გამოდის, რომ პირი ორმაგად აგებს პასუხს ერთი ქმედებისთვის. გამოსავალი ამ შემთხვევაში იურიდიული ლიტერატურაში მოიძებნება, კერძოდ, სსკ-ის კოდექსის კომენტარებში პრობლემის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ თუკი „ქურდული სამყაროს“ წევრი ჩაიდენს ისეთ დანაშაულს, რომლისთვისაც სანქცია უფრო მკაცრია, ვიდრე „ქურდული სამყაროს წევრობისთვის“ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს

[99]ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/27814?publication=1 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

დანაშაულთა ერთობლიობით, ხოლო თუ ჩადენილი დანაშაულის სანქცია უფრო ნაკლებია ან ტოლია, ვიდრე „ქურდული სამყაროს“ წევრობა, მაშინ დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაცია საჭირო არაა.[100] მოცემულ საკითხზე არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაც. კერძოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირისაგან თანხის ან სხვა მატერიალური სიკეთის გამოძალვა ხორციელდება „ქურდული სამყაროს წევრის“ მიერ „ქურდულ სამყაროში“ მოქმედი წესების გამოყენებით (საქმის გარჩევა და სხვა), ამასთან, გამოძალვა ხორციელდება „ქურდული სამყაროსთვის“ სარგებლის მისაღებად, ამგვარი ქმედება გამოძალვად ვერ დაკვალიფიცირდება, რადგან, თავისი შინაარსითა და ნიშნებით ის სცდება გამოძალვის ფარგლებს და გადაიზრდება სხვა დანაშაულში, როგორიცაა „ქურდული სამყაროს“ წევრობა.[101]

შესაძლებელია, პრობლემის გადასაჭრელად სსკ-ში შევიდეს ცვლილება და ისეთ მუხლებს, როგორიცაა ქურდობა, გამოძალვა, თაღლითობა და ასე შემდეგ დამამძიმებელი გარემოების სახით დაემატოს შემდეგი ფრაზა: ჩადენილი „ქურდული სამყაროს“ მიზნის მისაღწევად. შესაბამისად საჭირო აღარ იქნება დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაცია.

იმისათვის, რომ პირს შეერაცხოს „ქურდულ სამყაროს წევრობა“, შესაძლოა პირმა განახორციელოს „სხვა უკანონო ქმედებაა“, რომელიც ემსახურება „ქურდული სამყაროს“ მიზნების მიღწევას, აქ შესაძლოა იგულისხმებოდეს ისეთი ქმედება, რომელიც არ წარმოადგენს სსკ-ის გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, მაგრამ არის უკანონო და ემსახურება „ქურდული სამყაროს“ მიზნების მიღწევას.

ეს არის ის ძირითადი ქმედებები, რომლითაც შესაძლოა პირს შეერაცხოს „ქურდული სამყაროს“ წევრობა. ხოლო, რაც შეეხება პირის პასუხისმგებლობას

---

[100]ლეკვეიშვილი, მამულაშვილი, თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი I, 2019, 365.
[101]საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სისხლის სამართლის საქმეებზე, (2014), 64, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ გვერდზე, https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-sisxli.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

„კანონიერ ქურდობისთვის“, მთავარია, პირი მართავდეს „ქურდულ სამყაროს“ ან ასეთ ჯგუფს ან ორგანიზებას უწევდეს მათ საქმიანობას.[102]

„ქურდული სამყაროს“ ორგანიზება გულისხმობს სპეციალური წესების დადგენას, წევრების გადმობირებას და აშ. ხოლო მართვას რაც შეეხება, აქ იგულისხმება წევრებისთვის დავალებების მიცემა.[103] აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით არსებობს სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის გადაწყვეტილება, სადაც მომჩივანს წარმოადგენდა პროკურორი. მოცემულ საქმეში პირს ბრალად ედებოდა „კანონიერი ქურდობა“, ბრალდების ფორმულირება კი იყო შემდეგი: „ბრალდებული ცნობდა და აღიარებდა „ქურდულ სამყაროს“, ეთანხმებოდა მის მიზნებს, თავისი ცხოვრების წესით საჯაროდ გამოხატავდა „ქურდული სამყაროს“ მხარდაჭერას. მას ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიური ურთიერთობა ჰქონდა „ქურდული სამყაროს“ წევრებთან და დაკავებისას აღნიშნა, რომ ის იყო „კანონიერი ქურდი“.[104]

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებთ, აღნიშნა, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირი საზოგადოებაში „კანონიერი ქურდის“ სახელითაა ცნობილი, არაა საკმარისი სსკ-ის 223[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით ბრალდებისათვის, ამისათვის აუცილებელია, დაუმტკიცდეს, რომ ის მართავდა/ორგანიზებას უწევდა „ქურდულ სამყაროს“ ან პირთა გარკვეულ ჯგუფს სწორედ „ქურდული სამყაროს“ სპეციალური წესების შესაბამისად.[105] მოცემული მუხლის დისპოზიცია ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს პირი შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ იმისთვის, რომ ის საზოგადოებაში ცნობილია როგორც „კანონიერი ქურდი“. მსგავს მოსაზრებას ავითარებს სააპელაციო სასამართლოც „დანაშაულის შემადგენლობაში, რაც არ უნდა ზოგადი ფორმულირება ჰქონდეს მას, იგულისხმება კონკრეტული ქმედება, ვინაიდან

[102]ლეკვეიშვილი, მამულაშვილი, თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი I, 2019, 688.
[103] იქვე.
[104]თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №1/ბ-128-17, 2017, იხ. სააპელაციო სასამართლოს ვებ გვერდზე, http://library.court.ge/judgements/69892017-10-27.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[105]იქვე.

დანაშაული არის სწორედ ქმედება და არა წარმოდგენები, შეხედულებები, მისწრაფებები და ა.შ. „კანონიერი ქურდობაც“ გულისხმობს კონკრეტულ ქმედებას და მის გარეშე ის დანაშაულის შემადგენლობას ვერ შექმნის.“[106]

შესაძლოა გაკეთდეს დასკვნა, რომ ქმედების სსკ-ის 223[1]-ე მუხლის კვალიფიკაციისთვის აუცილებელია პირი ახორციელებდეს აქტიურ მოქმედებას, მართავდეს ან ორგანიზებას უწევდეს „ქურდული სამყაროს“ საქმიანობას, მხოლოდ იმის აღიარება ან მტკიცება, რომ პირი ცნობილია როგორც „კანონიერი ქურდი“, საკმარისი არ არის 223[1]-ე მუხლით მსჯავრდებისთვის.

რაც შეეხება, სსკ-ის მომდევნო მუხლებს, რომლებიც ემსახურება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას იმ პირებისთვის, რომლებიც არ არიან „ქურდული სამყაროს“ წევრები/“კანონიერი ქურდები“, მაგრამ მონაწილეობას იღებენ „ქურდულ გარჩევაში“ (სსკ-ის223[2]), მხარს უჭერს „ქურდული სამყაროს“ საქმიანობას (სსკ-ის 223[3]) ან მიმართვას „ქურდული სამყაროს წევრ/კანონიერ ქურდს“ მატერიალური სარგებლისთვის. მოცემული ქმედებების დანაშაულებრივ ქმედებად გამოცხადების მიზანია, აღკვეთოს „კანონიერი ქურდებთან/ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი პირების ნებისმიერი ქმედება.

აღსანიშნავია, სსკ-ში განხორციელებული ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგი. საყურადღებოა სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც ბოლო წლებში მზარდია ზემოაღნიშნულ ქმედებებში მსჯავრდებულ და ბრალდებულ პირთა რაოდენობა.[107]

სისხლის სამართლის კოდექსის გარდა ცვლილებები განხორციელდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, კოდექსს დაემატა ცალკე თავი, რომელიც

---

[106]თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №1/ბ-128-17, 2017, იხ. სააპელაციო სასამართლოს ვებ გვერდზე, http://library.court.ge/judgements/69892017-10-27.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[107]სტატისტიკური მონაცემებისთვის იხ. გვ 37.

ითვალისწინებს „ქურდული სამყაროს“ წევრისა და რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან მათთან დაკავშირებული პირის საკუთრებაში არსებული უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სამოქალაქო წესით ჩამორთმევასა და ასეთი ქონების კანონიერი მესაკუთრისთვის ან სახელმწიფოსთვის გადაცემას.[108] ასევე ცვლილება განხორციელდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რაც ამგვარი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ქონების დაყადაღებას ემსახურება.[109] სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები მეტად მკაცრია და ემსახურება „ქურდული სამყაროს“ წევრისა და რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან მათთან დაკავშირებული პირის საკუთრებაში არსებული უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასა/დაყადაღებას და ასეთი ქონების კანონიერი მესაკუთრისთვის ან სახელმწიფოსთვის გადაცემას. დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ქონების ჩამორთმევისა და დაყადაღების შესახებ მომდევნო თავებში უფრო დეტალურად ვისაუბრებთ.

რაც შეეხება პალერმოს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს და განხილული მუხლის იმპლემენტაციას მათ კანონმდებლობაში უნდა აღინიშნოს, რომ პალერმოს კონვენციის მონაწილეა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 186 წვერი ქვეყანა, ასევე კუკის კუნძულები, წმინდა საყდარი, ნიუე, პალესტინა და ევროკავშირი.[110] გაეროს შვიდი წევრი ქვეყანა, რომლებიც არ არიან კონვენციის მონაწილე მხარეები არიან: კონგოს რესპუბლიკა, ირანი, პაპუა ახალი გვინეა, სოლომონის კუნძულები, სომალი, სამხრეთ სუდანი და

[108] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=156 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[109] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=152 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[110]პალერმო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების შესახებ დამატებით იხ. https://www.unodc.org/unodc/en/organized-crime/intro/UNTOC.html (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ტუვალუ.[111] მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობამ მოახდინა კონვენციის მე-5 მუხლის იმპლემენტირება ეროვნულ კანონმდებლობაში, გამონაკლისია ისლანდია, ტაილანდი და ეკვადორის რესპუბლიკა, რომლის კანონმდებლობის მიხედვით კრიმინალიზებულია „უკანონო გაერთიანება“, რაც განიმარტება, როგორც ასოციაცია, რომლის შექმნის მიზანია ზიანის მიყენება ადამიანებისა და მათი საკუთრებისთვის.[112]

როგორც ვნახეთ, რიგი ცვლილებები განხორციელდა ქართულ კანონმდებლობაში, შეიცვალა და ახლებურად ჩამოყალიბდა არაერთი მუხლი, მიუხედავად ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მსგავსი მასშტაბებისა, ქვეყნისთვის ისევ გამოწვევად რჩება „კანონიერი ქურდების“/“ქურდული სამყაროს“ წინაღმდეგ ბრძოლა. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებაა „კანონიერი ქურდებისა“ და „ქურდული სამყაროს“ წევრების (მათ მხარდამჭერთა) წინააღმდეგ ბრძოლის სისტემური გაძლიერება.[113]

შექმნილია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ემსახურება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული შედეგების შენარჩუნების, გაუმჯობესებისა და არსებული მექანიზმების დახვეწას. საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება: ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის განახლება და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება და მის განხორციელებაზე მონიტორინგი, უწყებათშორისი საქმიანობის კოორდინაცია და შესაბამისი წინადადებებისა და

---

[111]პალერმო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების შესახებ დამატებით იხ. https://www.unodc.org/unodc/en/organized-crime/intro/UNTOC.html (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[112]United Nations Conference of the Parties to the United Nations Convention against Transnational Organized Crime, 2008, 4.

[113]ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023),4.

დასკვნების შემუშავება, საბჭოს თავჯდომარეა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.[114] საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით, საბჭოს შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.[115]

გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, მნიშვნელოვანია რიგი სოციალური ღონისძიებები და პროექტები, რომლებიც მოემსახურება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, იმის შესახებ, თუ რა საფრთხეებს შეიცავს ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაული. ასევე მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების არსებობა, მეტი წამახალისებელი ნორმის არსებობა კანონმდებლობაში და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, ვინაიდან ორგანიზებული დანაშაული ცოცხალი ორგანიზმია და ხშირად იცვლება მისი ჩადენის ხერხები. სწორედ ამიტომ, აუცილებელია მოქმედი კანონმდებლობა წინ უსწრებდეს და მეტად პროგრესული იყოს, ვიდრე ამ დანაშაულების შესაძლო გამოვლინება.

2.2 დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების) კრიმინალიზაცია

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა, იგი ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ზრდის კორუფციის რისკს. ფულის გათეთრების შედეგად უკანონო შემოსავალი იღებს ლეგალურ სახეს, რის შედეგადაც ქვეყანაში

[114]ვრცლად იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ გვერდი, https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/reformebis-da-ganvitarebis-saagento-departamenti/utskebatashorisi-tanamshromloba/organizebuli-danashaulis-tsinaaghmdeg-brdzola (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[115]ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4374126?publication=0, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

საფრთხე ექმნება კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემოს შექმნას, ძლიერდება ორგანიზებული დანაშაულებრივ ჯგუფები და საფრთხე ექმნება ქვეყნის რეპუტაციას საერთაშორისო ასპარეზზე. ფულის გათეთრებას საინტერესო და ათასწლოვანი ისტორია აქვს. ისტორიკოს სტერლინგის აზრით, ჯერ კიდევ 2000 წლის წინ, ჩინელი ვაჭრები ათეთრებდნენ თავიანთ მოგებას, რადგან იმ დროს ადგილობრივმა მთავრობამ აკრძალა კომერციული ვაჭრობის ბევრი ფორმა.[116] შედეგად ჩინელი ვაჭრები იძულებულნი გახდნენ შავი ბაზრიდან მიეღოთ შემოსავალი. ფულის გათეთრების თანამედროვე ვერსია, რაც ასევე დაკავშირებულია ამ ტერმინის წარმოშობის ისტორიასთან, უკავშირდება იტალიური მაფიის ბოსს ალ კაპონეს. ამერიკაში 1920-1930-იან წლებში შემოღებულ „მშრალ კანონს“ მოჰყვა ალკოჰოლური სასმელების უკანონო წარმოება და გაყიდვა. სწორედ ამ დროს გაჩნდა აუცილებლობა ალკოჰოლური სასმელების გაყიდვიდან, ასევე პროსტიტუციიდან და ნარკოტიკების ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავალს მისცემოდა კანონიერი სახე. მიზნის მისაღწევად, ალ კაპონემ აღნიშნული უკანონო შემოსავლით შეიძინა სამრეცხაოები და ამ გზით გაათეთრა ფული.[117] სწორედ, ალ კაპონეს მიერ შეძენილ სამრეცხაოებს უკავშირდება ტერმინი „ფულის გარეცხვა“, რაც ინგლისურად ჟღერს როგორც „Money Laundering”.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1980 წელს ამერიკაში არ არსებობდა კანონი, რომელიც უკანონო შემოსავლის ლეგალიზებას, როგორც დანაშაულს, დასჯადად გამოაცხადებდა. ამის გამო, ალ კაპონე პასუხისგებაში არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისთვის, არამედ გადასახადებისთვის თავის არიდების გამო მიეცა.[118] სწორედ ამ დროიდან დაიწყო ამერიკაში ქვეყნის შიდა სამართლებრივ აქტებში, ფულის გათეთრების, როგორც დანაშაულებრივი

---

[116]დამატებით იხ, https://financialcrimeacademy.org/the-history-of-money-laundering-and-its-origins/#mcetoc_1fg4smuac0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[117]ასევე იხ. https://kyc-chain.com/the-history-of-money-laundering, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[118]დამატებით იხ. https://kyc-chain.com/the-history-of-money-laundering, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ქმედების აღიარება. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ამ დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, ვინაიდან ფული ირეცხებოდა სხვადასხვა ქვეყნაში ერთი ქვეყნიდან მეორეში თანხის გადარიცხვის გზით, ნარკოტიკების ტრანზიტით/ვაჭრობით. ამიტომ აუცილებლი გახდა საკითხის საერთაშორისო დონეზე რეგულირება. საერთაშორისო თვალსაზრისით, პირველი ნაბიჯი უკანონო შემოსავლის ლეგალიზებასთან ბრძოლის კუთხით 1988 წელს გადაიდგა, როცა გაერომ მიიღო ვენის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.[119] კონვენციამ დანაშაულად აღიარა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან მიღებული ფულის „გარეცხვა“ და დაავალა ხელმომწერ სახელმწიფოებს ებრძოლათ ნარკოტიკების ვაჭრობით მიღებული შემოსავლის გათეთრების წინააღმდეგ. ამასთანავე, ორგანიზებული დანაშაულის განვითარების კვალობაზე იზრდებოდა სხვა სახის უკანონო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიც, რომელთა ნაწილიც ასევე „ირეცხებოდა“ და შემდეგ ლეგალურ ეკონომიკაში იდებოდა.[120] საბოლოოდ კი, „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“[121] კონვენციამ დიდი გავლენა მოახდინა დასავლეთის ქვეყნების შესაბამისი კანონმდებლობის განვითარებაზე.[122]

მომდევნო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც უკვე ცალსახად აღიარებდა ფულის გათეთრებას დანაშაულად, ეს იყო 1990 წლის 8 ნოემბრის

---

[119] გაეროს კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2540250?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023) საქართველო 2014 წლიდან არის აღნიშნული კონვენციის მონაწილე.

[120]ნაჭყებია, გორაშვილი და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, 2012, 742.

[121]გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2540250?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[122]ნაჭყებია, გორაშვილი და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, 2012, 742.

ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“.[123] კონვენციის მიზანია, დამნაშავეთათვის დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების ჩამორთმევა. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ მიიღებენ ისეთ საკანონმდებლო ზომებს, რომელიც დასჯადად გამოცხადებს ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ დანაშაულებს.[124] სწორედ ამ კონვენციის საფუძველზე შეიქმნა საქართველოში ფინანსური მონიტორინგის სამსახური.[125]

კიდევ ერთი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც უკანონონო შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურება, არის „ევროპის საბჭოს 2005 წლის, „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ კონვენცია“.[126] კონვენციის ერთ-ერთი მიზანია, დამნაშავეებისათვის დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების და დანაშაულის ჩადენის საშუალებების ჩამორთმევა.[127] აღნიშნული კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2014 წელს.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, უკანონო შემოსავლების ლეგალიზებასთან ბრძოლის კუთხით, 1990 წელს გადაიდგა, როცა შეიქმნა ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (FAFT)[128]. FATF-ის მიზანია

---

[123]ევროპის საბჭოს კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, კონვენცია საქართველოსთვის ძალაშია 2004 წლიდან, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1216554, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[124] იქვე.

[125]დამატებით იხ, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ოფიციალური ვებ გვერდი, https://www.fms.gov.ge/, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[126]ევროპის საბჭოს კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2345907?publication=0 (ბოლოს ნანახია 012/05/2023).

[127] იქვე.

[128]იხ. ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის ოფიციალური საიტი, https://www.fatf-gafi.org/en/home.html (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ღონისძიებების განვითარება და მხარდაჭერა, ფულის გათეთრების წინააღმდეგ საერთო პოლიტიკის წარმართვა და ფულის გათეთრების პროცესის აღკვეთის ხელშეწყობა.[129] FATF-ის რეკომენდაციები იქცა საერთაშორისო სტანდარტებად ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. ფინანსურ ქმედებათა სპეციალურ ჯგუფში ამჟამად 36 წევრია აქედან 34 სახელმწიფო და ორი საერთაშორისო ორგანიზაცია - ევროკომისია და სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო (Gulf Cooperation Council).[130]

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური მნიშვნელობის, საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი კი, იყო/არის განსახილველი პალერმოს კონვენცია.

პალერმოს კონვენციაში ვხვდებით ფულის გათეთრების, როგორც დანაშაულებრივი ქმედების აღიარების მოთხოვნას, ასევე ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ პრევენციული ღონისძიებების ჩამონათვალს. კონვენციის მე-6 მუხლი კი მონაწილე სახელმწიფოებისგან ითხოვს სისხლის სამართლის კანონით დასჯადი გახდეს:

1. „წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების გასხვისება ან გადაცემა ამ ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის ან შენიღბვის მიზნით ან ნებისმიერი პირისათვის დახმარების გაწევის მიზნით, რომელიც პრედიკატული დანაშაულის[131] ჩადენის მონაწილეა, რათა თავი აარიდოს პასუხისმგებლობას;“[132]

---

[129]იხ. ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის ოფიციალური საიტი, https://www.fatf-gafi.org/en/home.html (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[130] იქვე.
[131]ნებისმიერი დანაშაულს, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა შემოსავალი, რომელმაც შეიძლება შეადგინოს განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა.
[132]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

2. ასევე, „წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ნამდვილი ხასიათის, წარმოშობის ადგილმდებარეობის, განკარგვის ხერხის, ქონებაზე უფლების ან მისი მფლობელის დაფარვა ან შენიღბვა“;[133]
3. დასჯადია „დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების შეძენა, ფლობა, გამოყენება, თუ ცნობილია, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული, აგრეთვე ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩასადენად შეკავშირება, დანაშაულის ჩადენის მცდელობა, წაქეზება, ხელის შეწყობა ან რჩევის მიცემა“;[134]

ამრიგად, კონვენცია მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, მიიღონ ისეთი საკანონმდებლო ზომები, რომელიც დასჯადად გამოაცხადებს დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების გასხვისებას ან გადაცემას, უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით. კონვენციის მიზნებისთვის, ქონების გადაცემაში იგულისხმება, ქონების გადამცემის მოქმედება და არა მიმღების, ანუ მოცემულ შემთხვევაში საუბარია არაა ქონების მიმღებზე, რომელმაც შესაძლოა, იცოდეს რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, ხოლო სხვა პირში შეიძლება იგულისხმებოდეს ამ დანაშაულის ჩამდენი პირი.[135] რაც შეეხება დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ნამდვილი ხასიათის დაფარვას, ის მოიცავს უკანონო ქონების წარმომავლობის დადგენას, რაც ფაქტობრივად გამოიხატება, მაგალითად, ყალბი ინვოისით გამოწერილი თანხის გადარიცხვით და აშ.

პალერმოს კონვენციის მე-7 მუხლი, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს შეიმუშაონ უკანონო შემოსავლების ლეგალიზების წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ხერხი. მონაწილე

---

[133]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[134]იქვე.
[135]McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols, 2007, 79.

სახელმწიფოები ვალდებულნი არიან შემოიღონ შიდა რეგულირების და ზედამხედველობის ყოვლისმომცველი რეჟიმი ბანკების და არასაბანკო ფინანსური დაწესებულებების მიმართ, აგრეთვე სხვა ორგანოების მიმართაც, რომლებიც ფულის ლეგალიზაციის თვალსაზრისით განსაკუთრებით დაუცველნი არიან, აღნიშნული რეჟიმი უნდა მოიცავდეს: კლიენტის პიროვნების დადგენას, მონაცემთა რეესტრის წარმოებას და საეჭვო გარიგებებზე ინფორმაციის წარმოდგენას.[136]

აღნიშნული ჩანაწერი ხაზს უსვამს მომხმარებელთა იდენტიფიცირებას, აღრიცხვისა და საეჭვო ტრანზაქციების შესახებ ანგარიშგების მოთხოვნების მნიშვნელობას.[137]

მსგავსი შინაარსის ჩანაწერი გვხვდება ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის მე-5 რეკომენდაციაში, სადაც საუბარია მომხმარებელთა იდენტიფიცირების აუცილებლობაზე, როდესაც არსებობს ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვი.[138]

მონაწილე სახელმწიფოები, უკანონო შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლაში, აუცილებლია, დაეხმარონ იმ ადმინისტრაციულ, მარეგულირებელ, სამართალდამცავ და სხვა ორგანოებს, რომლებიც ებრძვიან ფულადი საშუალებების ლეგალიზაციას (მათ შორის, სასამართლო ორგანოებს – თუ ეს შეესაბამება შიდა კანონმდებლობას). შესაბამისად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან - საერთაშორისო დონეზე გაცვალონ ინფორმაცია, შექმნან ფინანსური ინფორმაციის ოპერატიული სამსახური, რომელიც ფულის გათეთრების პოტენციურ შემთხვევებში იმოქმედებს,

---

[136] პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[137]McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols, 2007, 104.

[138]International standard on combating money laundering and the financing of terrorism and ploriferation, The FATF Recommendations, დამატებით იხ. ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის ოფიციალური ვებ გვერდი, https://www.fatf (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

როგორც ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის და გავრცელების ეროვნული ცენტრი.[139]

მოცემული მუხლი მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან ფინანსური ინფორმაციის ოპერატიული სამსახურის შექმნას, რომელიც ფულის გათეთრების სავარაუდო შემთხვევებში შეაგროვებს და გაავრცელებს ინფორმაციას საერთაშორისო დონეზეც.

მონაწილე სახელმწიფოებმა პრევენციული ფუნქციის ფარგლებში, უნდა განიხილონ შესაძლო ღონისძიებების განხორციელება მათ საზღვარზე ნაღდი ფულადი სახსრების და შესაბამისი საბრუნავი დოკუმენტების გადაადგილების გამოვლენის და კონტროლის მიზნით და მონაწილე სახელმწიფოები უნდა შეეცადონ განავითარონ და წაახალისონ გლობალური, რეგიონალური, სუბრეგიონალური და ორმხრივი თანამშრომლობა, როგორც სასამართლო და სამართალდამცავ ორგანოებს, ასევე საფინანსო რეგულირების ორგანოებს შორის.[140]

საბოლოოდ კი, პალერმოს კონვენციის მიხედვით, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციული ღონისძიებები მოიცავს: ყოვლისმომცველი რეჟიმის დაწესებას ბანკებზე/არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებებზე, რაც - ემსახურება კლიენტის პიროვნების დადგენას და საეჭვო გარიგებებზე ინფორმაციის გაცვლას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას, სასაზღვრო კონტროლის დაწესებას, რაც გულისხმობს ნაღდი ფულის და შესაბამისი საბრუნავი დოკუმენტების შემოწმებას და ასევე ფინანსური ინფორმაციის ოპერატიული სამსახურის შექმნას. თითოეული ღონისძიების მიზანია ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა და მისი პრევენცია.

---

[139] პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[140] იქვე.

რაც შეეხება ქვეყნის შიდა სამართლებრივ ინსტრუმენტებს, აღსანიშნავია კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი და „სისხლის სამართლის კოდექსი“. კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“,[141] საქართველოს პარლამენტმა 2019 წელს მიიღო. ხოლო მანამდე მოქმედებდა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“[142] საქართველოს კანონი. ახალი კანონის რეგულირების სფეროა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა.[143] კანონის ძირითადი არსი არის პრევენციული მექანიზმებით ბრძოლა ფული გათეთრების წინააღმდეგ, იგი საერთაშორისო ხელშეკრულებების, ასევე ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის რეკომენდაციების შესრულებას ემსახურება, რომლის ვალდებულების შესრულებას მონიტორინგს უწევს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL).[144]

დასახელებული კანონის პირველ თავში განმარტებულია სხვადასხვა ტერმინი. კანონის მეორე თავი აწესრიგებს ანგარიშვალდებული პირების საქმიანობაში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების

---

[141]საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=7, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[142]2019 წლიდან, ახალი კანონის მიღების შემდგომ, ძალადაკარგულად გამოცხადდა.

[143]საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=7, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[144]იხ. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ოფიციალური ვებ გვერდი, https://www.fms.gov.ge/geo/page/moneyval (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

შეფასების და მართვის ძირითად საკითხებს.[145] ხოლო მესამე თავი არის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც უშუალოდ პრევენციული ღონისძიებების გატარების საკითხებს აწესრიგებს. კერძოდ, პრევენციული ღონისძიებები გულისხმობს: კლიენტის იდენტიფიკაციას და სანდო და დამოუკიდებელ წყაროზე დაყრდნობით მისი ვერიფიკაციას, ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციას მიიღოს გონივრული ზომები სანდო წყაროზე დაყრდნობით, საქმიანი ურთიერთობის მიზნის და განზრახული ხასიათის დადგენას, საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგს.[146] აღნიშნული ჩანაწერი კანონში FATF-ის მე-10, მე- 17 და 22-ე რეკომენდაციების იმპლემენტაციის შედეგია, რაც ასევე ზუსტად ასახავს პალერმოს კონვენციის მე-7 მუხლში დასახელებული პრევენციული ღონისძიებების შინაარსს.

კანონი, ასევე - განსაზღვრავს უჩვეულო გარიგებების შესწავლის და საეჭვო გარიგებების გამოვლენის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს და აწესრიგებს ანგარიშვალდებული პირების[147] მიერ საეჭვო გარიგების შესახებ ანგარიშგების და სხვა ინფორმაციის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის საკითხებს.[148] როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შექმნა „დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ ევროპული კონვენციის იმპლემენტაციის შედეგია. აღნიშნული სამსახურის მიზანია, საქართველოში

---

[145] საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=7, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[146]იქვე.

[147]ანგარიშვალდებული პირების ჩამონათვალი განსაზღვრულია კანონით, ვრცლად იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=7, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[148] საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=7, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა.[149] რაც შეეხება მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, იგი სწავლობს საქართველოში და საზღვარგარეთ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხერხებს და შეიმუშავებს საეჭვო გარიგების გამოვლენისას ანგარიშვალდებული პირისთვის სახელმძღვანელო, საყურადღებო ნიშნებს, აანალიზებს ანგარიშვალდებული პირებისგან და სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას და ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის თაობაზე, თავისი ანალიზის შედეგებს უგზავნის საქართველოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს, ქმნის საინფორმაციო ქსელს, ახორციელებს მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციასა და უზრუნველყოფს შესაბამის მონაცემთა აღრიცხვის ბაზის შექმნასა და ფუნქციონირებას.[150] სპეციალური ოპერატიული სამსახურის შექმნა პალერმოს კონვენციის ერთ-ერთი მოთხოვნაა და ემსახურება ფულის გათეთრების პრევენციას.

როგორც დავინახეთ, პალერმოს კონვენცია ორი მიმართულებით ებრძვის ფულის გათეთრებას, პირველი, ეს არის პრევენციული ღონისძიებები, რომლის იმპლემენტაციასა და საკანონმდებლო რეგულირებაზე ვისაუბრეთ ქართულ კანონმდებლობასთან მიმართებით. რაც შეეხება უკანონო შემოსავლების ლეგალიზებას, იგი კრიმინალიზებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. კერძოდ, სსკ-ის 194-ე მუხლით დასჯადია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ხოლო სსკ-ის 194[1]-ე მუხლით უკანონონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობა, ნივთის შეძენა,

[149]საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულება, ვრცლად იხ. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://www.fms.gov.ge/Uploads/files/Samsaxuris_debuleba_26.12.2019.pdf (ბოლოს ნანახია, 12/05/2023).

[150]საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=7, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ფლობა ან გასაღება.[151] სსკ-ის ორივე მუხლის მიზანია, აღკვეთოს ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში უკანონო შემოსავალი. 194[1] -ე მუხლის დამატება სსკ-ში ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის რეკომენდაციით მოხდა. ასევე სსკ-ში 2010 წელს განხორციელდა კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო შესყიდვების წესების დარღვევას, ვინაიდან აღნიშნული ქმედება შესაძლოა იყოს უკანონო შემოსავლის მიღების ერთ-ერთი გზა.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთა მიზნად ისახავს არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური სისტემის დაცვას, არამედ მისი მიზანია, აღკვეთოს და გამოავლინოს ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად მიღებული მატერიალური სარგებელი.

საქართველოში არსებობს, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“. სტრატეგიის ძირითადი მიზანია, საქართველოში საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ეროვნული სისტემის ფორმირება, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული დანაშაულების პრევენციას, მათი რაოდენობის კლებას და დროულ გამოვლენას.[152] აღნიშნულ სტრატეგიის შესრულების კოორდინაციის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს ხელმძღვანელობს სქართველოს ფინანსთა მინისტრი, საბჭოს შემადგენლობაში შედიან როგორც სხვა უწყებების წარმომადგენლები, ასევე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები

---

[151]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ საიტზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=248 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[152]ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2284180?publication=3, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

და მეცნიერები. საბჭოს მიზანია, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციისათვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი შესრულების კოორდინაცია.[153]

რაც შეეხება, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტების პრაქტიკაში განხორციელებას და მისი გამოყენების საკითხს, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა პროკურატურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. 2020 წლის სექტემბერში ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტმა (Moneyval) საქართველოს მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიში დაამტკიცა, რომლითაც პოზიტიურად შეფასდა საქართველოს პროკურატურის მიერ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გატარებული ღონისძიებები.[154] შეფასების თანახმად, „საქართველოს აქვს ეფექტიანი სამართლებრივი და ინსტიტუციური სისტემა ფულის გათეთრების დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის, ამასთან, საგამოძიებო და საპროკურორო ორგანოები სათანადო რესურსითაა უზრუნველყოფილი“.[155]

პალერმოს კონვენციის განხილული მუხლი კრიმინალიზებულია კონვენციის მონაწილე უმრავლეს სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობაში. გამონაკლისია ანგოლა, რომლის კანონმდებლობაში არ არის ჩანაწერი ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით, აზერბაიჯანმა კი

---

[153]ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და მისი შესრულების კოორდინაციის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2150844?publication=4, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[154]საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგია, იხ. საქართველოს მთავარი პროკურატურის საიტი, https://pog.gov.ge/uploads/7f5da215-saqarTvelos-prokuraturis-2022-2027-wlebis-strategia, (ბოლოს ნანახია 12/05/2023) 18-19.

[155]იქვე.

მოგვიანებით მიიღო კანონი, რომელიც მიზნად ისახავს ფულის გათეთრების კრიმინალიზებას.[156]

რაც შეეხება ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენულ ვითარებას, ვრწმუნდებით, რომ ორგანიზებული დანაშაული არის ცოცხალი ორგანიზმი, ის ვითარდება და იცვლის ფორმას. აღსანიშნავია ისიც, რომ უკანონო შემოსავლების ლეგალიზებას შესაძლოა სხვადასხვა ფორმა და სქემა ჰქონდეს, ხოლო მისი ჩადენის ხერხები მეტწილად განსხვავდება ერთმანეთისგან. გარკვეულ შემთხვევებში, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრედიკატულ დანაშაულად გვევლინება კიბერდანაშაული, რაც განპირობებულია ციფრულ ტექნოლოგიებზე საზოგადოების მზარდი დამოკიდებულებით.[157] ხშირია შემთხვევები, როდესაც დამნაშავეები სხვადასხვა ხერხებით (ფიშინგი, ჰაკინგი) უნებართვოდ აღწევენ დაზარალებულის კომპიუტერულ სისტემაში, ეუფლებიან კონფიდენციალურ კომერციულ მონაცემებს, საბანკო ბარათის მონაცემებს და ფულად თანხებს ფარულად რიცხავენ მათ მიერ კონტროლირებად ანგარიშებზე.[158]

ფულის გათეთრების საქმეთა უმეტესობა საბანკო სექტორის ისეთ სერვისებს უკავშირდება, როგორიცაა: საბანკო ანგარიშებზე თანხის შეტანა/ჩარიცხვა და შემდგომ განაღდება/გადარიცხვა, ასევე, საკუთარ ანგარიშებს შორის ფულის მოძრაობა და სხვა ანგარიშზე თანხის გადარიცხვა, ინტერნეტ ბანკინგის მომსახურება, რომლითაც დროის უმოკლეს ვადაში ხდება თანხის კონვერტაცია, დანაწევრება და ტრანზაქციების განხორციელება.[159]

---

[156] United Nations Conference of the Parties to the United Nations Convention against Transnational Organized Crime, 2008, 5.

[157]დამატებით იხ. საქართველოს პროკურატურის ვებ გვერდზე, https://pog.gov.ge/news/bakur-abulaZe-saqarTvelos-prokuratura-transnacionaluri-danashaulebis-gamoZiebis-processhi-saerTash (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[158]იქვე.

[159]იქვე.

აქტუალურია ე.წ. „ქოლ ცენტრების“ საქმეები, რომელიც არის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ახალი ფორმა და ახალი გამოწვევა. სქემის მონაწილე საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები აყალიბებენ სტრუქტურული ფორმის მქონე ორგანიზებული დანაშაულებრივ ჯგუფებს, რომლებიც შემდგომი საქმიანობისთვის საქართველოში აფუძნებენ კომპანიებს, აწყობენ ე.წ. ქოლ-ცენტრებს. დანაშაულებრივი ჯგუფები, თაღლითურად ეუფლებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეების კუთვნილ მილიონობით ევროს და დანაშაულებრივი გზით მიღებული უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას ახდენენ. მაგალითად, 2022 წლის 02 მაისს „ქოლ-ცენტრების" მეშვეობით თაღლითობასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში ჩართული 9 პირი გამოავლინა. სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი 7 ფიზიკური და 2 იურიდიული პირის მიმართ.[160] დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები მომხმარებლისგან მოტყუებით მიღებულ თანხას ათავსებდნენ დანაშაულებრივი ჯგუფის კონტროლის ქვეშ არსებულ საბანკო ანგარიშებზე და მათი ნაწილი, ფიქტიური დანიშნულებით, ირიცხებოდა საქართველოში, მათივე კომპანიების ანგარიშებზე.[161]

2023 წლის 12 მაისს, საქართველოს პროკურატურამ ტრანსნაციონალური დანაშაული გამოავლინა, კერძოდ დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლების ლეგალიზების ფაქტები. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ინტერნეტ-სივრცეში განათავსეს რეკლამა და აშშ-ის მოქალაქეებს დიდი ოდენობით თანხები ჩაარიცხინეს საქართველოში - მათ მიერვე დაფუძნებული საბანკო ანგარიშებზე. ამის შემდეგ ბრალდებულმა შემოსავლისთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, თანხის ნაწილი, ფიქტიური დანიშნულებებით და გაყალბებული დოკუმენტაციის საფუძველზე, გადარიცხა სხვადასხვა ქვეყანაში

[160]დამატებით იხ. საქართველოს პროკურატურის ვებ გვერდზე, https://pog.gov.ge/news/bakur-abulaZe-saqarTvelos-prokuratura-transnacionaluri-danashaulebis-gamoZiebis-processhi-saerTash (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[161]იქვე.

მასთან დაკავშირებული იურიდიული პირების ანგარიშებზე, რა გზითაც 1 770 000 აშშ დოლარის ლეგალიზაცია მოახდინა.[162]

რაც შეეხება კიდევ ერთ ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს. მიმდინარე წლის მაისში, საფრანგეთში მოქმედი საწარმოების კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების მიზნით, უცხო ქვეყნის მოქალაქემ ოფშორული კომპანია დაარეგისტრირა და საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებაში საწარმოს ანგარიშები გახსნა, აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით ბრალდება იურიდიულ პირებსაც წარედგინათ.[163]

საინტერესოა სტატისტიკა, რომელიც მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, კერძოდ 2020 წელს სსკ-ის 194-ე და 194[1]-ე მუხლებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 30 პირის მიმართ, მომდევნო წელს ეს მაჩვენებელი 107-მდე გაიზარდა, ხოლო 2022 წლის მარტის ჩათლის 40 პირის მიმართ დაიწყო დევნა.[164] თუ შევადარებთ გასული წლის სამი თვის სტატისტიკას მიმდინარე წლის სამ თვეს, სისხლისამართლებრივი დევნის მაჩვენებელი თითქმის სამჯერ არის გაზრდილი.

მიუხედავად არაერთი საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა სამართლებრივი ინსტრუმენტების არსებობისა, ქვეყანაში გამოწვევად რჩება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ფორმა. კანონმდებლობა შესაბამისობაშია საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და კონვენციებთან, მაგრამ მხოლოდ საკანონმდებლო ბაზის დახვეწით ვერ მიიღწევა სრულყოფილი შედეგი, ამისათვის უცილებელია საგამოძიებო უწყების თანამშრომლების გადამზადება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ინფორმაციის გაცვლა, რაც

[162]დამატებით იხ, https://tabula.ge/ge/news/701218-pog-gamovlenilia-didi-odenobit-tankhebis (ბოლოს ნანახია 12/05/2023)
[163]იქვე.
[164]იქვე.

ხელს შეუწყობს ორგანიზებული ჯგუფების საქმიანობის გამოვლენას, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ფორმით ახერხებენ თაღლითობას და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას.

2.3 კორუფციის კრიმინალიზაცია

კორუფცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს რაიმეს „გაფუჭებას“. სიტყვასიტყვით კი, იგი ნიშნავს სახელმწიფოს ძალაუფლების არადანიშნულებისამებრ ან არალეგიტიმურად გამოყენებას პირადი კეთილდღეობისთვის.[165] რაც შეეხება საკანონმდებლო დონეზე ამ ტერმინის დეფინიციას, კორუფციის ტერმინის განმარტება არ არსებობს, მაგრამ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონში განმარტებულია კორუფცია საჯარო სამსახურში, რაცა ნიშნავს „საჯარო მოსამსახურის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენებას კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემასა ან მის მიღებას და დაკანონებაში ხელის შეწყობა“.[166] კორუფცია და კორუფციული დანაშაულები უცხო არ არის არც ერთი სახელმწიფოსთვის, იგი სახელმწიფოების ჩამოყალიბებასთან ერთად გაჩნდა. ევრიპიდე წერდა: „შეთავაზების შემდეგ, ღმერთებიც კი დამთმობები ხდებიანო“.[167] კორუფციაა ყველგან, სადაც პირადი ინტერესი და კეთილდღეობა უფრო მაღლა დგას, ვიდრე სახელმწიფოებრივი. პრაქტიკულად იგი უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ, სამართლებრივ, დემოკრატიულ განვითარებაზე და ასუსტებს მოქალაქეების ნდობას საჯარო პირების მიმართ.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა უცხო არ არის ჩვენი ქვეყნისთვის, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ქვეყნის დემოკრატიული

---

[165]დამატებით იხ. http://genia.ge/?p=10547 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[166]კორუფციის წინააღმდეგ ბროლის შესახებ საქართველოს კანონი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=81 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[167] დამატებით იხ, http://genia.ge/?p=10547 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

არასტაბილურობის ფონზე მაღალი იყო კორუფციის რისკი და დიდი გამოწვევა იყოს ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. მიუხედავად გასული 30 წლისა, დღემდე მწვავედ დგას ეს პრობლემა და აქტუალურობას არ კარგავს კორუფციული დანაშაულების სხვადასხვა გამოვლინებები. ის, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არის აქტუალური ამაზე მსჯელობს საქართველოს პროკურატურის სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში 2022 წელს გამოძიება დაიწყო საჯარო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებულ 172 სისხლის სამართლის საქმეზე. 2021 წელს აღნიშნული კატეგორიის დანაშაულზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 168 საქმეზე (სააჯრო სექტორი).[168]

საქართველო არის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის არაერთი საერთაშორისო კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფო, რაც გულისხმობს საერთაშორისო დონეზე კორუფციული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულებას და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ინსტრუმენტების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციას. საქართველო არის გაეროს „კორუფციის წინაღმდეგ ბრძოლის“ კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, ასევე ევროსაბჭოს „კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის“ კონვენციის[169] ხელმომწერი სახელმწიფო, რაც ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, მიიღონ ისეთი საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადებს: ქვეყნის მოხელეთა აქტიურ/პასიურ მექრთამეობას.[170] ასევე, აქტიური და პასიურ მექრთამეობას კერძო სექტორში, საბუღალტრო საქმიანობის წარმოებისას ჩადენილ დანაშაულებს, როგორიცაა: მცდარი და არასრული ინფორმაციის შემცველი ფაქტურის ან სხვა ნებისმიერი

[168]დამატებით, იხ საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://pog.gov.ge/uploads/883047f3-saqarTvelos-prokuraturis-2022-wlis-9-Tvis-saqmianobis-angari.pdf, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[169]კორუფციაზე სისხლის სამართლის გაეროს კონვენცია, იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ საიტზე, https://police.ge, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[170]აქტიურ მექრთამეობაში იგულისხმება ქრთამის შეთავაზება დაპირება, ხოლო პასიურში ამგვარი სარგებლის მიღება.

საბუღალტრო საბუთის ან რეგისტრის შექმნა ან გამოყენება.[171] აღნიშნულ კონვენციას საქართველო 2008 წლის პირველი მაისიდან შეუერთდა.

ზემოაღნიშნულ კონვენციასთან შეერთებამდე, საქართველო იყო პალერმოს კონვენციის წევრი სახელმწიფოც. შესაბამისად, ამ დროს ქვეყნაში უკვე არსებობდა ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც ითხოვდა კანონმდებლობაში კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ნორმების არსებობას.

პალერმოს კონვენციის მე-8 მუხლი მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება აუცილებელი გახდეს განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედებების დანაშაულად გამოცხადებისათვის: „საჯარო მოხელისთვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება ამ მოხელის ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის სასარგებლოდ, იმისთვის, რომ ამ მოხელემ, თავისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას, განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განხორციელებისაგან“.[172]

მოცემული მუხლის შინაარსი ეხება აქტიურ კორუფციას, ქრთამის მიმცემი პირის ქმედებას, თუნდაც რაიმე სარგებლის დაპირებას. მოცემული მუხლის მიზნებისთვის მხოლოდ დაპირებაა საკმარისი, და საჭირო არ არის რეალურად რაიმე სარგებლის მიღება ან დაპირებული ნივთის გადაცემა.[173] იდენტური ჩანაწერი არსებობს „გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციაში.“

რაც შეეხება პალერმოს კონვენციის მერვე მუხლის მეორე დათქმას, ის ითხოვს ე.წ პასიური კორუფციის კრიმინალიზებას, კერძოდ: „საჯარო მოხელის მიერ, პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის

---

[171]კორუფციაზე სისხლის სამართლის გაეროს კონვენცია, იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ საიტზე, https://police.ge, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[172]პალერმოს კონვენცია, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/04/2023).

[173]McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols, 2007, 118.

მიღება ან მოთხოვნა, პირადად ამ მოხელის ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის სასარგებლოდ, იმისათვის, რომ ამ მოხელემ თავისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განხორციელებისაგან."[174]

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ პალერმოს კონვენცია ახდენს ისეთი ტერმინის განმარტებას, როგორიცაა „საჯარო მოხელე." აღნიშნული მუხლის მიზნებისთვის „საჯარო მოხელე ნიშნავს საჯარო მოხელეს ან პირს, რომელიც ასრულებს საჯარო სამსახურს, როგორც ეს განსაზღვრულია შიდა კანონმდებლობით, რომელშიც მოცემული პირი ასრულებს ამგვარ ფუნქციებს და როგორც ეს გათვალისწინებულია ამ მონაწილე სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში."[175] აღნიშული განმარტება ცოტა ბუნდოვანია, მაგრამ ეს ჩანაწერი იძლევა იმის საშულებას, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში დაზუსტდეს ბევრი ასპექტი და უფრო ვრცელი და მკაფიო სახით ჩამოყალიბდეს ამ ტერმინის განმარტება. უფრო მკაფიო განმარტებაა მოცემული გაეროს კონვენციაში „კორუფციის წინააღმდეგ", რომლის მიხედვითაც, საჯარო თანამდებობის პირი ნიშნავს, „ნებისმიერ პირს, რომელსაც უკავია მონაწილე სახელმწიფოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი, ადმინისტრაციული ან სასამართლო თანამდებობა, იქნება ეს დანიშნული თუ არჩეული, მუდმივი თუ დროებითი, ანაზღაურებადი თუ არა ანაზღაურებადი, რომელიც ასრულებს საჯარო ფუნქციას, ასევე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ასრულებს საჯარო ფუნქციას".[176]

რაც შეეხება ქვეყნის შიდა სამართლებრივ აქტებს, როგორც კორუფციის პრევენციის, ისე კორუფციის კრიმინალიზების კუთხით, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონი. მნიშვნელოვანია ვნახოთ

---

[174]პალერმოს კონვენცია, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[175] იქვე.

[176]United Nations Convention against Corruption, იხ. გაეროს ოფიციალურ საიტზე https://www.unodc.org, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

სსკ-ის მუხლები, რომლებიც ანტიკორუფციული იდეის მატარებელია და ასევე, საინტერესოა, როგორ აისახა ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების შინაარსი ქართულ კანონმდებლობაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მექრთამეობა არის კორუფციის ყველაზე გავრცელებული ფორმა. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლი ეხება აქტიურ კორუფციას, ხოლო 339-ე მუხლი პასიურ კორუფციას. კლასიკური გაგებით, ქრთამის მიცემაში იგულისხმება მოხელისათვის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის პირდაპირ ან არაპირდაპირ, მის ან სხვა პირის სასარგებლოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება, რათა მან თანამდებობრივი უფლებების განხორციელებისას და მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან, ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი, აგრეთვე, განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა.[177] ხოლო ქრთამის აღებაში იგულისხმება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა, ასევე, ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღება თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა, თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების

[177]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=248 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

განხორციელებისაგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი და განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა.[178]

მოცემული მუხლების მსგავსი ჩანაწერია პალერმოს კონვენციასა და ევროპის საბჭოს კონვენციაში. ზემოთ აღნიშნული მუხლების განმარტებას, ქმედების სსკ-ის 338-ე და 339-ე მუხლებით კვალიფიკაციისთვის აუცილებლია სპეციალური ამსრულებელი - მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, ან სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი.[179] ქრთამის საგანი შეილება იყოს, ფული, ნებისმიერი ქონება ან არამართლზომიერი უპირატესობა და ფასიანი ქაღალდი. რაც შეეხება ქრთამის მოთხოვნას, დაპირებას, ან შეთავაზებას, სსკ-ში აღნიშნული ჩანაწერები 2006 წელს გაჩნდა, რაც უშუალოდ პალერმოს კონვენციის იმპლემენტაციის შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მანამდე ქრთამის აღება, გამოიხატებოდა ქრთამის მიღებაში, ყველა დანარჩენი ქმედება, რაც წინ უძღოდა ქრთამის აღებას განიხილებოდა, როგორც ქრთამის აღების დაუმთავრებელი სტადია ან დისციპლინური გადაცდომა.[180] აღნიშნული ცვლილებით კი გამკაცრდა სასჯელი მექრთამეობისთვის.

338-ე მუხლს აქვს რიგი დამამძიმებელი გარემოებები, რაც მოიცვას ქრთამის აღებას სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, გამოძალვით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ და სხვა დამამძიმებელი გარემოებები.[181]

რაც შეეხება ქრთამის მიცემას, მისი ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერ პირი, დანაშაულის საგანი, იგივეა რაც ქრთამის მიცემის, განსახილველი დანაშაული ფორმალური დანაშაულის ხასიათს ატარებს და დამთავრებულია ქრთამის საგნის შეთავაზების დაპირების მომენტიდან.

---

[178]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=248 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[179]მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა, ნონა., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი II, (თბილისი: მერიდიანი, 2020), 390.

[180]იქვე.394.

[181]იქვე.390.

მოცემულ მუხლს, თან ახლავს წამახალისებელი შენიშვნა, რაც ითვალისწინებს ქრთამის მიმცემის ნებაყოფლობით განცხადებას შესაბამის ორგანოში, ასეთ შემთხვევაში ქრთამის მიმცემი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან.[182]

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არ მოიცავს მხოლოდ ქრთამის აღების და ქრთამის მიცემის კრიმინალიზებას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს რამდენიმე მუხლი, რომელთა მიზანია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. მათ შორისაა: სსკ-ის 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), სსკ-ის 333-ე მუხლი (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), სსკ-ის 337-ე მუხლი (სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა) და სსკ-ის 339[1]-ე მუხლი (იმ პირისათვის, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის ან მოხელესთან გათანაბრებული პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე პირდაპირ ან არაპირდაპირ, მის ან სხვა პირის სასარგებლოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება იმ პირის მიერ, რომელიც მოქმედებს საკუთარი ან სხვა პირის ინტერესებისათვის, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა ასეთი ზეგავლენა ან/და მიღებულ იქნა თუ არა ამ ზეგავლენის სასურველი შედეგი).[183] კიდევ არის სსკ-ში რამდენიმე მუხლი, რომელიც მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ აკრძალული საჩუქრის მიღებას, ასევე სამსახურებრივ სიყალბეს და სამსახურებრივ გულგრილობას აცხადებს დასჯადად.[184]

მოცემული მუხლების მიზანია, აღკვეთოს ქვეყანაში კორუფციის ყველა გამოვლინება და ასევე ყველა ის ქმედება, რასაც შესაძლოა ჩაიდინოს საჯარო

---

[182]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=248 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[183]იქვე.

[184]იქვე.

მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა სარგებლის ან უპირატესობის მისაღებად. აღნიშული მუხლები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 2006 წელს კორუფციასთან ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენციასთან შეერთების შემდგომ გაჩნდა.

მუხედავად არაერთი სპეციალური მუხლის არსებობისა, პრაქტიკაში ხშირად წარმოიქნება სხვადასხვა ქმედების კვალიფიკაციის პრობლემა, რაშიც იკვეთება კორუფციის ნიშნები. მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხლოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება.[185] მოცემულ საქმეში, მოხელემ ქრთამის აღებასთან ერთად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩაიდინა სხვა დანაშაული. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო-სვანეთის სამხარეო სამმართველოს უფროსმა (ზ.ს.) და მოქალაქე ა. ნ-მ მოილაპარაკეს, რომ გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, ზ.ს. სამსახურებრივი მფარველობით დახმარებას გაუწევდა მას, დაუბრკოლებლად შემოეტანა ნარკოტიკული ნივთიერებები თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში და უსაფრთხოდ მოეხდინა მისი რეალიზაცია.[186] აღნიშნული დანაშაულებრივი შეთანხმების საფუძველზე, ზ.ს. სამსახურებრივი უფლებამოსილებისა და ავტორიტეტის გამოყენებით, პერიოდულად ეხმარებოდა მას აეროპორტის სასაზღვრო - გამშვები პუნქტების გავლით, საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შემოტანაში და სასაზღვრო - გამშვები პუნქტიდან საქართველოს ტერიტორიაზე, დანიშნულების ადგილამდე, უსაფრთხოდ გადაადგილებაში, რაშიც ზ.ს-ს ქრთამის სახით აძლევდა გარკვეულ თანხას. შეთანხმებული თანხის დაგვიანებით ან სრულად მიუცემლობის შემთხვევაში ზ. ს., ა. ნ-ს ფიზიკურად

[185]საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, №558აპ-18 , იხ. სქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ საიტზე, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[186]იქვე.

უსწორდებოდა და მისი ოჯახის წევრებს ემუქრებოდა სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით.[187]

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 მაისის განაჩენით ზ.ს., - ცნო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ'' და მე-3 ნაწილის ,,გ'' (ქრთამის აღება დიდი ოდენობით და გამოძალვით) და სსკ-ის 24,262-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა'' და მე-4 ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტებით (საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანაში დახმარება, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დიდი ოდენობით).[188] 2018 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ზ.ს ქმედება გადააკვალიფიცრა და სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ'' და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ'' ქვეპუნქტებით მეორე ინსტანციამ მხედველობაში არ მიიღო ნარკოტიკების უკანონოდ შემოტანის ფაქტი და საჯარო მოხელის ქმედება ქრთამის აღებად და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად მიიჩნია.[189] ხოლო საკასაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე შეეცვალა სააპელაციო სასმართლოს გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ ზ. ს. სწორედ, თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილებისა და ავტორიტეტის გამოყენებით, როგორც კონკრეტული ქმედებებით, ასევე მოქმედებათა ერთობლიობით ეხმარებოდა ა. ნ-ს ნარკოტიკული საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხოდ შემოტანაში, ზ.ს. ა. ნ-ს აქტიურად ეხმარებოდა არა მხოლოდ საქართველოს საზღვარზე უსაფრთხო შემოსვლაში, არამედ - ასევე საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხო, დაუბრკოლებელ გადაადგილებასა და უფრო მეტიც ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციაში, ამდენად, ბრალდების მითითებულ ეპიზოდში ზ.ს-ს ქმედება წარმოადგენს არა

---

[187]საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, №558აპ-18 , იხ. სქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ საიტზე, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[188]იქვე.

[189]იქვე.

საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), არამედ - საქართველოს სსკ-ის 24,262-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებას (თანამონაწილეობა დახმარების სახით საქართველოში ნარკოტიკული საშუალების შემოტანაში, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით).[190]

რაც შეეხება ქრთამის აღებას, ჩადენილს გამოძალვით, საკასაციო პალატას, მართალია, იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს ქრთამის აღებად, ჩადენილი გამოძალვით, აუცილებელია, რომ მოხელე ითხოვდეს ანდა საქმის განზრახ გაჭიანურებით ან სხვაგვარი უმოქმედობით პირს არაპირდაპირ აიძულებდეს ქრთამის მიცემას ამ პირის უფლების ან კანონიერი ინტერესის განხორციელების უზრუნველყოფისათვის, რაც მისი, როგორც მოხელის, სამსახურებრივ ვალდებულებას წარმოადგენს. [191]

ვიზიარებთ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საჯარო მოხელე სწორედ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ცდილობდა ქვეყანაში ნარკოტიკების შემოტანას და ასევე ახდენდა მის რეალიზაციას, შესაბამისად მოცემულ საქმეში მნიშვნელოვანი იყო საჯარო მოხელის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედების სამართლებრივი შეფასება.

კორუფციულ დანაშაულებს, გარდა კრიმინალიზებისა, სჭირდება პრევენცია, პრევენცია უკეთესია, ვიდრე შედეგების აღმოფხვრა („Prevention is better than cure").[192] მსოფლიო მასშტაბით, ქვეყნებს გააჩნიათ კორუფციის პრევენციის განსხვავებული მეთოდები, თუმცა, კორუფციულ დანაშაულებზე

---

[190]საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, №558აპ-18 , იხ. სქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ საიტზე, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[191]იქვე.

[192]იხ. ვრცლად https://www.rcn.org.uk/Get-Involved/Campaign-with-us/Prevention-is-better-than-cure (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ცნობიერების ამაღლება, საზოგადოების მხრიდან კორუფციის მიმღებლობის შემცირება, საჯარო მოხელეების კეთილსინდისიერების ამაღლება, კორუფციის რისკების იდენტიფიცირება და შეფასება წარმოადგენს პრევენციის ძირითად საშუალებებს.

საქართველოში კორუფციის პრევენციას, როგორც ინსტიტუციონალურ, ისე საკანონმდებლო დონეზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. შეიცვალა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის პრევენციის შესახებ" კანონის შინაარსი, ასევე მისი დასახელება. დღეს მოქმედი ახალი კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" ადგენს საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის და კორუფციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებს, სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე არეგულირებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენის, წარდგენილი დეკლარაციების მონიტორინგის პირობებსა და მექანიზმს, აგრეთვე მამხილებელთა დაცვის, ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების ძირითად საფუძვლებს.[193]

კანონში თანამდებობის პირთა ვრცელი და დეტალური ჩამონათვალია, განმარტებულია კორუფცია საჯარო სამსახურში, განმარტებულია საჩუქარი და მისი მიღების წესი, კანონში დეტალურადაა გაწერილი ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის წესი და პირობები, ასევე სუბარია ქონებრივი დეკლარაციის მონიტორინგის განხორციელების წესზე.[194] კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში სრული და სწორი მონაცემების შეტანის და დეკლარაციის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგს

[193]კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=81 (ბოლოს ნანახია 07/06/2022).

[194]იქვე.

ახორციელებს ანტიკორუფციული ბიურო.[195] ანტიკორუფციული ბიურო ასევე სიახლეა საქართველოს რეალობისთვის, მან ფუნქციონირება 2023 წელს დაიწყო. ანტიკორუფციულ ბიუროს არ აქვს საგამოძიებო ფუნქცია, გამოძიების ნაწილს ხელმძღვანელობს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო. შესაბამისად, ბიუროს კომპეტენცია განისაზღვრება პრევენციული ფუნქციების განხორციელებით, მათ შორის როგორც უკვე აღვნიშნეთ, დეკლარაციების მონიტორინგით.

ანტიკორუფციული ბიუროს ჩამოყალიბებამდე, დეკლარაციების მონიტორინგს ახორციელებდა საჯარო სამსახურის ბიურო. თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების შემოწმება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ან დასაბუთებული განცხადების საფუძველზე ხდება. 2021 წლის მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ განხორციელებულმა აქტივობებმა თანამდებობის პირთა დეკლარაციების მონიტორინგის სფეროში პოზიტიური შედეგი გამოიღო, რასაც მოწმობს ციფრებიც. კერძოდ, 2017-2018 წლების მონიტორინგის შედეგად უარყოფითად შეფასდა შემოწმებულ დეკლარაციათა 80%, ხოლო 2019-2020 წლის მონიტორინგის შედეგების თანახმად აღნიშნულმა მაჩვენებელმა დაიწია საშუალოდ 55%-მდე.[196] რაც შეეხება 2020-2021 წლების შედეგების შედარებას, დადებითად შეფასებული დეკლარაციების პროცენტული მაჩვენებელი 38%-დან გაიზარდა 43%-მდე, ხოლო დაჯარიმებულ თანამდებობის პირთა რაოდენობა 2020 წელთან შედარებით 51%-დან შემცირდა 44%-მდე.[197] მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მუშაობა, ვინაიდან ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის დროს, შესაძლოა გამოიკვეთოს სისხლის

---

[195] კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=81 (ბოლოს ნანახია 07/06/2022).

[196] 2021 წელს განხორციელებული დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების ანგარიში, ვრცლად იხ. საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალურ საიტზე, http://www.csb.gov.ge/media, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[197] იქვე.

სამართლის დანაშაულის ნიშნები, ასევე, მნიშვნელოვანია აწ უკვე ანტიკორუფციულმა ბიურომ უფრო მეტი დეკლარაცია შეისწავლოს და გამოავლინოს ხარვეზები.

საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციის მნიშვნელოვანი ბერკეტია მამხილებელთა დაცვის ინსტიტუტი. „მხილება არის პირის (მამხილებლის) მიერ განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან/და საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმირება საჯარო მოსამსახურის (მხილებულის) მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შემცველი ნორმების დარღვევის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელმაც ზიანი მიაყენა ან შეიძლება მიაყენოს საჯარო ინტერესს ან შესაბამისი საჯარო დაწესებულების რეპუტაციას“.[198] მხილებად ჩაითვლება, აგრეთვე, მამხილებლის მიერ ზემოაღნიშნული დარღვევის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.[199] ჩვენს ქვეყანაში მხილების ინსტიტუტის პოპულარიზება მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს კორუფციული ქმედებების გამოვლენას და აღკვეთას. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონი უზრუნველყოფს მამხილებელი პირების კონფიდენციალობის მკაცრ დაცვას. სიახლეს წარმოადგენს, ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე ჩაშენებული პროგრამა, რაც საშუალებას იძლევა მამხილებელმა გააგზავნოს გარკვეული ხასიათის ინფორმაცია.

რაც შეეხება ანტიკორუფციული ბიუროს სხვა უფლებამოსილებებს, მის კომპეტენციას განეკუთვნება: ანტიკორუფციული სტრატეგიის შემუშავება, საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილების,

---

[198] კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=81 (ბოლოს ნანახია 07/06/2022).

[199] იქვე.

გამოვლენისა და აღკვეთის შესახებ შესაბამისი, წინადადებების, რეკომენდაციების და კანონის შესაბამისად ამ სფეროსთან დაკავშირებულ სხვა სათანადო ღონისძიებების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პოლიტიკური პარტიის), საარჩევნო სუბიექტისა და განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი, ასევე იგი ემსახურება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების შესახებ, ასევე იკვლევს და აანალიზებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას.[200] ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის მიზანია, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა, მისი შექმნის აუცილებლობა და მიზანშეწონილობა ასევე წარმოადგენდა ევროკომისიის მიერ გაცემული 12 რეკომენდაციათაგან ერთ-ერთს, რომლის მიხედვითაც უნდა გაძლიერებულიყო ანტიკორუფციული სამსახურის დამოუკიდებლობა, მაღალი დონის კორუფციასთან ბრძოლის მიზნით. როგროც დავინახეთ, ჩამოთვლილი ანტიკორუფციული ბიუროს ფუნქციები არის პრევენციული და არა საგამოძიებო, კორუფციასთან ბრძოლის საგამოძიებო ფუნქციები ისევ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კომპეტენციას განეკუთვნება. ამ დროს ჩნდება კითხვა - რამდენად შეესაბამება ევროსაბჭოს დირექტივას საქართველოში შექმნილი დამოუკიდებელი ანტიკორუფციული ბიურო?! და რამდენად შესწევს უნარი ანტიკორუფციულ ბიუროს ზემოაღნიშნული ფუნქცია-მოვალეობით ებრძოლოს მაღალი დონის კორუფციას?!

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი და კოორდინირებული ბრძოლის ხელშეწყობის მიზნით, შექმნილია უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭო, საბჭოს მიზანია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრა, საქართველოს ეროვნული

[200]საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანტიკორუფციული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5745658?publication=0 (ბოლოს ნანახია, 12/05/2023).

ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, ასევე მისი მიზანია ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით მისცეს მას სათანადო რეკომენდაციები.[201]

რაც შეეხება ბოლო წლების მონაცემებს, 2021 წლის იანვარში გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, რომელიც 2020 წლის მდგომარეობას ასახავს, კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს 56 ქულა აქვს და 45-ე ადგილს იყოფს პოლონეთთან და სენტ-ლუსიასთან, საქართველოს 56 ქულა ჰქონდა გასული წლის კორუფციის აღქმის ინდექსშიც, თუმცა 44-ე ადგილზე იყო.[202] დასახელებული რიცხვი მიუთითებს, რომ საქართველოს რეგიონში კორუფციის ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელი აქვს.

რაც შეეხება კორუფციის კრიმინალიზებას, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობაში დასჯადია როგორც პასიური კორუფცია ისე აქტიური კორუფცია. გამონაკლისია ანგოლა და უკრაინა, სადაც პასიური კორუფცია დანაშაულს არ წარმოადგენს.[203]

ბოლოს, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცის (OECD) 1990 წლის ქრთამის აღებისა და მიცემის წინააღმდეგ კონვენცია, რომელიც ადგენს იურიდიულად სავალდებულო სტანდარტებს საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციებში უცხოელი თანამდებობის პირების (საჯარო პირების) მოსყიდვასთან

[201] კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/104218?publication=6, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[202] დამატებით იხ. https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-koruphtsiis-donis-reitingshi/, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[203] United Nations Conference of the Parties to the United Nations Convention against Transnational Organized Crime, 2008, 7.

დაკავშირებით.[204] აღსანიშნავია, რომ ამჟამად კონვენციას 44 სახელმწიფო უერთდება,[205] მაგრამ მათ შორის საქართველო არ არის.

მიუხედავად ზემოაღნიშნული საკანონმდებლო თუ ინსტიტუციონალური ცვლილებებისა, მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსხურის გაძლიერება და კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, ასვე მნიშვნელოვანია - კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ კომპლექსური მიდგომითაა შესაძლებელი, რაც მოითხოვს საჯარო უწყებებისა და სასამართლოსგან საქმიანობის კეთილსინდისიერად განხორციელებას. ასევე მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება ჩვენი სახელმწიფოსთვის ანტიკორუფციული ბიუროს სამომავლო საქმიანობის შედეგები, როგორც კორუფციის პრევენციის, ისე ევროკომისიის მიერ მოცემული რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით.

2.4 მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის კრიმინალიზაცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა არის პალერმოს კონვენციით კრიმინალიზებულ ქმედებათაგან ერთ-ერთი. აღნიშნული ქმედება ისეთი მძიმე დანაშაულების გვერდითაა მოხსენიებული, როგორიცაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ორგანიზებულ ჯგუფებში მონაწილეობა და კორუფცია, რაც ამ დანაშაულის საშიშროებასა და მნიშვნელობაზე მიუთითებს. მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის კრიმინალიზება უზრუნველყოფს

[204]დამატებით იხ. https://www.oecd.org/corruption-integrity/explore/oecd-standards/anti-bribery-convention/, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[205] იქვე.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების სამართალწარმოების პროცესის ეფექტიან განხორციელებას, რაც ასევე მოიცავს პროცესის მონაწილეთა დაცვას.

კონვენციის 23-ე მუხლი, მონაწილე სახელმწიფოებისგან ითხოვს დასჯადად გამოაცხადოს: „ფიზიკური ძალის, მუქარის ან დაშინების გამოყენება ან არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება, ყალბი ჩვენების მიცემაზე დაყოლიების ან ჩვენების მიცემაში ან მტკიცებულების წარდგენაში ჩარევის მიზნით, კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებულ სამართალწარმოების პროცესში“.[206] ასევე „სამართალწარმოების პროცესში მოსამართლის ან სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებაში ჩარევის მიზნით ფიზიკური ძალის, მუქარის ან დაშინების გამოყენება“.[207]

მოცემული მუხლის მიხედვით, ნებისმიერი ქმედება, რომელიც ემსახურება მოწმეზე ზემოქმედებას, უნდა იყოს დასჯადი, ვინაიდან ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ხშირად მიმართავენ ძალადობას, დაშინებას მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით, ეს გამოიხატება ცრუ ჩვენების მიცემით, ყალბი მტკიცებულებების წარდგენით, მოწმეების გატაცებით და დაშინებით.[208]

რაც შეეხება ამავე მუხლის მეორე ქვეპუნქტს, მასში ყურადღება გამახვილებულია მოსამართლის ან სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის საქმიანობაზე. სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს სამართალდამცავსა და მოსამართლეზე, რათა თავიანთი სამსახურებრივი საქმიანობა განახორციელონ დაშინების და ყოველგვარი იძულების გარეშე.

---

[206] პალერმოს კონვენცია, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[207] იქვე.
[208] McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols, 2007, 297.

პალერმოს კონვენციაში არსებობს ცალკე 24-ე მუხლი, რომელიც უშუალოდ მოწმეთა დაცვას ისახავს მიზნად, კონვენციის მიხედვით, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რაც უზრუნველყოფს სისხლის სამართალწარმოების პროცესში იმ მოწმეთა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ნათესავებისა და ახლობლების შესაძლო შურისძიებისაგან ან დაშინებისაგან დაცვას, რომლებიც იძლევიან ჩვენებას კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით.[209]

აღნიშნული ჩანაწერი იმპერატიული ხასიათის ჩანაწერია და ავალდებულებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს მოწმეთა და მათი ახლო ნათესავების დაცვას, რომლებიც უშუალოდ ჩვენებას აძლევენ კონვენციით გათვალისწინებულ ოთხ დანაშაულთან დაკავშირებით, მაგრამ თითოეული მონაწილე სახელმწიფოს ვალდებულება გულისხმობს შემდეგ პირობას: „მისი შესაძლებლობის ფარგლებში“ განახორციელოს ზემოაღნიშნული ვალდებულება.

ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული ზომები მსჯავრდებულის უფლებების, მათ შორის, სამართლიანი პროცესის უფლების შეულახავად, შეიძლება მოიცავდეს: ფიზიკურ პირთა დაცვას, სხვა ადგილას გადაყვანას, ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის არ გახმაურებას, ასევე მოწმის დაცვას, რაც მოიცავს ვიდეო კავშირის ან სხვა საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას.[210]

ბევრ სახელმწიფოს აქვს მოწმეთა დაცვის პროგრამები, რომლებიც შექმნილია წინამდებარე მუხლით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. პირველ რიგში, აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოწმეთა დაცვის პროგრამა (U.S. Marshals Service) მარშალების სამსახური, რომელიც

---

[209] პალერმოს კონვენცია, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[210] იქვე.

უზრუნველყოფს - მოწმეების და მათ ოჯახის წევრების უსაფრთხოებას, რომელთა სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და რომლებმაც ნარკომანიის, ტერორისტების, ორგანიზებული დანაშაულის წევრებისა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების გამო მისცეს ჩვენება. ამერიკაში, მოწმეთა დაცვის ძირითადი ღონისძიებებია: სამედიცინო დახმარება, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების შეცვლა, დასაქმებაში დახმარება და აშ.[211] მსგავსი პროგრამები აქვთ: ავსტრალიას, დიდი ბრიტანეთს, ჩინეთს, გერმანიას და სხვა ქვეყნებს.[212]

პალერმოს კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს შექმნან მოწმეთა დაცვის პროგრამები, რაც უნდა მოიცავდეს მოწმეთა და მათთან დაახლოვებული პირების სიცოცხლისა და პირადი უსაფრთხოების დაცვას, ასევე პროგრამამ უნდა შესთავაზოს მოწმეებს დაცვის სხვადასხვა მეთოდი.[213] რაც შეეხება მეორე დათქმას, აქ საუბარია მოწმის მიერ ჩვენების მიცემის ალტერნატიულ საშუალებაზე მისივე უსაფრთხოების მიზნით. მაგალითად, შესაძლოა მოწმემ ჩვენება მისცეს ვიდეო ზარის მეშვეობით, ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც მოწმეთა დაცვის კიდევ ერთ-ერთი ბერკეტი.

კონვენციის 24-ე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები განიხილავენ პირთა ადგილმდებარეობის შეცვლის მიზნით სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულებების ან შეთანხმებების დადების შესაძლებლობას.[214] მოცემული მუხლის ეს დებულება ემსახურება ქვეყნებს შორის შემდგომი ურთიერთობის გაუმჯობესებას, მოწმეთა ადგილმდებარეობის შეცვლის მიზნით.

---

[211] ვრცლად იხ. https://www.usmarshals.gov/witsec/ (ბოლოს ნანახია, 12/05/2023).

[212]დამატებით იხ. https://blog.ipleaders.in/witness-protection-programs-around-the-globe/ https://www.usmarshals.gov/witsec/ (ბოლოს ნანახია, 12/05/2023).

[213] McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols, 262.

[214] პალერმოს კონვენცია, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მოცემული მუხლი პრევენციულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს სამართალწარმოების ყველა მონაწილის უსაფრთხოების დაცვას, რათა არ მოხდეს მოწმესა და დაზარალებულზე რაიმე სახის ზემოქმედება. საბოლოოდ კი, მოწმეთა და დაზარალებულთა უსაფრთხოების მკაცრი ზომების მიღება გაამარტივებს სამართალწარმოებაში მათ მონაწილეობას, რაც ხელ შეუწყობს ორგანიზებული დანაშაულების გახსნას და მათ თავიდან აცილებას.

პალერმოს კონვენციაში კიდევ ერთი სპეციალური, 25-ე მუხლია, რომელიც უშუალოდ მხოლოდ დაზარალებულთა დაცვასა და დახმარებას ისახავს მიზნად. კერძოდ, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რაც აუცილებელია დაზარალებული პირებისათვის დახმარების აღმოსაჩენად და მათ დასაცავად, განსაკუთრებით, როდესაც ადგილი აქვს შურისძიებას ან დაშინებას.[215] აღნიშნულიდან გამომდინარე თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა დაიცვას მსხვერპლის და მათი ოჯახის წევრების კონფიდენციალურობა, ასევე სასამართლოს პროცესის წარმართვის დროს მსხვერპლისა და ბრალდებულის კონტაქტის თავიდან აცილების მიზნით შესაძლებელია სასამართლოს შენობაში მოეწყოს სპეციალური მოსაცდელები.[216]

კონვენციის შესაბამისად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დაზარალებული პირები კომპენსაციით და რესტიტუციით, ასევე თითოეული მონაწილე სახელმწიფო უნდა გაეცნოს დაზარალებულის მოსაზრებებს დაცვის მხარის უფლებების შეულახავად.[217]

---

[215] პალერმოს კონვენცია, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023.

[216] McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols, 2007, 267.

[217] პალერმოს კონვენცია, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ეს უკანასკნელი ჩანაწერი ემსახურება მსხვერპლთა ჩართულობას სამართალწარმოების პროცესში და მათი როლის წარმოჩენას სისხლის სამართლის პროცესში, მოცემული მუხლის შინაარსი იმპერატიული ხასიათის არაა. ჩანაწერი „შიდა კანონმდებლობის შეულახავად“ მონაწილე სახელმწიფოებს ათავისუფლებს ნებისმერი ვალდებულებისგან.

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას და ქვეყნის შიგნით არსებულ სამართლებრივ მექანიზმებს მოწმეთა და დაზარალებულთა დაცვის კუთხით, ისევე როგორც მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის კუთხით აღსანიშნავია სქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც ვხვდებით პალერმოს კონვენციით კრიმინალიზებული ქმედებების ანალოგს. მათგან აღსანიშნავია: სსკ-ის 364-ე მუხლი, რაც სამართალწარმოების განხორციელებისთვის, გამოძიებისთვის ან დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის კრიმინალიზებას ახდენს. მოცემული მუხლის მიხედვით, ჩარევა შესაძლოა განხორციელდეს გამომძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის საქმიანობაში. მოსამართლის საქმიანობაზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ისჯება კანონით.[218] მოცემულ მუხლში არ არის განმარტებული, თუ რას გულისხმობს უკანონო ჩარევა ან როგორ შეიძლება განხორციელდეს ის. უკანონო ქმედება შესაძლოა გამოიხატოს მოთხოვნაში, შეწყვიტოს პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნა, ასევე მოსამართლის შანტაჟი და სხვა.

მომდევნო მუხლი სსკ-ში არის 365-ე მუხლი, რაც მოიცავს მუქარას ან ძალადობას სამართალწარმოების განხორციელებასთან, გამოძიებასთან ან დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით. მოცემულ მუხლში გაფართოებულია იმ პირთა ჩამონათვალი, ვის წინააღმდეგაც შესაძლოა განხორციელდეს ძალადობა ან მუქარა. მოცემული მუხლის დაცვის ობიექტს

[218]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=248 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

წარმოადგენს: საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, მოსამართლე, მსაჯული ან მისი ახლო ნათესავი, პროკურორი, გამომძიებელი, ადვოკატი, ექსპერტი, აღმასრულებლი, სამართალწარმოების სხვა მონაწილე ან მისი ახლო ნათესავი.[219] სსკ-ის 364-365-ე მუხლებში ბოლო ცვლილება 2016 წელს განხორციელდა, შედეგად გაფართოვდა პროცესის მონაწილე პირთა წრე, აღნიშნულ მუხლებს დაემატა „დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლა", რაც ასევე შეგვიძლია მივიჩნიოთ მართლმსაჯულების სრულყოფილად განხორციელების ერთ-ერთ მექანიზმად.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 თავი, ასევე აერთიანებს ისეთ მუხლებს, რომლებიც უშუალოდ ეხება: სასამართლოს უპატივცემულობას (366-ე მუხლი), საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის, სამართალწარმოების ანდა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოების გახმაურებას (367-ე მუხლი). 367-ე მუხლში 2006 და 2017 წლებშიც განხორცილდა ცვლილება, რის შედეგადაც დასჯადი გახდა არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოების გახმაურება, არამედ აღნიშული ქმედება დასჯადია დაზარალებულისა და მოწმის მიმართაც. შესაძლოა, აღნიშნული დათქმა მივიჩნიოთ პალერმოს კონვენციის იმპლემენტაციის შედეგად, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებისგან ითხოვდა არა მხოლოდ მოსამართლის დაცვას, არამედ პროცესის იმ მონაწილეთა დაცვას, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების საქმის განხილვაში. ასევე, სახელმწიფოში ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილ დანაშაულთა ზრდის ტენდენციამ და მასთან ბრძოლის არასათანადო ეფექტურობამ განაპირობეს კანონმდებლის მიერ კოდექსის ზემოაღნიშნულ მუხლებში ცვლილების შეტანა.

[219]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=248 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

აქვე უნდა აღინიშნოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 67-ე მუხლი, რომელიც პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძვლებს აერთიანებს. დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებული იქნა, პროცესის ნებისმიერ მონაწილის: მოსამართლის პროკურორის, გამომძიებლის, ბრალდებულის, ადვოკატის, მოწმის დაზარალებულის, ექსპერტის, თარჯიმნის, სიცოცხლის ჯანმრთელობის, პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით, დაცვის სპეციალური ღონისძიება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს პროცესის მონაწილის ახლო ნათესავის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის მიზნით.[220] პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური პროგრამით დადგენილი წესით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირების მიმართ იყენებს დაცვის კონკრეტულ ღონისძიებებს. ასეთი ღონისძიებებია: მიკვლევის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, რაც მოიცავს: სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის, შეცვლას ან ამოღებას, ვინაობის შეცვლა და მასზე ახალი დოკუმენტების გაცემა, უსაფრთხოების ზომების მიღება, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და სხვა სახელმწიფოში გაყვანა (რელოკაცია).[221]

ეს არის სახელმწიფოს ის ძირითადი მექანიზმები, რაც ემსახურება პროცესის მონაწილე პირების დაცვას. შესაძლოა, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში სპეციალური დაცვით მოსარგებლე პირებს, რომლებიც საზღვარგარეთ იქნებიან გაყვანილნი, გაეწიოთ დახმარება დასაქმებაში. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი, ხოლო ამ გადაწყვეტილებას აღასრულებს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

---

[220]საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კოდექსის კომენტარები, https://sdasu.edu.ge/media/1001542/2017/12/16/6ef3a43b9a3432caef47ce80898b0e61, (ბოლოს ნანახია 12/05/2023), 242 .

[221]იქვე.

სისხლის სამართალში, გარდა ამ პრევენციული მუხლის არსებობისა, რომელიც იცავს პროცესის მონაწილეებს, არსებობს სპეციალური ნორმა, რომელიც დასჯადად აცხადებს მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე და თარჯიმანზე რაიმე სახის ზემოქმედებას. მოწმის მიერ მიცემულმა არასწორმა ჩვენებამ, ან არასწორმა თარგმანმა შესაძლოა მოსამართლე შეიყვანოს შეცდომაში, რაც საბოლოოდ აისახება მის გადაწყვეტილებზე. აქედან გამომდინარე, ამ მუხლის მიზანია, მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი და პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვა.

კიდევ ერთი სიახლეა, სსკ-ში 367[1]-ე და 367[2]-ე მუხლები, რომლიც 2011 წელს გაჩნდა და ემსახურება მართლმსაჯულების სრულფასოვნად განხორციელებას. აღნიშნული მუხლები გულისხმობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირის და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევას, ასევე ამ პირების მიერ სასამართლოს შეცდომაში შეყვანას. მოცემული მუხლებიც ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესების დაცვას.

უნდა აღინიშნოს კონკრეტული შეთანხმებები, რომლებიც ასევე პროცესის მონაწილეთა დაცვას ემსახურება. ასეთია საქართველო-უნგრეთის შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს მოწმეთა დაცვაში თანამშრომლობას. მოცემული შეთანხმება 2012 წელს დაიდო. შეთანხმების მე-10 მუხლი ითვალისწინებს მოწმეთა დაცვის პროგრამაში ორი ქვეყნის თანამშრომლობას.[222]

მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტია საქართველოს კანონი „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, რომლის მე-16 მუხლის მიხედვით რეგულირდება სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეების დაცვა, რაც კონკრეტულად მოიცავს პროცესის

[222]შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და უნგრეთის მთავრობას შორის დანაშაულის თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ საიტზე, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1852054?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

მონაწილეების სხვა ქვეყანაში გადაყვანას და პირიქით სხვა ქვეყნიდან საქართველოში შემოყვანას.[223]

საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით ასევე, მნიშვნელოვანი დოკუმენტია „სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი", რომლის 23-ე მუხლის მიხედვით თუ მხარე ითხოვს დახმარებას მოწმეთა დაცვის ან მათი დაშინების თავიდან აცილების მიზნით, კომპეტენტური ორგანოები იღებენ ზომებს შესაბამისი პირის დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად, ისე, რომ არ შეილახოს ეროვნული კანონმდებლობა.[224] და ბოლოს, უნდა აღინიშნოს „კორუფციის წინააღმდეგ" გაეროს კონვენციის 32-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებები, რომელიც ითვალისწინებს მოწმეების დაცვას შესაძლო შურისძიებისგან და მოსალოდნელი საფრთხეებისგან.[225]

მართლმსაჯულების განხორციელების ხელის შეშლა და მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლასთან დაკავშირებული ქმედებები კრიმინალიზებულია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობაში. მაგალითად ეკვადორსა და ტანზანიის რესპუბლიკაში, კონვენციის 23-ე მუხლი ნაწილობრივ არის იმპლემენტირებული, რაც გამოიხატება ძალადობასა და მუქარაში ცრუ ჩვენების მისაღებად.[226] პორტუგალიის ეროვნულ კანონმდებლობაში ცრუ ჩვენების

---

[223]საქართველოს კანონი სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048477?publication=5 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[224] სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი, იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2341951?publication=0, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[225] United Nations Convention against Corruption, კონვენცია იხ. გაეროს ოფიციალურ საიტზე, https://www.unodc.org/unodc/en/treaties/CAC/ (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[226] United Nations Conference of the Parties to the United Nations Convention against Transnational Organized Crime, 2008, 8.

მისაღებად ძალადობა და მუქარა კონვენციასთან შეერთებამდეც დანაშაულად ითვლებოდა.[227]

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან შესაძლოა გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში არსებობს ყველა ის სამართლებრივი მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სრულფასოვნად და უსაფრთხოდ განხორციელებას. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია პრევენციული ნორმების არსებობა, რომელიც პროცესის მონაწილეების დაცულობის გარანტიას წარმოადგენს.

[227] United Nations Conference of the Parties to the United Nations Convention against Transnational Organized Crime, 2008, 8.

III ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები

3.1. იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა

მსოფლიოსთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულები, ხოლო ამგვარი დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად და ასევე მათი პრევენციისთვის აუცილებელია იურიდიული პირებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება. იურიდიული პირი, როგორც ტერმინი, გერმანული წარმოშობისაა და პირველად გამოყენებული იქნა 1798 წელს გამოცემულ წიგნში "ბუნებითი სამართლის, როგორც პოზიტიური სამართლის ფილოსოფიის" სახელმძღვანელოში, ხოლო ამ ტერმინის გამოყენება გუსტავ ჰუგოს ეკუთვნის.[228] იურიდიული პირის ჩანასახი, როგორც კომერციული გაერთიანება, ჯერ კიდევ რომის სამართალში უნდა ვეძებოთ. მაგალითად, რომში იურიდიული პირის განსაკუთრებულ სახეობას საიმპერატორო ხაზინა წარმოადგენდა (fiscus), ხოლო მოგვიანებით მთელი სახელმწიფო ქონება.[229] ასევე, კერძო პირთა უფლებებით აღჭურვილი, სოციალური ერთეულის სახით, რომის სამართლის სუბიექტებად გამოდიოდნენ: პროფესიული და რელიგიური კავშირები, თვითმართველობის მქონე ადგილობრივი სამოქალაქო თემები და სახელმწიფო ხაზინა.[230]

იურიდული პირი იყო მხოლოდ სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, ხოლო მოგვიანებით, ის გახდა სისხლის სამართლის სუბიექტიც. იურიდული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება საქართველოსთვის დღის წესრიგში დადგა მას შემდეგ, რაც ის შეუერთდა

---

[228]გიორგი თუმანიშვილი, შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, (თბილისი, 2012), 71, http://eprints.iliauni.edu.ge/415/1/Introduction%20to%20Private%20Law%20of%20Georgia.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[229] მარინა გარიშვილი, მარიამ ხოფერია, რომის სამართლის საფუძვლები, (თბილისი, 2010) 119-120, http://www.library.court.ge/upload/xoferia-garishvili-romi.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[230] იქვე.

საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, მათ შორის, ევროსაბჭოს კონვენციებს: „ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ“,[231] და „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ,“[232] და პალერმოს კონვენციას, რომელიც ითხოვს იურიდული პირების პასუხისმგებლობას ორგანიზებული დანაშაულების ჩადენისთვის. ამიტომ, მნიშნელოვანი იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესულიყო ცვლილებები და კონკრეტულ დანაშაულებს შენიშვნის სახით დამატებოდა იურიდიული პირების პასუხისმგებლობის შესახებ ჩანაწერი.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დღესდღეობით საქართველოში იურდიული პირის დაფუძნება არ არის დაკავშირებული სირთულეებთან და არც დიდი კაპიტალის ქონაა აუცილებელი, არსებობს რისკი, რომ დანაშაულის ჩადენის გამარტივების მიზნით, შესაძლოა დააფუძნონ იურიდული პირები და მისი სახელით ჩაიდინონ დანაშულები. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიანიშნებს იურიდული პირების პასუხისმგებლობის აუცილებლობაზე.

იურიდიული პირის ცნება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლში, რომლის მიხედვით, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.[233] იურდიული პირები სამოქალაქო სამართალში გვევლინებიან

---

[231]ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1203547?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[232]ევროპის საბჭოს კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2345907?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[233] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=121 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

როგორც კერძო სამართლის სუბიექტები და მათი საქმიანობის წესი რეგულირდება კანონით. რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსს, მისი მიზნებისთვის იურიდიული პირი ნიშნავს სამეწარმეო (კომერციულ) ან არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (მის უფლებამონაცვლეს).[234] როგორც აღვნიშნეთ, 2006 წლიდან იურიდული პირებიც გახდნენ სისხლის სამართლის სუბიექტები და კონკრეტული ქმედებების ჩადენის შემთხვევაში ექვემდებარებიან პასუხისმგებლობას. არსებობს არაერთი თეორია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის დაწესებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ასეთია ფიქციის თეორია, რომლის მიხედვითაც იურიდიული პირი არის რეალობას მოკლებული ფიქციური სუბიექტი და მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისგებაში მიცემა არ შეიძლება.[235] არ აქვს მნიშვნელობა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მტკიცებისას რომელ თეორიას გავიზიარებთ, მთავარია მისი პრაქტიკაში გამოყენების აუცილებლობის გააზრება. ასევე აუცილებელია პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპის დაცვაც, ვინაიდან პასუხი უნდა აგოს იურიდულმა პირმაც მისი მეშვეობით ან მის სასარგებლოდ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისთვის. იურიდიული პირისთვის პასუხისმგებლობის დაწესებას, ასევე აქვს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციული ფუნქციაც, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის პრაქტიკულ მნიშვნელობას. საერთო სამართლის ქვეყნებში კორპორაციული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება უპრობლემოა, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი

[234]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=246, (ბოლოს ნანახია 12.05.2023).

[235]მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი დანაშაულის მოძღვრება, (თბილისი: მერიდიანი, 2011,)624.

პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საკმარისია მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაც.[236]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პალერმოს კონვენცია არის ერთ-ერთი იმ საერთაშორისო ინტრუმენტთაგანი, რომლის მე-10 მუხლი, მონაწილე სახელმწიფოებს, ავალდებულებს მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც დააწესებს იურიდიული პირების პასუხისმგებლობას, მათ მიერ ისეთ მძიმე კატეგორიის დანაშაულების ჩადენაში მონაწილეობისთვის, რომლებშიც ჩართული იყო დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი, აგრეთვე ამ კონვენციის მე-5 **(დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა**), მე-6 **(დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია),** მე-8 **(კორუფცია)** და 23-ე **(მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა)** მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებში მონაწილეობისათვის.[237]

კონვენციის მიხედვით, იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი.[238] რაც შეხება ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, იგი შეიძლება გულისხმობდეს იურიდიული პირის რეგისტრაციის ან ლიცენზიის გაუქმებას. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ იურიდიული პირის ამგვარი პასუხისმგებლობა ხელს არ უნდა უშლიდეს ფიზიკურ პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.[239]

როგორც აღვნიშნეთ, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საფუძვლად უდევს გაეროს და ევროსაბჭოს კონვენციები, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს იურიდიული პირებისთვის პასუხისმგებლობის დაწესებას. „ევროპის საბჭოს კონვენცია

---

[236]ანრი ოხანაშვილი, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ქართული და ზოგიერთი უცხოური კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი), (სამართლის ჟურნალი, N2, 2009), 185, http://library.law.tsu.ge/files/Publications/Samartlis_Jurnali_2009_2.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[237] ტურავა, სისხლის სამართალი დანაშაულის მოძღვრება, 2011, 624.

[238] იქვე.

[239] პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“,[240] 22-ე მუხლი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს გაატაროს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომები, რაც გამოიწვევს იურიდული პირის პასუხისმგებლობას, ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის.[241]

იურიდიული პირისთვის პასუხისმგებლობის დაწესებას ითხოვს „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია,[242] რომლის მე-10 მუხლის მიხედვით, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რათა იურიდიულ პირებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა.[243] ევროსაბჭოს აღნიშნული კონვენციის შესაბამისად, იურიდიულ პირებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ფულის გათეთრებისთვის, რომლებიც ჩადენილია იურიდული პირის სასარგებლოდ ფიზიკური პირის მიერ, რომელსაც უკავია იურიდიული პირის ხელმძღვანელი თანამდებობა.[244]

იურიდიული პირისთვის პასუხისმგებლობის დაწესებას ითხოვს გაეროს კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ“,[245] რომლის 27-ე მუხლის მიხედვით, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ თავისი შიდა სამართლებრივი პრინციპების დაცვით, უნდა დააწესოს იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულისთვის.[246]

---

[240] საქართველო კონვენციის მონაწილე გახდა 2008 წელს.

[241]ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1203547?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[242] საქართველოსთვის კონვენცია ძალაშია 2014 წლიდან.

[243] ევროპის საბჭოს კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2345907?publication=0 , (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[244] იქვე.

[245]Unitied Natons Convention Against Corruption, იხ გაეროს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://www.unodc.org/unodc/en/treaties/CAC/ (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[246] Ibid.

როგორც დავინახეთ, არა მხოლოდ პალერმოს კონვენცია, არამედ სხვა, არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, ითხოვს იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას ისეთი მძიმე დანაშაულებისთვის როგორიცაა: კორუფცია, ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულები, ფულის გათეთრება და სხვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 2006 წლიდან განისაზღვრა. არაერთი ცვლილება, რომელიც ქართულ კანონმდებლობაში განხორციელდა, ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებითა და ასევე პალერმოს კონვენციის მე-10 მუხლის იმპლემენტაციის შედეგია. ქართულ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომელიც იურიდიული პირის პასუხისმგებლობას ეხება, დროში ემთხვევა ზემოაღნიშნული გაეროსა და ევროსაბჭოს კონვენციებთან საქართველოს შეერთებას, ცვლილებების მიზანი კი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება იყო.

საქართველოს სსკ-ის 107[1]-ე მუხლში გადმოცემულია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ, პასუხისმგებელი პირის მიერ.[247] იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დანაშაული ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, დადგენილია თუ არა დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი.[248]

---

[247]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=246, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[248]იქვე.

საინტერესოა, ვინ იგულისხმება პასუხისმგებელ პირში და შეიძლება თუ არა პასუხისმგებელი პირის მიერ განხორციელებული ქმედების გამო დადგეს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. პასუხისმგებელი პირის განმარტება მოცემულია სსკ-ის 107[1]-ე მუხლის მესამე ნაწილში, რომლის მიხედვითაც, მასში იგულისხმება იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე, მისი სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან/და იურიდიული პირის სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ორგანოს წევრი.[249] აღსანიშნავია, რომ იურიდული პირის პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ფიზიკური პირის პასუხისმგებლობას, მაგრამ დაუშვებელია ფიზიკური და იურდიული პირების თანამონაწილეობა კონკრეტულ დანაშაულში.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიუხედავად, იურიდიული პირი ვალდებულია აანაზღაუროს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი, ასევე შესაძლოა მის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის სხვა ზომების გამოყენებაც.[250]

ეს არის ის ძირითადი საფუძვლები, რასაც ემყარება იურიდული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ითხოვს სსკ-ის შესაბამისი მუხლი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით იურიდიული პირების პასუხისმგებლობა დადგენილია შემდეგი დანაშაულებრივი ქმედებებისთვის: ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა (142-ე მუხლი), რასობრივი დისკრიმინაცია (142[1]-ე), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა (142[2]-ე მუხლი), ტრეფიკინგი (143[1]-ე მუხლი)), პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან

---

[249]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=246, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[250]გიორგი ტყეშელიაძე, მზია ლეკვეიშვილი, გურამ ნაჭყებია, ნონა თოდუა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მეოთხე გამოცემა, (თბილისი: მერიდიანი, 2019),767.

პერსონალური მონაცემების ხელყოფა (157-ე მუხლი), ასევე ისეთი დანაშაულებისთვის, რომლებიც მიმართულია სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ.[251] იურიდიული პირებისთვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულებრივი ქმედებებისთვის, რომლებიც მიმართულია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (223-ე, 223^2-ე, 224^1-ე, 227^3-ე, 231^1-ე, 231^2-ე, 235^1-ე და 239^1-ე მუხლები), ასევე სსკ-ის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ნარკოტიკული ხასიათის სხვადასხვა დანაშაულებრივი ქმედებებისთვის(248^1-ე, 253-ე, 254-ე, 255-ე, 255^1-ე, 261-ე, 262-ე, 263-ე, 264-ე, 265-ე, 266-ე, 267-ე, 268-ე, 269-ე, 270-ე , 271-ე და 331^1-ე მუხლები). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია კიბერდანაშაულებისთვისაც.[252] ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ კანონმდებელს სისხლის სამართლის კოდექსში არ გამორჩენია თითქმის არც ერთი მუხლი, რომელსაც შენიშვნად არ ექნებოდა დამატებული იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ზომები, რაც მიუთითებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდაუვალობაზე. ვინაიდან, იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება არა ზოგადად, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულისთვის, არამედ კოდექსით გათვალისწინებული ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისთვის.

სისხლის სამართლის კოდექსში, იურიდიული პირისთვის დამახასიათებელი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩამოთვლილია იურიდიული პირი, სასჯელის სახეები, მათ შორისაა: ლიკვიდაცია, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა და ქონების ჩამორთმევა. ლიკვიდაცია და საქმიანობის

[251]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=246, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[252]იქვე.

უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად, ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად, ხოლო ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.[253]

საინტერესოა იურიდიული პირების სასჯელის სახეები და ის პრინციპები, რითაც იხელმძღვანელა კანონმდებელმა მათი შერჩევისას. ვფიქრობთ, თუ ამოვალთ სასჯელის პრევენციული მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლოა იურიდიული პირის სასჯელთა სახეების არეალის გაფართოება, მაგალითად, შესაძლოა იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა განისაზღვროს გამოსასწორებელი ვადის მიცემით. ამგვარი სასჯელის სახე ხელს არ შეუშლის მათ საქმიანობას (თუ იურიდიული პირი არაა შექმნილი კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად შექმნილი და რეალურად სხვა საქმიანობას ეწევა) და უფრო მეტად იქნება პრევენციული ფუნქციის მატარებელი, ვიდრე ჯარიმა ან ლიკვიდაცია. მაგალითად, სერბეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სერბეთის კანონში „იურიდიული პირის პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივი ქმედებებისთვის“ ჩამოთვლილია იურიდიული პირის სასჯელის სახეები, მათ შორისაა: ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, პირობითი სასჯელი და უსაფრთხოების ისეთი ზომები, რაც გულისხმობს გარკვეული რეგისტრირებული საქმიანობის ან ოპერაციების განხორციელების აკრძალვას, ინსტრუმენტების ჩამორთმევას და გადაწყვეტილების გასაჯაროებას.[254] რაც შეეხება პირობითი მსჯავრის გამოყენებას, ის შეუძლია მოსამართლემ გამოიყენოს ერთიდან სამ წლამდე ვადით.[255]

---

[253] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=246, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[254]Law The Liability Of Legal Entities For Criminal Offences, "Official Gazette of the Republic of Serbia" (Serbia: Official Gazette of the Republic of Serbia, No. 97/08, 2008) _https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Issues/Mercenaries/WG/Law/Serbia/LawOnLiability.pdf (last seen 12/05/2023).

[255] Ibid.

მნიშვნელოვანია, მოკლედ შევეხოთ, იურიდიული პირის ადმინისტრაციულ სამართლებრივი და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს ქართულ კანონმდებლობაში. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ განსაზღვრავს ყველა იმ მოქმედებას/უმოქმედობას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, ასევე ადმინისტრაციული სახდელის სახეებს.[256] აღნიშნული კანონის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა წარმოადგენს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძველს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონში ჩამოთვლილია ადმინისტრაციული სახდელის სახეები, მაგრამ მასში არაფერია ნათქვამი, თუ რომელი შეიძლება შეეფარდოს იურიდიულ პირს, მაგალითად, როგორც ეს მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსში. განსახილველი კანონის მხოლოდ განსაკუთრებულ ნაწილში, კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მუხლს თან ახლავს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესახებ ჩანაწერი, რაც ძირითად შემთხვევაში გამოიხატება იურიდიული პირისთვის ჯარიმის ოდენობის განსაზღვრით.

რაც შეეხება, იურიდიული პირის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, უნდა ამოვიდეთ იმ ზოგადი დებულებებიდან, რასაც სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს, პირველი - კოდექსის მე-8 მუხლის მიხედვით, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი.[257] მეორე - კოდექსის 992-ე მუხლი, რომელიც დელიქტურ ვალდებულებას ეხება, კერძოდ - „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი

[256]ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=511 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[257] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=121 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი."[258] მაშასადამე, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთებისა და დელიქტური ვალდებულებებიდან გამომდინარე შესაძლოა დადგეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია სისხლის სამართალწარმოებაში. ამაზე მეტყველებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით და მათ შორის პალერმოს კონვენციით ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ითხოვს კონკრეტულად 4 სახის დანაშაულებრივი ქმედებისთვის იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა აღიარებულია, როგორც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საშულება. ამაზე მეტყველებს არაერთი საერთაშირისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც დასახელებულია ნაშრომში და ითხოვს სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისთვის იურიდიული პირის პასუხისმგებლობას. საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაშია პალერმოს კონვენციასთან და იზიარებს მითითებებს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესახებ. რეკომენდაციის სახით შესაძლოა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხის მხოლოდ საკანონმდებლო რეგულირება რეალურ შედეგს ვერ გამოიღებს. აუცილებელია მისი პრაქტიკაში გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა და შესაბამისი უწყების თანამშრომლების გადამზადება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. ასევე შესაძლებელია, იურიდიული პირის სასჯელის სახეების გაფართოება, რაც შესაძლებლობას მისცემს იურიდიულ პირს „გამოასწოროს შეცდომა".

[258]საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=121 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

3.2 კონფისკაცია და ყადაღა, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევის ღონისძიება

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, მასთან ბრძოლის უნიკალურ ხერხად მიჩნეულია ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა. სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობის არაერთი ხერხია გაწერილი პალერმოს კონვენციაში, რომელიც თავის მხრივ ორგანიზებული დანაშაულის წინაღმდეგ ბრძოლის სფეროში მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოდგენს. საქართველოში კი ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ორი დოკუმენტი "სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" კანონი და "სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" კანონი. ორივე კანონის მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოებს შორის, ისევე, როგორც სამართალდამცავ ორგანოებს შორის.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთ-ერთ საუკეთესო ხერხად მიიჩნევა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების კონფისკაცია, ასევე ამგვარი დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ქონებების ყადაღა/კონფისკაციაც. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ჩადენის/მომზადების პერიოდში ქონების/სარგებლის აკუმულირება ხდება სხვადასხვა ქვეყნებში, ამგვარი საქმიანობის შედეგად მიღებული ქონება ისევ უბრუნდება და აძლიერებს ორგანიზებულ ჯგუფებს. სწორედ ამიტომ, აქტუალური და მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ქვეყნებს შორის მჭიდრო სამართლებრივი ურთიერთობა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშულის ჩადენის შედეგად ან ჩასადენად გამიზნული ქონების/სარგებლის კონფისკაციის მიზნით. სისხლის სამართალსა და სამოქალაქო სამართალში, კონფისკაცია და ყადაღა გამოიყენება, როგორც იძულების ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ქონების ჩამორთმევას ხშირად წინ უძღვის ისეთი საპროცესო

მოქმედება, როგორიცაა ყადაღა, ხოლო შემდეგ ხდება დამატებითი სასჯელის სახით, ქონების ჩამორთმევის შეფარდება.

კონფისკაციას და ყადაღას, როგორც საპროცესო იძულების ერთ-ერთ ღონისძიებას, ვხვდებით არაერთ საერთაშორისო სამართლებრივ აქტში. მათ შორისაა განსახილველი პალერმოს კონვენცია და გაეროს 1998 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.[259]

პალერმოს კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, „ყადაღა“ ან „ამოღება“ ნიშნავს ქონების გადაცემის, გარდაქმნის, განკარგვის ან გადაადგილების დროებით აკრძალვას ან სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით, მასზე დროებითი კონტროლის განხორციელებას ან მის დროებით დაუფლებას.[260] რაც შეეხება „კონფისკაციას“ ის ნიშნავს სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით ქონების საბოლოო ჩამორთმევას.[261] პალერმოს კონვენციის მიღებამდე იდენტური განმარტება არსებობდა გაეროს 1998 წლის კონვენციაში „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.[262]

პალერმოს კონვენციის მე-12- მუხლი მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, კონვენციით კრიმინალიზებული ქმედებების ჩადენის გზით მიღებული შემოსავლების ან შესაბამისი ღირებულების ქონების კონფისკაციას და, ასევე, ამ დანაშაულების ჩასადენად გამოყენებული ან გამოსაყენებლად

---

[259]გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვერ გვერდზე, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2540250?publication=0f>,(ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[260]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ საიტზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0,(ბოლოს ნანახია 14/05/2023).

[261]იქვე.

[262]გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2540250?publication=0f (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

გამიზნული ქონების, მოწყობილობების ან სხვა საშუალებების კონფისკაციასაც.[263] აქ იგულისხმება კონკრეტულად პალერმოს კონვენციით გათვალისწინებული კრიმინალიზებული ქმედებების (მე-5 **(დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა**), მე-6 **(დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია),** მე-8 **(კორუფცია)** და 23-ე **(მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა)**) ჩადენის ან ჩასადენად გამიზნული ქონების ჩამორთმევა. მაგალითად, ქრთამის სახით გადახდილი ფული, ორგანიზებული ჯგუფების საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი და სხვა დანაშაულებრივი გზით მიღებული სარგებელი.[264] საინტერესოა, რა იგულისხმება „მოწყობილობების ან სხვა საშუალებების კონფისკაციაში". მოწყობილობებში შესაძლო იგულისხმებოდეს მანქანა, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა მსგავსი ნივთები, რასაც დამნაშავეები იყენებდნენ ან გამოიყენებდნენ დანაშაულის ჩასადენად. სხვა საშუალებებში შესაძლოა იგულისხმებოდეს დოკუმენტაცია ან არამატერიალური სიკეთეები.

კონვენციის მე-12 მუხლი მონაწილე სახელმწიფოებს ასევე ავალდებულებს მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ნებისმიერი ნივთის მოძიების, იდენტიფიცირების, დაყადაღების ან ამოღებისათვის, საბოლოოდ მისი კონფისკაციის მიზნით.[265] მოცემული ჩანაწერი კიდევ ერთხელ ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს მიიღონ შესაბამისი კანონმდებლობა, რათა სასამართლოებმა და სხვა ორგანოებმა შეძლოს ზემოაღნიშნული ფუნქციის განხორციელება. მაგალითად ინგლისში არსებობს „Assets recovery agancy",[266] რომელსაც 2005 წელს 17 მილიონზე მეტი ფუნტი ჰქონდა მიღებული ქონების კონფისკაციიდან.[267]

---

[263]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ საიტზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0,(ბოლოს ნანახია 14/05/2023).

[264] McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols,2007, 144.

[265]Ibi

[266] დამატებით იხ. საიტზე, https://assetsrecovery.go.ke/ (ბოლოს ნანახია 29/12/2022).

[267]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ საიტზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0,(ბოლოს ნანახია 14/05/2023).

ამავე მუხლის მიხედვით, თუ დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლები ნაწილობრივ ან მთლიანად შეიცვალა სხვა და გარდაიქმნა სხვა ქონებად, მაშინ ამ მუხლში მითითებული ქონების ჩამორთმევისკენ მიმართული ზომები გამოიყენება ასეთი ქონების მიმართ.[268] ხოლო თუ დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალი შეერია კანონიერი გზით მიღებულ შემოსავალს ან ქონებას, კონფისკაციას დაექვემდებარება ქონების ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება შერეული შემოსავლების ღირებულებას.[269] ამ შემთხვევაში შემოსავალი ნიშნავს დანაშაულებრივი ქმედებისგან პირდაპირ ან ირიბად მიღებულ სარგებელს. გარდაქმნა გულისხმობს ნივთის სახეობის შეცვლას, მაგალითად, ოქროს ერთი ნაკეთობის სხვა ნაკეთობად გარდაქმნას, ხოლო რაც შეეხება დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის შერევას კანონიერ შემოსავალთან, აქ იგულისხმება, მაგალითად, სახლის შეძენა ნაწილობრივ კანონიერი გზით მიღებული შემოსავლით, ხოლო ნაწილის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად. მოცემულ შემთხვევაში, კონფისკაციას/ყადაღას ექვემდებარება ქონების ის ნაწილი, რომელიც მიღებულია დანაშაულებრივი გზით.

კანონმდებელმა, პალერმოს კონვენციაში, კონფისკაციას დაუქვემდებარა არა მხოლოდ უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიღებული ქონება ან სარგებელი, არამედ ის მოგებაც, რომელიც მიღებულია დანაშაულებრივი საქმიანობიდან.[270] ამ დებულების იდეა, ისაა, რომ მაგალითად დანაშაულის შედეგად შეძენილი სახლიდან გაქირავებული შემოსავალი არ ჩაითვალოს „ლეგალურ“ შემოსავლად. მოცემული მუხლი ცხადყოფს, რომ მსგავსი სახის შემოსავლის კონფისკაცია შესაძლებელია.

კონვენციის მე-12 მუხლში არსებობს კიდევ ერთი საინტერესო ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ განიხილონ იმ

---

[268]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ საიტზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0,(ბოლოს ნანახია 14/05/2023).

[269] იქვე.

[270]იქვე.

მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა, რომლის მიხედვითაც დანაშაულის ჩამდენმა პირმა უნდა დაასაბუთოს სავარაუდოდ, დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლების და იმ ქონების კანონიერი წარმომავლობა, რომელიც კონფისკაციას ექვემდებარება, იმ პირობით, რომ ამგვარი მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს მონაწილე სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობის პრინციპებს და სასამართლო თუ სხვა სახის წარმოების ხასიათს.[271] მსგავსი ჩანაწერია გაეროს 1988 წლის "ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ კონვენციაში" (ვენის კონვენციაში), რომლის მიხედვითაც თითოეულ მხარეს შეუძლია განიხილოს შესაძლებლობა, უზრუნველყოს მტკიცების ტვირთის გადატანა იმ სავარაუდო შემოსავლის ან სხვა საკუთრების კანონიერ წარმომავლობასთან მიმართებაში, რომელიც კონფისკაციას ექვემდებარება, იმდენად, რამდენადაც ამგვარი ქმედება შეესაბამება მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის პრინციპებსა და სასამართლო და სხვა პროცედურების ხასიათს.[272] ორივე ჩანაწერი თითქმის იდენტურია და დანაშაულის შესაძლო ჩამდენ პირს აკისრებს ვალდებულებას დაასაბუთოს სავარაუდოდ დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლების და იმ ქონების კანონიერი წარმომავლობა, რომელიც კონფისკაციას ექვემდებარება.

საინტერესოა, ეწინააღმდეგება თუ არა მსგავსი ჩანაწერი ადამიანის უფლება, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს და რამდენად ლეგიტიმურია მტკიცების ტვირთის გადაცემა ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია განვიხილოთ სასამართლო პრაქტიკა. მაგალითისთვის განვიხილოთ საქმე ტელბისი და ვიზიტეუ (Telbis and Viziteu) რუმინეთის წინააღმდეგ.[273] აღნიშნულ საქმეში, ტელბისს და ვიზიტეუს, როგორც

---

[271]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ საიტზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0,(ბოლოს ნანახია 14/05/2023).

[272]გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2540250?publication=0, (ბოლოს ნანახია 29/12/2022).

[273]თინათინ ცხვედიანი, დავით კვაჭანტირაძე, ალექსანდრე ნოსელიძე, საკუთრების უფლების დაცვის გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში, (თბილისი,2019),https://alfg.ge/wp-content/uploads/2020/07/kvleva.pdf (ბოლოს ნანახია 28/12/2022),25.

ჩამორთმეული ქონების მესაკუთრეებს, ჰქონდათ შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს საკუთარი ინიციატივით, ჩართულიყვნენ ქონების ჩამორთმევის წარმოებაში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იყვნენ კონკრეტულ საქმეში ბრალდებულები.[274] მოთხოვნის შემდეგ მათ მიენიჭათ მხარის სტატუსი და ჩაერთნენ სასამართლო პროცესში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, სასამართლო პროცესი წარიმართა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, სადაც მესაკუთრეები უფლებამოსილნი იყვნენ, წარედგინათ თავიანთი მოსაზრებები და მტკიცებულებები, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ასევე აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლომ საფუძვლიანად შეამოწმა ორივე მხარის არგუმენტები, მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და წარდგენილი დოკუმენტები.[275] "ძირეული კვლევის საფუძველზე, ეროვნულმა სასამართლომ მიიღო მხოლოდ ქონების იმ ნაწილის ჩამორთმევის გადაწყვეტილება, რომლის კანონიერი წარმომავლობის დამაჯერებლად დემონსტრირებაც მესაკუთრეებმა ვერ შეძლეს"[276] შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლებს ჰქონდათ ადეკვატური შესაძლებლობა, ეროვნულ დონეზე დაეცვათ თავიანთი ინტერესები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საქმეში მომჩივანები არ წარმოადგენდნენ ბრალდებულებს, მათ შესაძლებლობა ჰქონდათ ჩართულიყვნენ საქმეში და დაესაბუთებინათ ქონების წარმომავლობა, რის საშუალებასაც მათ ეროვნული კანონმდებლობა აძლევდა.

ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული 2015 წლის გადაწყვეტილება, „გოგიტიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ". საქმე ეხებოდა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების კონფისკაციას. კერძოდ, საქმის განხილვისას გამოიკვეთა, რომ

[274]ცხვედიანი, საკუთრების უფლების დაცვის გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში, https://alfg.ge/wp-content/uploads/2020/07/kvleva.pdf 2019, (ბოლოს ნანახია 12/05/2023),25.
[275]იქვე.
[276]იქვე.

ბრალდებული გოგიტიძის ხელფასს სამჯერ აღემატებოდა მის მიერ შეძენილი ქონება. უფრო კონკრეტულად კი, განმცხადებლები ასაჩივრებდნენ ევროპული კონვენციით დაცულ საკუთრების უფლებასთან იმ ადმინისტრაციული წესის შეუსაბამობას, რომლითაც მათ ჩამოართვეს ქონება.[277] აღნიშნული გადაწყვეტილება საინტერესოა რამდენიმე ასპექტით, კერძოდ, განმცხადებელი სადავოდ ხდიდა სამართალწარმოების ორ ელემენტს: 1. ეროვნული კანონმდებლობა უშვებდა განმცხადებლის ქონების ჩამორთმევას, როგორც უკანონოდ მოპოვებულის და დაუსაბუთებელის, მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა დამტკიცდებოდა; 2. სამართალწარმოებისას მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა განმცხადებელს.[278]

ევროპული სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ხაზი გაესვა იმას, რომ არსებობს უნივერსალური და ევროპული სამართლებრივი სტანდარტები, მათ შორის 2005 წლის „კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია,“[279] "ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები" და ევროპის საბჭოს ორი კონვენცია: „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“[280] (2005წ.) და კონვენცია „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ“[281] (1990წ.), რომელთა მიხედვით, სახელმწიფოებს შეუძლიათ მძიმე დანაშაულებთან

---

[277] საქმე „გოგიტიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, სტრასბურგი, 2015, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ საიტზე, https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saqartvelos-winaagmdeg-gogitidze-da-sxva.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[278] იქვე.

[279] United Nations Convention against Corruption, https://www.unodc.org/unodc/en/treaties/CAC/, იხ. გაეროს ოფიციალურ ვებ გვერდზე, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[280] ევროპის საბჭოს კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2345907?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[281] კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1216554?publication=0 (ბოლოს ნანახია 29/12/2022).

(როგორიცაა კორუფცია, ფულის გათეთრება, ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულები და სხვ.) დაკავშირებული ქონების კონფისკაცია.[282] აქვე ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ უკანონოდ მიჩნეული ქონების კანონიერი წარმოშობის მტკიცების ტვირთი აკისრია მოპასუხეს, ხოლო კონფისკაციის ზომები გამოიყენება არა მარტო დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლის მიმართ, არამედ, ასევე, ისეთი ქონების მიმართაც, როგორიცაა სხვა ნებისმიერი შემოსავალი და არაპირდაპირი სარგებელი, რომელიც დანაშაულიდან პირდაპირ მიღებული შემოსავლების გარდაქმნის, გაცვლის ან სხვა შესაძლო კანონიერ ქონებასთან შეერთების გზით არის მიღებული. ჩამორთმევის ღონისძიება გამოიყენება ნებისმიერი მესამე პირის მიმართაც, რომლის მესაკუთრეობა ქონების უკანონო გზით შეძენის შენიღბვას ისახავს მიზნად და არ შეესაბამება კეთილსინდისიერების მოთხოვნას.[283]

ევროპული სასამართლო კანონიერად მიიჩნევს ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, იმ მოტივით, რომ მოპასუხეთა კანონიერი შემოსავლები ხსენებული ქონების შესაძენად საკმარისი არ იყო, ჯერ კიდევ მაშინაც, როდესაც გამოტანილი არ არის გამამტყუნებელი განაჩენი. ასეთ დროს, ევროპული სასამართლო არ ითხოვს „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაკმაყოფილებას“.[284] ასეთ დროს, კონვენცია ანიჭებს თავისუფლებას ეროვნულ სასამართლოებს, გამოიყენოს კონფისკაციის ზომები არა მარტო ბრალდებულის, არამედ მისი ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების მიმართაც, რომლებიც ბრალდებულის სახელით და მისი არაფორმალური დავალებით ფლობენ და მართავენ უკანონოდ მოპოვებულ ქონებას.[285] რაც შეეხება მე-6 მუხლის დარღვევას, ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ მის მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის

[282]საქმე „გოგიტიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, სტრასბურგი, 2015, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ საიტზე, https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saqartvelos-winaagmdeg-gogitidze-da-sxva.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[283] იქვე.
[284] იქვე.
[285] იქვე.

მიხედვით, "ქონების ჩამორთმევა, დამნაშავეობის დადგენის გარეშე, ატარებს პრევენციულ ან/და კომპენსაციის ხასიათს და არა სადამსჯელოს, შესაბამისად, არ იწვევს კონვენციის ზემოთ მითითებული დებულების დარღვევას."[286]

ზემოაღნიშნული მსჯელობა და ევროპული სასამართლოს ამგვარი მიდგომა გვაძლევს მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას, კერძოდ ქონების კონფისკაცია არ უნდა იქნეს ისე გაგებული, როგორც მხოლოდ დამატებითი სასჯელის სახე, კონფისკაციის მიზანია დანაშაულების პრევენცია. მეორე, უდანაშაულობის პრეზუმფციასთან და მოპასუხის მიერ მტკიცების ტვირთთან მიმართებით უნდა აღნიშნოს, რომ ამ შემთხვევაში მოპასუხე ასაბუთებს შემოსავლების კანონიერებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ეს ქონება პირს უკანონოდ და დაუსაბუთებლად აქვს მოპოვებული. საქმეზე გოგიტიძე და სხვები, პირს ჩამოერთვა ქონება, რადგან მტკიცებულებებზე დაყრდნობით ა. გოგიტიძის შემოსავალი გაცილებით ნაკლები იყო წლიურად, ვიდრე მისი შეძენილი ქონება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც პალერმოს კონვენცია, ისე სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, ითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან კონფისკაციის წესების გამოყენებას ისეთი მძიმე დანაშაულების მიმართ, როგორიცაა, მაგალითად, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა.[287] პალერმოს კონვენცია არ აკონკრეტებს და არ უსვამს ხაზს, თუ მართლმსაჯულების რომელ ეტაპზე უნდა მოხდეს ქონების ჩამორთმევა. კონვენციის ძირითადი მიზანია, მოხდეს იმ ქონების კონფისკაცია, რომელიც უშუალოდ კონვენციით კრიმინალიზებული სხვადასხვა სახის დანაშაულის შედეგად არის მოპოვებული. კონვენცია მიუთითებს, რომ

[286] საქმე „გოგიტიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ", სტრასბურგი, 2015, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ საიტზე, https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saqartvelos-winaagmdeg-gogitidze-da-sxva.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[287]გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2540250?publication=0(ბოლოს ნანახია 15/05/2023).

კონფისკაციის/ყადაღის დროს დაცული იყოს ერთი პირობა: „ამ მუხლის არცერთი დებულება არ უნდა ხელყოფდეს პრინციპს, რომლის თანახმადაც, ამ მუხლში მითითებული ზომები უნდა განისაზღვროს და განხორციელდეს მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად და მათი დაცვის პირობით“.[288]

რაც შეეხება დღეს საქართველოში კონფისკაციის/ყადაღის მარეგულირებელ ნორმებს, სისხლის სამართალში/კოდექსში კონფისკაცია არის დამატებითი სასჯელის სახე, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსში კი განიხილება როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყების საფუძველი. აუცილებელია გაიმიჯნოს ისინი ერთმანეთისგან და ასევე მნიშნელოვანია შევაფასოთ მათი ერთმანეთთან შესაბამისობის საკითხი.

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, „ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულის გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას.“[289] ეს უკანასკნელი განმარტება ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში 2005 წელს გაჩნდა. მანამდე სსკ 52-ე მუხლი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ნივთის უსასყიდლოდ ჩამორთმევას ითვალისწინებდა და მუხლსაც იგივენაირად ეწოდებოდა.[290] ამ მუხლის მიხედვით, სასამართლოს ზემოაღნიშნული ღონისძიების გამოყენების უფლება ჰქონდა თუ მისი საჭიროება გამოწვეული იყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.[291] 2005 წელს შეიცვალა როგორც მუხლის დასახელება, ისე მისი დისპოზიცია, კანონის დღეს

[288]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ საიტზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023.)

[289] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=246, (ბოლოს ნანახია 12.05.2023).

[290]ტყეშელიაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მეოთხე გამოცემა, 2019, 574.

[291] იქვე.

მოქმედი რედაქციით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა დადგინდეს დანაშაულის ჩადენის საგანი, იარაღი, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი და დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მოპოვებული ქონება.[292] როგორც უკვე აღვნიშნეთ, სსკ-ს 52-ე მუხლის პირველ ნაწილში განმარტებულია ქონების ჩამორთმევა, მეორე ნაწილში კი საუბარია, თუ ვის მიმართ შეიძლება გამოვიყენოთ ეს ღონისძიება. დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ნიშნავს ბრალდებულისთვის, მსჯავრდებულისთვის მის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული, განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან ამისათვის გამიზნული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას.[293] დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ხდება სასამართლოს მიერ, სსკ-ის გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დანაშაულის საგანი ან/და იარაღი ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი და მათი ჩამორთმევა საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ანდა ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.[294] კანონის ამ ჩანაწერის მიხედვით, ქონების ჩამორთმევა შესაძლებელია როგორც ბრალდებულისთვის, ისე მსჯავრდებული პირისთვის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სსკ-ის 52-ე მუხლი არის მატერილური სისხლის სამართლის ნორმა და ამასთანავე სასჯელის დამატებით სახე, ჩნდება შეკითხვა - რამდენადაა შესაძლებელი იმ პირს შეეფარდოს სასჯელი, რომლის მიმართაც არ არის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი?! ცხადია, კანონის დღეს მოქმედი რედაქცია

[292]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=246, (ბოლოს ნანახია 12.05.2023).
[293]იქვე.
[294]იქვე.

წინააღმდეგობაში მოდის თავის თავთან, რაც ბრალდებული პირის მიმართ დამატებითი სასჯელის შეფარდების შესაძლებლობას უშვებს.

რაც შეეხება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო ნორმებს, ცალკე თავი ეთმობა რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას. მოცემული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს, მსჯავრდებული პირის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის ვადაში.[295] სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უშვებს შესაძლებლობას, სარჩელის აღძვრას ქონების ჩამორთმევის მოთხოვნით, ზემოაღნიშნული დანაშაულების ჩამდენი პირების ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის და კონკრეტულ დანაშაულებთან კავშირში მყოფი პირების მიმართ.[296] აღნიშნული ჩანაწერი შესაძლოა იყოს საინტერესო და ამავე დროს სადავოც, მაგრამ მოცემული მუხლი ემსახურება ყველა იმ პირის მიმართ დაუსაბუთებელი და არაკანონიერი ქონების ჩამორთმევას, რომელიც დანაშაულის ჩადენის შედეგად არის მიღებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ სამოქალაქო სარჩელის აღძვრა ქონების უკანონოდ ცნობის შესახებ შესაძლებელია მსჯავრდებული პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანიდან 10 წლის განმავლობაში და ასევე იმ პირების მიმართაც, რომლებიც

---

[295]საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=153 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[296] იქვე.

არიან მსჯავრდებული პირების ახლო ნათესავები ან ოჯახის წევრები და ასევე იმ პირების მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ დანაშულებთან.

როცა ვსაუბრობთ ქონების ჩამორთმევაზე, მთავარია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ქონების ჩამორთმევა, როგორც დამატებითი სასჯელის სახე და ქონების ჩამორთმევის მოთხოვნით სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყება/სარჩელის აღძვრა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვიდრე პირი არის ბრალდებული, მის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქონების ჩამორთმევა, როგორც სასჯელის სახე და ამ დროს არც სამოქალაქო სარჩელის აღძვრის საფუძველი არ არსებობს. ამ შემთხვევაში რჩება კიდევ ერთი სისხლის სამართლის საპროცესო მექანიზმი, ყადაღა, რომელიც უზრუნველყოფს სამართალწარმოების პროცესში იმ ქონებაზე ყადაღის დადებას, რომელიც სამომავლოდ შესაძლოა ჩამოერთვას პირს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია ყადაღა დაადოს ბრალდებულის ან მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს ვარაუდი რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული.[297] შესაძლოა, ყადაღა დაედოს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებას, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს შესაძლებლობას, ყადაღა დაედოს ისეთი პირის ქონებას, რომელიც არ არის ცნობილი ბრალდებულად.[298]

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გარეშე ყადაღა შეიძლება დაედოს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე (ტერორისტული აქტი) 330-ე (სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით) და 331[1]-ე (ტერორიზმის

[297]სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=151 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[298] იქვე.

დაფინანსება, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა) მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ან სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისას, აგრეთვე მათი აღკვეთის უზრუნველსაყოფად, თუ არსებობს ვარაუდი, რომ ეს ქონება გამოყენებული იქნება დანაშაულის ჩასადენად.[299] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ეს ჩანაწერი პრევენციულ ხასიათს ატარებს და ემსახურება ისეთი მძიმე დანაშაულის თავიდან აცილებას, როგორიცაა ტერორიზმი და მასთან დაკავშირებული სხვა დანაშაულები. საბოლოოდ კი, ყადაღა შეიძლება მივიჩნიოთ, იძულების ისეთ ღონისძიებად, რომელიც წინ უსწრებს ქონების ჩამორთმევას და ერთგვარი პრევენციული ფუნქციის მატარებელია.

ქართული სისხლის სამართლის, როგორც მატერიალური, ისე საპროცესო კოდექსის მუხლები, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლები, რომელიც უშუალოდ სარჩელის აღძვრას ეხება ქონების დაუსაბუთებლად ცნობას, ისე ქონების ჩამორთმევის შესახებ, შესაბამისობაშია პალერმოს კონვენციასთან, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პალერმოს კონვენცია არ გამოყოფს მართლმსაჯულების არც ერთ ეტაპს, თუ რომელ ეტაპზეა შესაძლებელია დაედოს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას ყადაღა ან რომელ ეტაპზე მოხდეს მისი ჩამორთმევა. კონვენციის ნორმები ზოგადია და მისი ძირითადი პრინციპია 4 კატეგორიის დანაშაულის შედეგად ან ამგვარი დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ქონებას დაედოს ყადაღა და ჩამოერთვას ის დამნაშავეს.

ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ყურადღება გამახვილებულია პალერმოს კონვენციით კრიმინალიზებულ ქმედებათა ორ კატეგორიაზე როგორიცაა: უკანონო

[299]სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=151 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

შემოსავლის ლეგალიზაცია და ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულები (რეკეტირი, ქურდული სამყაროს წევრობა და აშ.). შესაძლოა გაჩნდეს შეკითხვა, ხომ არ ეწინააღმდეგება ეს კონვენციას, რომელიც მოითხოვს კიდევ ორი სახის დანაშულის: კორუფციის და მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლისთვის მსჯავრდებული/ბრალდებულის პირისთვის ქონების ჩამორთმევას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით შესაძლოა ყადაღა დაედოს ნებისმიერ ქონებას, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. მეორე, სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლი, რომელიც განმარტავს ქონების ჩამორთმევას, როგორც დამატებითი სასჯელის სახეს შესაძლოა გამოყენებული იქნეს ყველა კატეგორიის დანაშაულზე მათ შორის კორუფციასა და მართლმსაჯულების განხორციელების ხელის შეშლაში მსჯავრდებული პირის მიმართ, და მესამე ერთი შეზღუდვა რაც რჩება, ეს არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[2]-ე მუხლი, რომელიც სარჩელის აღძვრას ითვალისწინებს მხოლოდ ისეთ დანაშაულებში მსჯავრდებული პირების მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს შემდეგი სახის დანაშაულები: რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1]-ე მუხლებით გათვალისიწინებული დანაშაული. გამოდის, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლაში მსჯავრდებული პირებს მიმართ არ შეიძლება სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყება მათთვის ქონების ჩამორთმევის საფუძვლით. მათი ქონებას შესაძლოა დაედოს ყადაღა და სასჯელის სახედ შეეფარდოს ქონების ჩამორთმევა.

კიდევ ერთი უზუსტობაა სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლში, ქონების ჩამორთმევა სსკ-ში გამოიყენება, როგორც დამატებითი სასჯელის სახე, ხოლო ამავე მუხლში, ნახსენებია სიტყვა „ბრალდებული“, ვინაიდან ბრალდებულის მიმართ ჯერ კიდევ არ არის გამოტანილი გამამტყუნებელი

განაჩენი შეუძლებელია მისი ქონების ჩამორთმევაზე საუბარი, ამიტომ მიზანშეწონილია სსკ-ის 52- მუხლში არ ეწეროს ტერმინი „ბრალდებული“. ბრალდების ეტაპზე გამოყენებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც უშუალოდ ნივთის დაყადაღებას გულისხმობს, ხოლო უკვე გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის შემთხვევაში კი სასჯელის სახედ შესაძლოა გამოყენებულ იქნება სსკ-ის 52-ე მუხლი.

IV თავი სასამართლო და იუსტიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობა პალერმოს კონვენციის მიხედვით

4.1. კონფისკაციის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობა და დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლების განკარგვა

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების მატებამ და მისმა ხასიათმა აუცილებელი გახადა ქვეყნებს შორის მჭიდრო სამართლებრივი თანამშრომლობა. არაერთმა სახელმწიფო დანაშაულთან საბრძოლველად აირჩია პასუხისმგებლობის სახედ კონფისკაცია. მისი გამოყენება მნიშნელოვანია, როგორც დანაშაულის პრევენციისთვის და ასევე სასჯელის სახედ.

ვინაიდან პალერმოს კონვენცია საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით გლობალური მნიშვნელობის ინსტრუმენტია, ბუნებრივია, მასში განხილულია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის აუცილებელი ყველა ასპექტი, მათ შორისაა კონვენციის მე-13 მუხლი, რომელიც ეხება საერთაშორისო თანამშრომლობას კონფისკაციის მიზნით. აღნიშნული მუხლის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ კონვენციის მონაწილე სახელმწიფო მიიღებს მოთხოვნას დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების, ქონების, მოწყობილობების ან სხვა საშუალებების კონფისკაციის შესახებ, უნდა გადასცეს ეს მოთხოვნა თავის კომპეტენტურ ორგანოებს კონფისკაციის შესახებ დადგენილების მიღების მიზნით და ასეთი დადგენილების გამოტანის შემთხვევაში, უნდა მოიყვანოს იგი სისრულეში.[300] მოცემული მუხლის მიზანია საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაძლიერება, რაც მოიცავს მონაწილე სახელმწიფოებს ვალდებულებას, მოახდინოს ქონების კონფისკაცია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოსგან მიღებული მოთხოვნის საფუძველზე. ასეთი მოთხოვნის მიღების შემთხვევაში მოთხოვნის მიმღები

[300]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების, ქონების, მოწყობილობების ან სხვა ნებისმიერი საშუალებების გამოვლენის, პოვნის, დაყადაღების ან ამოღებისათვის, რათა მოხდეს მათი საბოლოო კონფისკაცია. კონვენცია ზედმიწევნით განსაზღვრავს, თუ რას უნდა შეიცავდეს ქონების ჩამორთმევის შესახებ მოთხოვნა, კერძოდ, აღწერილი უნდა იყოს ის ქონება, რომლის კონფისკაციასაც ითხოვს მონაწილე სახელმწიფო, ფაქტების ჩამონათვალს და ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მოცულობით უნდა შესრულდეს დადგენილება.[301]

მსგავსი მოთხოვნის არსებობა მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს არ ართმევს უფლებას, უარი თქვა ამ ღონისძიებაზე ან შეცვალოს ის. კონვენციის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მოთხოვნის მიმღებმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ქონების ჩამორთმევასთან/დაყადაღებასთან დაკავშირებული ზომები თავისი შიდა კანონმდებლობის და პროცესუალური ნორმების შესაბამისად, ან იმ ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულების, შეთანხმების თუ მორიგების შესაბამისად, რომელიც აკისრებს მას ვალდებულებებს მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფოს მიმართ.[302] მოთხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს უარი თქვას თანამშრომლობაზე, თუ დანაშაული, რომელსაც ეხება მოთხოვნა, არ წარმოადგენს წინამდებარე კონვენციის რეგულირების საგანს. აღნიშნული ჩანაწერით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კონფისკაციის/დაყადაღების მოთხოვნა ამ კონვენციის ფარგლებში შეიძლება მხოლოდ წარედგინოს მონაწილე სახელმწიფოს კონვენციით კრიმინალიზებულ მხოლოდ 4 კატეგორიის დანაშაულზე. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ შესაძლოა საქართველომ მიიღოს მოთხოვნა სხვა დანაშაულებთან დაკავშირებით, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, ქონების კონფისკაციის/დაყადაღების მოთხოვნით. ვინაიდან საქართველოს არის ევროპის საბჭოს 1990 წლის „ფულის გათეთრების,

[301]McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols,2007, 157.
[302] Ibid.

დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ კონვენციის“ მონაწილე სახელმწიფო.[303] დასახელებული ევროპის საბჭოს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები საერთო სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების საჭიროებაში, ასევე მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა მეთოდებზე თანხმდებიან, მათ შორის ერთ-ერთს წარმოადგენს დამნაშავეთათვის დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების ჩამორთმევა.[304]

აღნიშნული ევროსაბჭოს კონვენციის შესაბამისად, საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარება გულისხმობს დახმარებას გამოძიების ეტაპზე, ასევე კონფისკაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში დახმარებასაც, ისევე, როგორც გამოძიების ეტაპზე დახმარებასა.[305] გამოძიების ეტაპზე დახმარების მიზანია, დადგინდეს და მოძიებულ იქნას დანაშაულის შედეგად მიღებული ქონება, იარაღები, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს დანაშაულის გახსნას და ამგვარი დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების კონფისკაციას. კონვენცია, ასევე, ითვალისწინებს ნივთის/ქონების დაყადაღებას, როგორც უშუალოდ კონფისკაციის წინ გამოსაყენებელ ღონისძიებას.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორც პალერმოს კონვენცია, ისე ზემოაღნიშნული ევროპის საბჭოს კონვენცია შესაბამისობაშია „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონთან. აღნიშნული კანონი საერთაშორისო თანამშრომლობის თავლსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია. კანონი 2010 წელს არის მიღებული და „განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმეებზე

[303]ევროპის საბჭოს კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1216554?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[304] იქვე.
[305] იქვე.

სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის, ექსტრადიციის, სისხლის სამართლის საქმის მასალების ან მათი სათანადოდ დამოწმებული ასლების პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შემდგომი წარმოების მიზნით გადაგზავნის, განაჩენის აღსრულების, ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდის მიზნით გადაცემის (გადმოცემის) პროცედურებს."[306] აღნიშნულ კანონს 2018 წელს დაემატა ახალი თავი, რომელიც ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითად საკითებს აწესრიგებს, საინტერესოა ის ფაქტი, რომ მანამდე მოცემულ კანონში კონფისკაციასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამშრომლობის ასპექტში არაფერი იყო ნათქვამი. რაც შეეხება კანონის დღეს მოქმედ რედაქციას, „ჩამორთმევას ექვემდებარება დანაშაულის საგანი ან/და იარაღი, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი ან/და დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონება (ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, იურიდიული დოკუმენტი, რომელიც იძლევა უფლებას ქონებაზე), აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული ნებისმიერი სახის შემოსავალი ან მათი ღირებულების ეკვივალენტური ქონება,"[307] ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონება.[308]

საერთაშორისო თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავარი პროკურატურა. საქართველოს პროკურატურასა და უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს შორის ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით შესაძლებელია განხორციელდეს

---

[306]საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ საიტზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594?publication=10 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[307] იქვე.

[308]ჩამორთმევას ექვემდებარება დანაშაულის საგანი ან/და იარაღი, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი ან/და დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონება (ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, იურიდიული დოკუმენტი, რომელიც იძლევა უფლებას ქონებაზე), აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული ნებისმიერი სახის შემოსავალი ან მათი ღირებულების ეკვივალენტური ქონება.

სხვადასხვა სახის თანამშრომლობა, მათ შორის: ამოღება, ჩხრეკა, ქონებაზე ყადაღის დადება/ჩამორთმევა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს ჩამორთმევისადმი დაქვემდებარებული ქონების მოძიების, მათ შორის, საბანკო ანგარიშებისა და საბანკო გადარიცხვების თაობაზე ინფორმაციის მოძიება და მონიტორინგი.[309]

ეს არის ის ძირითადი ღონისძიებები, რასაც საქართველოს პროკურატურა ახორციელებს ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით. საქართველოს კანონის, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, 56^3-ე მუხლი ადგენს რეკვიზიტებს, რასაც უნდა შეიცავდეს კონფისკაციის შესახებ შუამდგომლობა, ისევე, როგორც ეს მოცემულია პალერმოს კონვენციის მე-14 მუხლში. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს ამ კანონით გათვალისწინებულ აუცილებელ რეკვიზიტებს, მათ შორის: ინიციატორი სახელმწიფოს დასახელებას, თხოვნის საგანს და მიზეზს, სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებების აღწერილობას, დანაშაულებრივი ქმედების სამართლებრივ კვალიფიკაციას და ქონების თაობაზე ინფორმაციას.[310] შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული და პასუხს უნდა სცემდეს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნას. რაც შეეხება პროცედურულ საკითხებს, პროკურატურა შუამდგომლობის მიღების შემდგომ, თუ უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანომ მოითხოვა დახმარების აღმოჩენა ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურა ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით.[311] განჩინება შესაძლოა გასაჩივრდეს როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო სასამართლოში, ქონების ჩამორთმევის შესახებ

---

[309]საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ საიტზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594?publication=10 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[310] იქვე.

[311] იქვე.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ჩამორთმეული ქონება დროებით შესანახად გადაეცემა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს.

როგორც ევროპის საბჭოს კონვენცია „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ," ასევე პალერმოს კონვენცია, კონფისკაციის შესახებ მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს აძლევს უფლებას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში უარი უთხრას მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოს დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ქონების ჩამორთმევაზე ან გადაავადოს პროცედურა. იგივე საფუძვლებია მოცემული „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" კანონში, რომელთა განხილვაზე აქ დეტალურად არ შევჩერდებით.

იმისათვის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულდეს ქონების ჩამორთმევა უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობის საფუძველზე, აუცილებელ პირობას წარმოადგენს უცხო სახელმწიფოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში დარღვეული არ იყოს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამგვარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას საქართველოს სუვერენიტეტს, უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან სხვა არსებით ინტერესს.

როცა ვსაუბრობთ საერთაშორისო თანამშრომლობაზე კონფისკაციის მიზნით, საინტერესოა, თუ როგორ რეგულირდება დანაშაულის გზით მიღებული კონფისკაციაქმნილი შემოსავლების ან ქონების განკარგვა.

პალერმოს კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით, დანაშაულებრივი გზით მიღებულ შემოსავლებს ან ქონებას, რომელთა კონფისკაცია მონაწილე სახელმწიფომ განახორციელა, თვითონ განკარგავს თავისი შიდა

კანონმდებლობის და ადმინისტრაციული პროცედურების შესაბამისად.[312] პალერმოს კონვენცია მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს ასევე აძლევს უფლებას, დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლები ან ქონება, ან მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები ან მათი ნაწილი გადაირიცხოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავრობათაშორის ორგანიზაციებში ან დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლები ან ქონება ან მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები გაუნაწილდეს სხვა წევრ სახელმწიფოებს.[313] მოცემული ჩანაწერი ემსახურება კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების ურთიერთდახმარების გაძლიერებას და საბოლოოდ, მათი უმთავრესი მიზნის მიღწევას - ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას.

მსგავსადაა საკითხი დარეგულირებული ევროპის საბჭოს კონვენციაში „ფულის გათეთრებისა და დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების კონფისკაციის შესახებ“ და საქართველოს კანონში „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“

საქართველოს პროკურატურა უფლებამოსილია ჩამორთმეული ქონების განაწილების შესახებ მოელაპარაკოს იმ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს, რომლის შუამდგომლობის საფუძველზედაც მოხდა ამ ქონების ჩამორთმევა.[314] ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქონების საერთო ღირებულება 40 000 ლარს არ აღემატება ან თუ მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფო უარს აცხადებს ჩამორთმეული ქონების მიღებაზე, ასეთ შემთხვევაში ჩამორთმეული ქონება საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში მიექცევა.[315]

---

[312] პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[313] საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ საიტზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594?publication=10 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[314] იქვე.

[315] იქვე.

ზემოაღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, საქართველოს პროკურატურას აქვს დისკრეციული უფლებამოსილება აწარმოოს მოლაპარაკება ჩამორთმეული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად უფრო დიდი ერთიანობის მიღწევაა საჭირო, რაც საერთო სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელებას გულისხმობს. ქონების კონფისკაცია მნიშვნელოვანია ორი ასპექტით, კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ქონების კონფისკაციას ერთგვარი პრევენციის ფუნქცია აქვს, ხოლო უკვე დანაშაულის ჩადენის შედეგად მოპოვებული ქონების ჩამორთმევა საერთაშორისო დონეზე აფერხებს ახალი დანაშაულების ჩადენას, ხელს უშლის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დაჯგუფებების გაძლიერებას და მეტიც - კონფისკაციაქმნილი ქონება, ისევ შესაძლოა გამოყენებული იქნეს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად.

4.2. ექსტრადიცია, დანაშაულის ჩამდენი პირის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების მზარდმა ტენდენციამ და ისეთმა გლობალურმა პროცესმა, როგორიცაა მიგრაცია, არაერთი სახელმწიფო გააერთიანა და განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა ექსტრადირების ინსტიტუტს. ექსტრადიცია საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების კიდევ ერთი სახეა, რომელიც გულისხმობს სხვა სახელმწიფოსთვის ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაცემას. ექსტრადირების ზოგადი წესი მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლში, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად

არ შეიძლება ექსტრადირებულ იქნენ სხვა სახელმწიფოში, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.[316] ზოგადი პრინციპის შესაბამისად, არ შეიძლება განხორციელდეს საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში სტატუსის მქონე პირის ექსტრადირება სხვა სახელმწიფოში. ეს წესი მოქმედებს ორი გამონაკლისის გარდა, პირველი - როცა, საქართველოსა და სხვა სახელმწიფოს შორის დადებულია შეთანხმება, რომელიც ამ წესისგან განსხვავებულ დათქმას ითვალისწინებს და მეორე, თუ ჩადენილია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ განსჯადი დანაშაულები. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემა ხორციელდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებით (რომის სტატუტით) და „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, რაზედაც დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ.

რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეების სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემას, ასევე საერთაშორისო სასამართლოსთვის გადაცემას, შესაძლოა ისინი ექსტრადირებულ იქნან სხვა სახელმწიფოში. ექსტრადიციის მესამე ძირითადი პრინციპი, რომელსაც სსკ-ის მე-6 მუხლში ვხვდებით, არის ის, რომ არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს.[317] ამ

[316]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=246, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[317] იქვე.

შემთხვევაში კანონმდებლის მიზანია, დაიცვას არა მარტო საქართველოს მოქალაქეები, არამედ სხვა ქვეყნის მოქალაქეები პოლიტიკური ნიშნით დევნისა და სიკვდილის დასჯისგან, რაც ბუნებრივია, ემსახურება კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლების დაცვას.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია ვნახოთ, პალერმოს კონვენციის მე-16 მუხლი, რომელიც უშუალოდ ექსტრადიციასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს აწესრიგებს, ასევე ექსტრადიციაზე საუბრისას მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს ერთის მხრივ საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც დეტალურად აწესრიგებს აღნიშულ საკითხებს, მეორე მხრივ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის პირის გადაცემის საკითხები, რომელიც რეგულირდება, რომის სტატუტით და „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

პალერმოს კონვენციის მე-16 მუხლის მოქმედება ვრცელდება ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებზე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ორგანიზებულ ჯგუფებში მონაწილეობა, მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა და კორუფცია) ან იმ შემთხვევებში, თუ ჩადენილია მძიმე დანაშაული, რომელიც ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს და თუ პირი, რომლის ექსტრადირებასაც მოითხოვენ, იმყოფება მოთხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, იმ შემთხვევაში თუ დანაშაული, რომელთან დაკავშირებითაც წარდგენილია ექსტრადირების მოთხოვნა, დასჯადია როგორც მოთხოვნის წარმდგენი, ისე მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოების კანონმდებლობით.[318] პალერმოს კონვენცია არ ითხოვს მხოლოდ კონვენციით კრიმინალიზებული ქმედებების ჩამდენი პირების ექსტრადირებას, მისი არეალი სცდება ამ ოთხი კატეგორიის დანაშაულს და

[318]McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols,2007, 175.

უშვებს კონვენციის გამოყენებას, სხვა მძიმე კატეგორიის დანაშაულების ჩამდენი პირების ექსტრადირებასაც.

ქვეყნებს შორის ექსტრადიციის საკითხი შეიძლება მოწესრიგდეს ექსტრადირების შესახებ ხელშეკრულებით, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, ექსტრადირების საფუძვლად შესაძლოა მივიჩნიოთ პალერმოს კონვენცია. ხოლო, ის მონაწილე სახელმწიფოები, რომელთა მიერ ექსტრადიციის განხორციელება დამოკიდებული არ არის შესაბამისი ხელშეკრულების არსებობაზე, ერთმანეთთან ურთიერთობისას, კონვენციით კრიმინალიზებულ ქმედებებს აღიარებენ ექსტრადირებად დანაშაულებად.[319]

რაც შეეხება უშუალოდ ექსტრადირების განხორციელებას, ექსტრადიცია ხორციელდება მოთხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით ან ექსტრადიციის მოქმედი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, რომელიც უნდა შეიცავდეს ექსტრადირებაზე, უარი თქმის საფუძველებს, ასევე ჩანაწერს ექსტრადიციის დაჩქარებულ წესებზე. პალერმოს კონვენციაში განხილულია ორი შემთხვევა, როცა მოთხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფო ითხოვს დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის გადაცემას სამართალწარმოების პროცესის განხორციელებისთვის. ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა სასჯელის აღსრულების მიზნით ხდება ექსტრადირების მოთხოვნა. ორივე შემთხვევაში მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს უფლება აქვს უარი თქვას ორივე საფუძვლით მოთხოვნილ ექსტრადირებაზე თუ საქმე ეხება თავისივე ქვეყნის მოქალაქეს. პირველ შემთხვევაში, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო ვალდებულია ბრალეული გაჭიანურების გარეშე გადასცეს საქმე კომპეტენტურ ორგანოებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.[320] ხოლო თუ მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო თავის მოქალაქეს გადასცემს სხვა

[319]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023.)
[320] იქვე.

სახელმწიფო, სამართალწარმოების განხორციელების მიზნით, ამ შემთხვევაში აუცილებელია დაცული იყოს ერთი პირობა, რომ ეს მოქალაქე დაბრუნებულ იქნება ამ მონაწილე სახელმწიფოში, იმ სასამართლო პროცესის ან სამართალწარმოების შედეგად გამოტანილი სასჯელის მოხდის მიზნით.[321] ხოლო მეორე შემთხვევაში, მოთხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფო განიხილავს მოთხოვნის წარმდგენი მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაკისრებული სასჯელის ან მისი ნაწილის აღსრულების შესაძლებლობას.[322] ეს არის ის ძირითადი საკითხები, თუ რა შემთხვევაში შეუძლია მონაწილე სახელმწიფოს უარი თქვას პირის ექსტრადირებაზე ან პირიქით, რა შემთხვევაში განახორციელოს ის.

ექსტრადირებისას მნიშვნელოვანია ისეთი პრინციპების დაცვა, რაც უზრუნველყოფს: სამართლიან მოპყრობას სამართალწარმოების ყველა ეტაპზე. პირის ექსტრადიციის მოთხოვნა მიზნად არ უნდა ისახავდეს დევნის განხორციელებას ან დასჯას სქესის, რასობრივი კუთვნილების, რელიგიური მრწამსის, მოქალაქეობის, ეთნიკური წარმომავლობის ან პოლიტიკურ შეხედულებათა გამო, ექსტრადიციის მოთხოვნის დაკმაყოფილებამ არ უნდა დაამძიმოს ექსტრადირებას დაქვემდებარებული პირის მდგომარეობა.[323]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექსტრადიციის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“. კანონით მოწესრიგებულია, როგორც საქართველოს მიერ სხვა სახელმწიფოსთვის ექსტრადირების მთხოვნის საფუძვლები, ასევე პირიქით, ექსტრადირებაზე უარის თქმის საფუძვლები და გამარტივებული ექსტრადირების პირობებიც. მათგან მხოლოდ ძირითად საკითხებზე გავამახვილებთ ყურადღებას. პირველ

[321]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023.)
[322] იქვე.
[323] იქვე

რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ექსტრადიციის მიზნით დროებითი დაპატიმრების ან ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვს საქართველოს პროკურატურას, ისეთი პირის მიმართ, რომელსაც ბრალად ედება იმგვარი დანაშაულის ჩადენა, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს ერთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას, ან რომელიც მსჯავრდებულია ამგვარი დანაშაულის ჩადენისათვის.[324] ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობით შესაძლებელია პირის დროებითი დაკავება ან უშუალოდ ექსტრადიცია. ორივე შემთხვევაში შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა შეიცავდეს კანონით გათვალისწინებულ აუცილებელ რეკვიზიტებს. კანონი არ განსაზღვრავს კონკრეტული სახის დანაშაულებს, რომელზედაც შესაძლოა განხორციელდეს ექსტრადიცია. აუცილებელ პირობას წარმოადგენს დანაშაული, რომლისთვისაც ხდება პირის ექსტრადირება სასჯელის სახით ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას 1 წლით, ან მსჯავრდებულ პირს შეფარდებული უნდა ჰქონდეს სულ ცოტა 4 თვე თავისუფლების აღკვეთა.[325] ექსტრადიციას არ ექვემდებარება შემდეგი სახის დანაშაულები: პოლიტიკური დანაშაული და სამხედრო დანაშაული, ექსტრადირებას ასევე არ შეიძლება დაექვემდებაროს საქართველოს მოქალაქეები (გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), თუ ექსტრადირებული პირის სასჯელის სახე ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას, თუ პირის მსჯავრდების შესახებ გადაწყვეტილება გამოტანილია დაუსწრებლად, ან თუ გასულია სსკ-ის კოდექსით გათვალისწინებული დანაშულისთვის ხანდაზმულობის ვადა.[326] კანონი გამორიცხავს ექსტრადირებას იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის ექსტრადიცია, თუ უკვე არსებობს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ან შეწყვეტილია

[324]სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კანონი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594?publication=10 , იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[325] იქვე.
[326] იქვე.

სისხლისსამართლებრივი დევნა.[327] კანონში „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, ასახულია ექსტრადიციის გამომრიცხავი ძირითადი გარემოებები. კერძოდ, არ შეიძლება პირის ექსტრადირება, თუ იგი პასუხისგებაში იქნება მიცემული ან დაისჯება მისი რასის, ეროვნების, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების ან სხვა მსგავს გარემოებათა გამო, ასევე თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ექსტრადირების შემდეგ პირი დაექვემდებარება წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს, რომელიც დაკავშირებული იქნება ამ პირის წამებასთან, მისდამი სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობასთან.[328] გამოდის, რომ ნებისმიერი საფუძვლით ექსტრადირებაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ექსტრადირებაზე უარის თქმას იმ მოტივით, რომ ექსტრადირებული პირი შესაძლოა დაექვემდებაროს წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას.

საინტერესო იქნება ვნახოთ ევროპულის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ექსტრადიციაზე უარის თქმას შეეხება. საქმეში სეორინგი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, განმცხადებელს ემუქრებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიცია, კერძოდ ვირჯინიის შტატში, სადაც მოქმედებდა სიკვდილით დასჯა.[329] ბრიტანული სასამართლოს გადაწყვტილებით, სეორინგის ექსტრადირება არ განხორციელდა ამერიკაში, არა სიკვდილის დასჯის საშიშროების გამო, არამედ იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულს, ამერიკაში ექსტრადირების შემთხვევაში „მოუწევდა დალოდებოდა სიკვდილს“.[330] რაც ევროპული სასამართლოს აზრით, ეგრეთ წოდებული “Death

---

[327]სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კანონი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594?publication=10 , იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[328]იქვე.

[329]ადამიანის უფლებათა პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2004, 162, http://oldtbappeal.court.ge/upload/r_854.pdf , (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[330]იქვე.

Row Phenomenon“[331] წარმოადგენდა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევა იქნებოდა. იმ შემთხვევაში, თუ სეორინგი იქნებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადირებული, აღნიშნული დაარღვევდა მის უფლებას და დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ მოპყრობას და დასჯას, რაც შესაბამისად პასუხისმგებლობას დიდი ბრიტანეთს დააკისრებდა.[332]

საქართველოს კანონი „სისხლი სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, ასევე არეგულირებს საექსტრადიციო პატიმრობის წესებს და პროცედურებს. კანონის 30-ე მუხლის მიხედვით, უცხო სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირის საქართველოს ტერიტორიაზე დაკავება და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ: არსებობს შუამდგომლობა პირის ექსტრადირების შესახებ, არსებობს ექსტრადირების მიზნით დროებითი დაკავების შესახებ შუამდგომლობა და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი საერთაშორისო დონეზეა ძებნილი.[333]

საექსტარადიციო პატიმრობის პროცედურები და მისი გასაჩივრების წესი რეგულირდება განსახილველი კანონით. გადაწყვეტილებას საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების შესახებ იღებს სასამართლო, ისევე, როგორც ყველა სასამართლო გადაწყვეტილება, ისიც უნდა იყოს დასაბუთებული. ერთ-ერთი ასეთი, საინტერესო, გადაწყვეტილება მიიღო 2022 წლის ოქტომბერში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. განჩინება ეხებოდა ისრაელის მოქალაქის საექსტრადიციო პატიმრობას. ისრაელის მოქალაქეს ბრალად

[331]ემოციური სტრესი, რომელსაც განიცდიან სიკვდილმისჯილი პატიმრები.

[332]ადამიანის უფლებათა პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2004, 162, http://oldtbappeal.court.ge/upload/r_854.pdf , (ბოლოს ნანახია 29.12.2022.)

[333]სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კანონი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594?publication=10 , იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ედებოდა 4 მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა და წითელი ცირკულარით[334] იძებნებოდა. ისრაელიდან მიღებულ მასალებში აღწერილი იყო პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და შუამდგომლობაში აღწერილი ქმედებები დასჯადი იყო როგორც საქართველოს სსკ-ით, ისე ისრაელის სისხლის სამართლის კოდექსით.[335] 2022 წლის აპრილში ისრაელის მოქალაქე შინაგან საქმეთა სამინიტროს თანამშრომლებმა დააკავეს და სასამართლომ მას 3-თვიანი პატიმრობა შეუფარდა, რომელიც ორჯერ გაგრძელდა და საბოლოოდ სასამართლომ ისრაელის მოქალაქე 2023 წლის იანვარამდე დატოვა პატიმრობაში.[336] დაკავებულის ადვოკატმა გაასაჩივრა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვდა, რომ არ უნდა განხორციელებულიყო ისრაელის მოქალაქის ექსტრადირება და ამის საფუძველი არ არსებობდა. ხოლო უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: „დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, ორმაგი დასჯის აკრძალვისა და ხანდაზმულობის პრინციპები, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.“[337] „ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა და მისმა ადვოკატმა ვერ მიაწოდეს სასამართლოს რაიმე მტკიცებულებები, რაც მის მიმართ ისრაელში რაიმე ნიშნით დევნის ეჭვს ან სამართლიანი სასამართლოს

[334]ინტერპოლის ფერადი ცირკულარის ერთ-ერთი სახეა წითელი ცირკულარი. იგი გამოიყენება ძებნილი პირების ადგილმდებარეობის დასადგენად და დასაკავებლად, მათი ექსტრადირების ან სხვა მსგავსი კანონიერი მოქმედებების განხორციელების მიზნით, დამატებით იხ. ინტერპოლის ოფიციალური გვერდი, https://www.interpol.int/en/How-we-work/Notices/View-Red-Notices (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[335]საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 2022, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/43939/2, (ბოლოს ნანახია 15/05/2023).

[336] იქვე.

[337] იქვე.

უფლების დარღვევის დასაბუთებულ ვარაუდს წარმოშობდა“.[338] უზენაესმა სასამართლომ შეაფასა საქმეში არსებული ყველა გარემოება და განჩინება დატოვა უცვლელი.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი სასამართლო გადაწყვეტილება „ალიევი საქართველოს წინააღმდეგ“. ალიევი იყო რუსეთის მოქალაქე, რომელიც იძებნებოდა ინტერპოლის მიერ. მისი დაკავება მოხდა ქ. ფოთში, რის შემდეგაც რუსეთის ფედერაციამ მოითხოვა მისი ექსტრადირება, ხოლო ექსტრადირების შესახებ შუამდგომლობა დააკმაყოფილა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ.[339] გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ეროვნული სამართალი არ აზუსტებდა ამგვარი გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალებას ალიევმა აღნიშნული გადაწყვეტილება მიიჩნია უკანონოდ და „გააპროტესტა“ საქართველოს უზენაეს სასამართლოში. უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა ნორმის ანალოგიის პრინციპით, რამაც საშუალება მისცა ალიევს მისი საქმე განეხილა რაიონულ სასამართლოს. არ დააკმაყოფილა რა რაიონულმა სასამართლომ ალიევის მოთხოვნა ექსტრადირების გაუქმებასთან დაკავშირებით, მან იმავე მოთხოვნით მიმართა უზენაეს სასამართლოს. უზენაესმა სასამართლომ ექსტრადირების შესახებ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ გენერალური პროკურატურა არ ფლობდა ექსტრადირებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტს, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ „რუსულ მხარეს მომჩივნის პატიმრობის გაგრძელების შესახებ არავითარი გადაწყვეტილება არ წარმოუდგენია“ ქართული მხარისთვის.[340]

---

[338]საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 2022, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/43939/2, (ბოლოს ნანახია 15/05/2023).

[339] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ალიევი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი № 522/04) სტრასბურგი, 2009, https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/s_winaagmdeg/alievi.pdf, (ბოლოს ნანახია 15/05/2023).

[340] იქვე.

ექსტრადიციაზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ საქართველოს კანონს „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც არეგულირებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს 1998 წლის 17 ივლისის წესდების – რომის სტატუტის საფუძველზე დაფუძნებულ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის საკითხებს, მათ შორის საერთაშორისო სასამართლოსთვის პირის გადაცემის წესს. საქართველოში საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლობის თაობაზე საერთაშორისო სასამართლოს თხოვნის მიღებას, თხოვნის შესრულებისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში, თხოვნათა შესრულებისთვის საქართველოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციას.[341] საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია, პირის დაკავების და გადაცემის მოთხოვნა მხარდამჭერ მასალებთან ერთად, გადასცეს ნებისმიერ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც ეს პირი შეიძლება იმყოფებოდეს და სთხოვოს ამ სახელმწიფოს თანამშრომლობა პირის დაპატიმრებასა და გადაცემაში.[342] მონაწილე სახელმწიფოებმა, ამ წესის და თავიანთი ეროვნული სამართლით განსაზღვრული პროცედურის თანახმად, უნდა შეასრულონ დაპატიმრებისა და გადაცემის მოთხოვნები. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქცია მხოლოდ ოთხი კატეგორიის დანაშაულზე ვრცელდება[343] და

[341]სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/12922?publication=9 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[342]იქვე.

[343]ეს დანაშაულებია: გენოციდი, დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ, სამხედრო და აგრესიის დანაშაულები.

ამგვარი კატეგორიის დანაშაულში მონაწილის დაპატიმრება ან გადაცემა რაიმე გამონაკლისს არ ითვალისწინებს.[344]

დამნაშავეების/ბრალდებული პირების ექსტრადირება როგორც საერთაშორისო სისხლის სასამართლოსთვის გადაცემა, ისე სხვა დანაშაულისთვის უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემა, ემსახურება ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გაძლიერებას. პალერმოს კონვენციის ზოგადი დებულებები და ძირითადი პრინციპები პირის ექსტრადირებასთან დაკავშირებით ასახული და განვრცობილია „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ყველა ის პროცესუალური საკითხი, რაც ექსტრადირებას უკავშირდება.

4.3. მსჯავრდებულ პირთა გადაყვანა

მსჯავრდებულ პირთა გადაცემა, სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, ემსახურება მსჯავრდებულთა უკეთეს რესოციალიზაციას და რეაბილიტაციას. ვინაიდან, შესაძლოა, მსჯავრდებულებს გარკვეული სახის პრობლემები შეექმნათ უცხო სახელმწიფოს საპატიმრო დაწესებულებაში. მათ შორის: ენის, კულტურის და რელიგიის თვალსაზრისით, ასევე უცხოეთში მყოფ პატიმრებს არ აქვთ კონტაქტი ახლო ნათესავებთან, რაც მათ რეაბილიტაციაზე უარყოფითად აისახება. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი მოხდეს მსჯავრდებულთა გადაცემა იმ სახელმწიფოსთვის, რომლის მოქალაქეები ან მუდმივად მცხოვრები პირები არიან. შედეგად სასჯელის მიზნებიც უკეთესად იქნება განხორციელებული.

---

[344]სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/12922?publication=9 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

პალერმოს კონვენცია, ისევე როგორც სხვა არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, „მონაწილე სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას, განიხილონ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დადების შესაძლებლობა თავიანთ ტერიტორიაზე იმ პირთა გადაყვანის მიზნით, რომელთაც კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მისჯილი აქვთ პატიმრობა ან თავისუფლების აღკვეთის სხვა ზომა, რათა ამ პირებმა სასჯელი მოიხადონ აღნიშნული მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფოს ტერიტორიაზე“.[345] დამატებითი პროცედურების შესახებ კონვენციაში არაფერია ნათქვამი, ამიტომ ის მეტ დაზუსტებას საჭიროებს. მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს მსჯავრდებული პირის გადაცემა, რომლის შესახებ მოთხოვნა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: განაჩენი უნდა იყოს საბოლოო, გადაცემის მომენტისთვის სასჯელის მსჯავრდებულს მოუხდელი ნაწილი უნდა იყოს მინიმუმ 6 თვე.[346] კონვენცია არ აკისრებს არც ერთ სახელმწიფოს ვალდებულებას დაეთანხმოს მეორე მხარის მოთხოვნას მსჯავრდებულის გადაცემასთან დაკავშირებით, ამიტომ, კონვენციაში არ არსებობს დებულებები უარის თქმის შესახებ.

რაც შეეხება კიდევ ერთ საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტს, ეს არის ევროპის საბჭოს კონვენცია „მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ,“[347] რომელიც მიღებულია სტრასბურგში, 1983 წლის 21 მარტს, ხოლო საქართველო მისი მონაწილე 1997 წლიდან გახდა. აღნიშნულ კონვენციას აქვს დამატებითი ოქმიც, რომელიც 1997 წელს არის მიღებული. დასახელებული ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად, კონვენციის მონაწილე მხარეები იღებენ ვალდებულებას აამაღლონ ფართო თანამშრომლობა მსჯავრდებულთა გადაცემის საკითხებში. პირი, რომელიც მსჯავრდებულ იქნა ერთი მხარის

---

[345] პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[346] McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols,2007, 192.

[347]ევროპის საბჭოს კონვენცია მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ, იხ. ევროსაბჭოს ვებ გვერდზე, https://rm.coe.int/16802ec944 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ტერიტორიაზე, შეიძლება გადაცემულ იქნას მეორე მხარის ტერიტორიაზე სასჯელის მოხდის მიზნით, ამისთვის, მსჯავრდებულს უფლება აქვს მიმართოს სასჯელის აღმასრულებელ მიმღებ სახელმწიფოს, რათა გადაცემული იქნეს მეორე სახელმწიფოსთვის, მოთხოვნა შეიძლება წარადგინოს ორივე სახელმწიფომ.[348] კონვენციის მიზნებისთვის მსჯავრდებული პირი შეიძლება გადაცემულ იქნეს მხოლოდ შემდეგი პირობების გათვალისწინებით, თუ:

1. პირი მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეა;

2. სასამართლოს განაჩენი საბოლოოა;

3. გადაცემის მოთხოვნის მიღების მომენტისთვის მსჯავრდებულს მოსახდელად რჩება სულ ცოტა 6 თვე ან პატიმრობა დაუმთავრებელია;

4. გადაცემა ხდება მსჯავრდებულის თანხმობით ან მისი გადაცემა ფიზიკური თუ გონებრივი მდგომარეობის გათვალიწინებით;

5. ერთ-ერთი სახელმწიფო, საჭიროდ თვლის, მსჯავრდებულის გადაცემას მისი იურიდიული წარმომადგენლის თანხმობით;

6. ჩადენილი ქმედება დასჯადია იმ სახელმწიფოში, სადაც ხდება მისი გადაცემა და სასჯელის აღმასრულებელი და მიმღები სახელმწიფოები თანახმა არინ გადაცემაზე.[349]

კონვენცია, ასევე ითვალისწინებს მსჯავრდებულის გადაცემის შემდეგ, მისთვის სასჯელის ვადის გაგრძელებას და განაჩენის შეცვლასაც, რომელთა განხილვაზე არ შევჩერდებით.

დავუბრუნდეთ ისევ საქართველოს კანონს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც არეგულირებს მსჯავრდებული პირების, სასჯელის მოხდის მიზნით, სხვა ქვეყნებისთვის გადაცემის წესებს. შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში საქართველოს მოქალაქესა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირს, რომლებიც თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ იქნენ

---

[348]ევროპის საბჭოს კონვენცია მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ, იხ. ევროსაბჭოს ვებ გვერდზე, https://rm.coe.int/16802ec944 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[349]იქვე.

უცხო სახელმწიფოში, უფლება აქვთ, მოითხოვონ სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით საქართველოში გადმოყვანა.[350] შესაბამისად, საქართველოში თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს უფლება აქვს, მოითხოვოს სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით მისი იმ სახელმწიფოსთვის გადაცემა, რომლის მოქალაქეც იგი არის.[351] მსჯავრდებულთა გადაცემას და გადმოცემის საკითხებს წყვეტს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.[352]

საქართველოს მოქალაქის გადმოცემის შემდეგ, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, მსჯავრდებული პირის მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდის მიზნით იწყება სპეციალური პროცედურა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 289-ე და 290-ე მუხლებით რეგულირდება. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდის საკითხს განსჯადობის დაცვით, მსჯავრდებულის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო.[353] უცხო სახელმწიფოს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების საკითხის განხილვისას სასამართლო ამოწმებს: არსებობს თუ არა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისთვის და

---

[350] სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კანონი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594?publication=10 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[351]იქვე.
[352] იქვე.
[353] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=246 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

განაჩენის აღსრულების შემთხვევაში, ხომ არ დაირღვევა ერთი და იმავე დანაშაულისთვის განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი.[354]

სასჯელის მოხდა იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები პირი არის მსჯავრდებული, როგორც პალერმოს კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში მსჯავრდებული პირების ისე სხვა კატეგორიის დანაშაულებზე, ემსახურება სასჯელაღსრულების ეფექტიან განხორციელებას. ისეთმა გლობალურმა მოვლენამ, როგორიცაა მიგრაცია და გლობალიზაცია, უფრო მეტად აქტუალური გახადა ზემოაღნიშნული საკითხი, მსჯავრდებულ პირთა გადაცემის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ის არის, რომ მსჯავრდებულები დაუბრუნდნენ თავიანთ ქვეყანას სასჯელის მოხდის მიზნით.

4.4. სამართლებრივი ურთიერთდახმარება

სამართლებრივი ურთიერთდახმარება, პალერმოს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს შორის, გულისხმობს გამოძიების ეტაპზე თანამშრომლობას. სამართლებრივი ურთიერთდახმარების მიზანია, ერთობლივი ძალისხმევით ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების გამოძიება და საპროცესო მოქმედებების სრულყოფილი ჩატარება. პალერმოს კონვენციის მე-18 მუხლი ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს, გაუწიონ ერთმანეთს მაქსიმალურად ფართო სამართლებრივ დახმარება ამ კონვენციაში მითითებულ დანაშაულთა გამოძიების, მათზე სისხლისსამართლებრივი დევნის და სასამართლო პროცესის განხორციელების მიზნით, ასევე, თუ ჩადენილია მძიმე კატეგორიის დანაშაული, რომელიც ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს.[355]

---

[354]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 85, https://library.iliauni.edu.ge/ebooks/saqarthvelos-siskhlis-samarthlis-saprotseso-kodeqsis-komentari (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[355] პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ასევე, თუ მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოს აქვს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ დაზარალებულები, მოწმეები, შემოსავლები, დანაშაულის ჩადენის საშუალებები ან მტკიცებულებები მოთხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზეა ლოკალიზებული და რომ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი.[356] ეს დებულება ემსახურება კონკრეტულად 4 კატეგორიის დანაშაულების და, ასევე სხვა ორგანიზებული დანაშაულების საერთაშორისო დონეზე გამოძიებასა და გახსნას.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს უწევთ თანამშრომლობა რიგი საპროცესო მოქმედებების ჩატარებაში, მათ შორის აღსანიშნავია: პირთაგან ჩვენების ან მტკიცებულების მიღება, სასამართლო დოკუმენტის გადაცემა, ჩხრეკა, ამოღება და დაყადაღება, ობიექტების და ადგილის დათვალიერება, ინფორმაცია ნივთიერი მტკიცებულებების და ექსპერტთა დასკვნების წარდგენა, შესაბამისი დოკუმენტაციის ასლების წარდგენა, ნივთმტკიცებების ამოცნობა ან ძებნა და მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფოს ორგანოებში შესაბამისი პირის ნებაყოფლობითი გამოცხადების უზრუნველყოფა.[357]

სამართლებრივი ურთიერთდახმარება არ გულისხმობს მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ დახმარებებს, მონაწილე სახელმწიფოებმა კონვენციის ფარგლებში შეიძლება ნებისმიერი სხვა სახის დახმარება გაუწიონ ერთმანეთს, თუ ეს არ იქნება წინააღმდეგობაში ეროვნულ კანონმდებლობასთან. სამართლებრივი დახმარება ასევე გულისხმობს, რომ მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს, წინასწარი მოთხოვნის გარეშე, შეუძლიათ გადასცენ ინფორმაცია სისხლისსამართლებრივი საკითხების შესახებ სხვა მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი თვლიან, რომ ასეთი ინფორმაცია დახმარებას გაუწევს ამ ორგანოებს გამოძიების და

[356] პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[357] იქვე.

სისხლისსამართლებრივი პროცესის განხორციელებას.[358] მოცემულ მუხლის მიზანია, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა სამართლებრივი დახარება გაუწიონ არა მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში, არამედ საკუთარი ინიციატივითაც, ვინაიდან ამან შესაძლოა დიდი როლი ითამაშოს სისხლის სამართლის პროცესის წარმატებით დასრულებაში.

კონვენციის მე-18 მუხლში ცალკე დებულების სახითაა გამოყოფილი და აქცენტი გაკეთებულია ისეთი დანაშაულების, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო პროცესში დახმარების შესახებ, რომელიც უშუალოდ იწვევს იურიდული პირის პასუხიმგებლობას. სავარაუდოა, რომ აგვარი ჩანაწერი ემსახურება თანამშრომლობას არა მხოლოდ პალერმოს კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების გამოსაძიებლად დახმარებაში, არამედ ნებისმიერ იმ კატეგორიის დანაშაულებზე გულისხმობს სამართლებრივ ურთიერთდახმარებას, რომელიც სანქციის სახით ითვალისწინებს იურიდიული პირების პასუხისმგებლობას.

პალერმოს კონვენცია უშვებს შესაძლებლობას, ქვეყნებს შორის სამართლებრივ ურთიერთდახმარებაში ჩაერთონ ის პირებიც, რომლებიც დაკავებული არიან ან სასჯელს იხდიან რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.[359] აღნიშნული დათქმა მიზნად ისახავს, რომ რაიმე საფუძვლით, მათ შორის პირის პატიმრობაში ყოფნის მოტივით, არ ეთქვას უარი მონაწილე სახელმწიფოს სამართლებრივ დახმარებაზე. პირი, რომელიც დაკავებულია ან სასჯელს იხდის ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე და რომლის ყოფნა სხვა მონაწილე სახელმწიფოში საჭიროა პირის იდენტიფიცირების, ჩვენების მიცემის ან სხვა სახის დახმარების გაწევის მიზნით, შეიძლება გადაყვანილ იქნეს ამ მონაწილე სახელმწიფოში.[360] ასეთ

---

[358]McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols,2007, 193.

[359] იქვე.

[360]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

შემთხვევაში, აუცილებელია რამდენიმე პირობის დაცვა, მათ შორის მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია: გადაყვანილი პირი ჰყავდეს პატიმრობაში და მოთხოვნის შემთხვევაში გადასცეს იმ სახელმწიფოს, საიდანაც იქნა გადაყვანილი, ხოლო ეს პერიოდი უნდა ჩაითვალოს სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.[361]

თითოეული მონაწილე სახელმწიფოს ჰყავს ცენტრალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი და უფლებამოსილია მიიღოს სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევასთან დაკავშირებული მოთხოვნები, შეასრულოს ან შესასრულებლად გადასცეს ისინი კომპეტენტურ ორგანოებს, ასეთად საქართველოში მიჩნეულია საქართველოს პროკურატურა.[362] ხოლო, რაც შეეხება მოთხოვნის ფორმას, კონვენცია დეტალურად განსაზღვრავს მის რეკვიზიტებს. ასეთი მოთხოვნისთვის გათვალისწინებულია წერილობითი ფორმა, რომლის შინაარსიც მოიცავს პირის შესახებ ინფორმაციას, საპროცესო მოქმედების ფორმასა და მიზანს განსაზღვრავს. მოთხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს, კონვენციის შესაბამისად, უფლება აქვს უარი თქვას სამართლებრივ დახმარებაზე რამდენიმე საფუძვლით, ესენია: თუ მოთხოვნა არ იყო წარმოდგენილი მისთვის განსაზღვრული ფორმის დაცვით, თუ მოთხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფო თვლის, რომ მოთხოვნის შესრულება გამოიწვევს მისი სუვერენიტეტის, უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის ან სხვა მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ინტერესების შელახვას და თუ სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ მოთხოვნის შესრულება ეწინააღმდეგება მოთხოვნის მიმღების მონაწილე სახელმწიფოს სამართლებრივ

[361]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[362]საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594?publication=10 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

სისტემას.[363] მაგრამ სამართლებრივ ურთიერთდახმარებაზე უარი უნდა იყოს მოტივირებული და დასაბუთებული.

ბოლოს, რაც შეეხება ვადებს, თუ რა დროში უნდა გაუწიონ სამართლებრივი ურთიერთდახმარება კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა, ასეთად მიჩნეულია შემჭიდროვებული ვადები. ასევე შესაძლებელია ამგვარი მოთხოვნის გადავადება იმ საფუძვლით, რომ ეს ხელს შეუშლის მიმდინარე გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას ან სასამართლო წარმოებას.[364] ეს არის ის ძირითადი პრინციპები და დებულებები, რომელიც პალერმოს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს სამართლებრივი ურთიერთდახმარება გაუწიოს ერთმანეთს, როგორც გამოძიების, ისე სამართალწარმოების ეტაპზე.

სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ". კანონში განსაზღვრულია ყველა ის ტექნიკური საკითხი, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივ ურთიერთდახმარებას მოითხოვს. აღნიშულ კანონში ცალკე არ არის გამოყოფილი ყველა ის საპროცესო მოქმედება, რომლის მოთხოვნაც შესაძლებელია სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფარგლებში. არც კონკრეტულად რომელიმე კატეგორიის დანაშაულზეა მითითება, რომელიც, როგორც ქართულ მხარეს, ისე სხვა სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას, შესაბამისი ხელშეკრულების,[365] არსებობის პირობებში მიმართონ ერთმანეთს

[363]საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594?publication=10 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[364] პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[365] სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ინდივიდუალური შეთანხმებით დადგენილი კომუნიკაციის არხებითა და საშუალებებით.

სამართლებრივი ურთიერთდახმარების მოტივით.[366] ამგვარი მოთხოვნის წარდგენის უფლება აქვს საქართველოს პროკურატურას, შუამდგომლობა უნდა იყოს წერილობითი ფორმით შედგენილი, რომლის რეკვიზიტებიც ემთხვევა პალერმოს კონვენციით ჩამოთვლილ რეკვიზიტებს, რაც ამგვარი მოთხოვნის დასაყენებლად არის განსაზღვრული.

სამართლებრივი ურთიერთდახმარების ერთ-ერთი ფორმა არის პირის დაკითხვა და გამოკითხვა ტექნიკური საშუალებებით, რაც კიდევ უფრო ამარტივებს ურთიერთანამშრომლობას. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, შესაძლებელია, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი მოწმის, ექსპერტის ან დაზარალებულის აუდიო - ან ვიდეო საშუალებების გამოყენებით გამოკითხვა/დაკითხვა.[367]

რაც შეეხება სამართლებრივ ურთიერთდახმარებაზე უარის თქმის საფუძვლებს, განვიხილავთ მხოლოდ პალერმოს კონვენციისგან განსხვავებულ საფუძვლებს. სამართლებრივ ურთიერთდახმარებაზე უარის თქმის საფუძველია, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა ისეთ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელსაც საქართველო მიიჩნევს პოლიტიკურ დანაშაულად ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად.[368] დანაშაული არ ჩაითვლება პოლიტიკურად, თუ დანაშაულის მიზნების, მოტივის, ფორმის, მეთოდების და სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებით სისხლის სამართლის ქმედების ნიშნები გადაწონის დანაშაულის ჩადენის პოლიტიკურ ასპექტებს.[369] პოლიტიკური დანაშაული, როგორც უარის საფუძველი არაერთ საერთაშორისო ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული, მათ შორისაა სისხლის

[366]საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594?publication=10 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[367]იქვე.
[368] იქვე.
[369] იქვე.

სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მეორე მუხლი.[370] რაც შეეხება იმას, თუ რა იგულისხმება ამგვარ დანაშაულში, ამას ყველა სახელმწიფო განსაზღვრავს შიდა დონეზე და ერთნაირი მიდგომა არ არსებობს. ყველაზე ფართოდ გავრცელებული პოლიტიკური დანაშაულად, მაგალითად, შეგვიძლია მივიჩნიოთ შეთქმულება ან ამბოხება კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ.

კიდევ ერთი უარის თქმის საფუძველი სამართლებრივ დახმარებაზე არის, როცა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის შესრულების შედეგად, შესაძლოა დაირღვეს ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით მსჯავრის დადების აკრძალვის პრინციპი.[371] როდესაც ვსაუბრობთ სამართლებრივ დახმარებაზე, მასში იგულისხმება საპროცესო მოქმედებებში სამართლებრივი დახმარება და არა პირის გასამართლება. ორმაგი მსჯავრდების პრინციპის გამოყენება, როგორც სამართლებრივ ურთიერთდახმარებაზე უარის თქმის მოტივი.

სამართლებრივი ურთიერთდახმარების მიზანია ეფექტიანი და სრული მოცულობით საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, სისხლისსამართლებრივი დევნის და სამართალწარმოების განხორციელება. თავისი ბუნებიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე კი, ამგვარ აუცილებლობას ქმნის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშულების გამოძიების სპეციფიკა, რაც ზრდის ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობას.

---

[370]ევროპის საბჭოს კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ, დამატებით იხ. https://rm.coe.int/16802ec853 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[371] საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594?publication=10 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

4.5. ერთობლივი გამოძიება და სისხლის სამართალწარმოების გადაცემა

მიუხედავად იმისა, რომ პალერმოს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, სამართლებრივი ურთიერთდახმარება გაუწიონ ერთმანეთს, მეტიც - კონვენციის მე-19 მუხლი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, დაინტერესებულმა კომპეტენტურმა ორგანოებმა შექმნან ერთობლივი საგამოძიებო ორგანოები იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც ექვემდებარება გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას ან სასამართლო წარმოებას ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოში.[372] ამ ჩანაწერის ამოსავალი დებულება ისევ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ხასიათია, რომელზედაც სისხლისსამართლებრივი დევნა ან სამართალწარმოება ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოში შეიძლება წარიმართოს. კონვენციის სხვა მუხლების მსგავსად ეს მუხლიც მიზნად ისახავს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას. ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას კი, შეუძლია ხელი შუწყოს ამგვარი დანაშაულების გახსნას და ეფექტიან გამოძიებას.

საგამოძიებო ჯგუფის წევრებს შეუძლიათ იმოქმედონ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. მთავარი პრინციპი კი, რაც უნდა დაიცვან საგამოძიებო ჯგუფის მონაწილე წევრებმა, არის - მონაწილე სახელმწიფოს სუვერენიტეტის სრული პატივისცემა, რომლის ტერიტორიაზეც უნდა ჩატარდეს ასეთი გამოძიება.[373]

რაც შეეხება ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის შესახებ ჩანაწერს ქართულ კანონმდებლობაში, მსგავსი ჩანაწერია „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში. ეს ჩანაწერი კანონში 2013 წელს გაჩნდა, რომლის მიხედვითაც, „თუ ჩადენილ დანაშაულთან

---

[372]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023.)

[373] McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols,2007, 209.

დაკავშირებით გამოძიების წარმოება მოითხოვს უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებთან კოორდინირებულ მოქმედებას, საქართველოს პროკურატურა უფლებამოსილია უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად, შექმნას ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფი."[374]

კიდევ ერთი მუხლი პალერმოს კონვენციაში, რომელიც ქვეყნებს შორის ურთიერთანამშრომლობას ეხება, არის კონვენციის 21-მუხლი, რაც მონაწილე სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას, გადასცენ ერთმანეთს სისხლის სამართალწარმოება (კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით) სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამგვარი გადაცემა ემსახურება მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესებს, კერძოდ, ისეთ საქმეებს, რომლებიც რამდენიმე სახელმწიფოს იურისდიქციასთან არის დაკავშირებული.[375] რაც შეეხება სამართალწარმოების გადაცემის პროცედურულ საკითხებზე პალერმოს კონვენციაში არაფერია ნათქვამი, მაგრამ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა უფლებამოსილია გააგზავნოს სისხლის სამართლის საქმის მასალები, შემდგომში პირის სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით, თუ: საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს არ გააჩნიათ დანაშაულის გამოძიების შესაბამისი იურისდიქცია, თუ ამ პირს საქართველოში ექსტრადირება და სისხლის სამართლის საქმის მასალების ან მათი ასლების გადაგზავნა ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას.[376]

---

[374]საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594?publication=10 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[375] პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023.)

[376]საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ საიტზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594?publication=10 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

საქართველოს კანონის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის მასალების გადაცემა დასაშვებია რამდენიმე საფუძვლით, რაც განასხვავებს მას პალერმოს კონვენციისგან. ვინაიდან, საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ არ მოიცავს თანამშრომლობას მხოლოდ პალერმოს კონვენციის ფარგლებში, იგი ეხება სისხლის სამართლის მასალების გადაცემას და ზოგადად სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას. ამით აიხსნება კანონში რამდენიმე საფუძვლის არსებობა, რაც სისხლის სამართლის საქმის მასალების გადაცემას უკავშირდება. მათ შორის ისეთი შემთხვევა, როცა საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს არ გააჩნიათ იურისდიქცია შესაბამისი დანაშაულის გამოძიებასთან ან პირის მიმართ სისხლის სამართალწარმოების განხორციელებასთან დაკავშირებით.[377]

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმის მასალების ან მათი სათანადოდ დამოწმებული ასლების უცხო სახელმწიფოში გადაგზავნის წესს, საქართველოს პროკურატურა აყენებს/იღებს შუამდგომლობას სისხლის სამართლის საქმის გადაცემის შესახებ, რომლის რეკვიზიტები განსაზღვრულია კანონით.[378] იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის საქმის მასალები უცხო სახელმწიფოში გადაგზავნილია იმ საფუძვლით, რომ საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს არ გააჩნიათ იურისდიქცია შესაბამისი დანაშაულის გამოძიებისთვის, ასეთ შემთხვევაში საქართველოს კომპეტენტური ორგანოები წყვეტენ სამართალწარმოებას გადაგზავნილ მასალებთან დაკავშირებით, ხოლო თუ სისხლის სამართლის საქმე გადაგზავნილია იმ საფუძვლებით, რომ პირი არ ექვემდებარება საქართველოში ექსტრადირებას ან მასალების გაგზავნა ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას, ასეთ შემთხვევაში ავტომატურად არ წყდება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა

[377]საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ საიტზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594?publication=10 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[378]იქვე.

ძირითად სისხლის სამართლის საქმეზე.[379] იგი უნდა შეწყდეს გადაგზავნილ მასალებთან დაკავშირებით უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შესახებ, საქართველოს პროკურატურის ინფორმირების შემდეგ.[380] ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პროკურატურა მიიღებს სხვა ქვეყნიდან სისხლის სამართლის საქმის მასალებს, იგი მას უგზავნის საქართველოს კომპეტენტურ ორგანოს მასზე სამართალწარმოების შემდგომი გაგრძელების მიზნით, ხოლო საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება შესაბამის სახელმწიფოს.[381]

საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფარგლებში მნიშვნელოვანია ყველა ის ღონისძიება, რასაც საქართველოს შესაბამისი უწყებები ახორციელებენ. ზემოაღნიშნული ღონისძიების მიზანია, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. სწორედ ამის ერთ-ერთი ხერხია მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების მიზნით სისხლის სამართალწარმოების გადაცემა.

---

[379]საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594?publication=10 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[380]იქვე.

[381] იქვე.

V თავი სამართალდამცავ (საპოლიციო) ორგანოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობა

5.1. სამართალდამცავ ორგანოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძვლები

სამართალდამცავ ორგანოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ პალერმოს კონვენციის მოქმედების სფერო მოიცავს სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობის ისეთ საკითხებს, როგორიცაა: გამოძიების სპეციალური მეთოდების განსაზღვრა, ნასამართლობის დადგენა, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის გაფართოებისკენ მიმართული ზომები, საერთაშორისო საპოლიციო ორგანოებთან თანამშრომლობა, ორგანიზებული დანაშაულის ხასიათის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, გაცვლა და ანალიზი, კადრების მომზადება და ბოლოს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების თავიდან აცილება.[382] აღნიშნული საკითხები 2013 წელს მიღებული „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“[383] საქართველოს კანონით რეგულირდება. კანონი არეგულირებს სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ისეთ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების გაცვლას, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებას და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ სხვა სფეროებს, რომლებშიც საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები თანამშრომლობენ საზღვარგარეთის ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამის

---

[382] პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[383]საქართველოს კანონი სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ. გვერდზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048477?publication=5 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

სტრუქტურებთან.[384] კანონი არ არეგულირებს სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის (ინტერპოლის) ფარგლებში, არც ევროპის პოლიციასა და საქართველოს შორის თანამშრომლობას,[385] აღნიშნული საკითხები რეგულირდება სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, რომელზედაც ცალკე თავში ვისაუბრებთ.

სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების ან სხვა შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების საფუძველზე, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში, კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით მიიღება ad hoc გადაწყვეტილება ან ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე განხორციელდება თანამშრომლობა.[386] რაც შეეხება სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელებას, იგი ხორციელდება „საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი კომუნიკაციის არხებითა და საშუალებებით, გამოიყენება შესაბამისი საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაციის ფარგლებში არსებული კომუნიკაციის პირდაპირი არხები ან მეკავშირე ოფიცრებისა და პოლიციის/უსაფრთხოების ატაშეების კავშირები“.[387]

მიზანშეწონილია, მოკლედ განვმარტოთ თითოეული მათგანი. საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, რაც ძირითად შემთხვევაში მათ შორის დადებულ ხელშეკრულებას ემყარება. ქვეყნებს შორის არსებული ორმხრივი შეთანხმება უზრუნველყოფს საპოლიციო ორგანოებს შორის მუდმივ კავშირს, ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის გაცვლას, გამოცდილების გაზიარებას,

---

[384]საქართველოს კანონი სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048477?publication=5 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[385]იქვე.
[386] იქვე.
[387] იქვე.

ოპერატიული და არაოპერატიულ თანამშრომლობას.[388] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემუშავებული აქვს სამოდელო ხელშეკრულება, რომლის საშუალებითაც სხვა ქვეყნებთან ამყარებს საპოლიციო თანამშრომლობას, როგორც უწყებათაშორის, ისე სამთავრობოთაშორისს.[389]

რაც შეეხება პოლიციის ატაშეებს და მეკავშირე ოფიცრებს, იგი განმარტებულია „საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში. კანონის მიხედვით, მეკავშირე ოფიცერი განიმარტება როგორც, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამის სტრუქტურაში მივლინებული პირი ან საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მოვლინებული პირი“.[390] ხოლო პოლიციის ატაშე განიმარტება, როგორც „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით საზღვარგარეთის ქვეყანაში აკრედიტებული საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში მივლინებული პირი ან საზღვარგარეთის ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოს მიერ საქართველოში აკრედიტებული თავისი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში მოვლინებული პირი“.[391]

„სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონზე საუბრისას, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს თანამშრომლობის ის ფორმები, რასაც ეს კანონი ეფუძნება. ზოგადად, სამართალდაცვით სფეროში

---

[388] შალვა კვინიხიძე, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის სამართალი ბრძოლა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან, (თბილისი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, 2022), 91.

[389]სამოდელო შეთანხმების ტექსტი იხ. შალვა კვინიხიძე, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის სამართალი ბრძოლა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან, (თბილისი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, 2022), 309.

[390]საქართველოს კანონი სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ. გვერდზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048477?publication=5 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[391] იქვე.

თანამშრომლობა ხორციელდება წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ შესაძლოა ის განხორციელდეს სპონტანურად, თუ რომელიმე ქვეყნის შესაბამისი სამართალდამცავი ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურა მიიჩნევს, რომ ინფორმაცია, რომელსაც ის ფლობს, შესაძლოა სასარგებლო იყოს საქართველოს ან საზღვარგარეთის ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოსათვის, ან საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურისათვის, იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული, გამოვლენილი ან აღკვეთილი დანაშაული.[392]

რაც შეეხება პალერმოს კონვენციას და საპოლიციო თანამშრომლობის საფუძვლებს, იგი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში გააძლიერონ და საჭიროების შემთხვევაში, შექმნან საკომუნიკაციო არხები.[393] კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების სამართალდამცავი ორგანოები თანამშრომლობის შესახებ დებენ ხელშეკრულებების, ასეთი დროს ხელშემკვრელი სახელმწიფოები კონვენციას განიხილავენ, როგორც სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობის საფუძველს. ასევე, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, გარდა შესაბამისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებებისა, გამოიყენებენ საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებს.[394]

როგორც პალერმოს კონვენციის, ისე საქართველოს კანონის „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა ეფუძნება ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, რაც ყველაზე მთავარია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა

---

[392]საქართველოს კანონი სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ. გვერდზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048477?publication=5 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[392]იქვე.

[393]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[394] იქვე.

უნდა შექმნან და გააძლიერონ საკომუნიკაციო არხები და საშუალებები, რაც ქართულ კანონმდებლობაში პოლიციის ატაშეების/მეკავშირე ოფიცრების ინსტიტუტის გაძლიერებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამართლებრივ თანამშრომლობაში გამოიხატება. ასევე, საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით, უმნიშვნელოვანესია სპონტანური თანამშრომლობა, რასაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების ევროპული კონვენციის მეორე ოქმი.[395]

5.2. საქართველოს თანამშრომლობა სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებთან

სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოუდგენელია ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გარეშე, როგორიცაა ინტერპოლი - კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICPO) და ევროპოლი - სამართალდაცვითი თანამშრომლობის ევროკავშირის სააგენტო (EUROPOL) .

ინტერპოლი არის საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია, მასში 195 სახელმწიფოა გაერთიანებული.[396] ინტერპოლის მიზანია, დაეხმაროს ორგანიზაციის წევრებს დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში და მსოფლიო უსაფრთხო ადგილად აქციოს.[397] ასევე, ინტერპოლის მიზანია, საერთაშორისო დონეზე ებრძოლოს კრიმინალს, მათ შორის ისეთ დანაშაულებს, როგორიცაა: ორგანიზებული დანაშაული, კორუფცია და სხვა მძიმე დანაშაულები.

საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში საქართველო, აქტიურად თანამშრომლობს ინტერპოლთან. საქართველოს

---

[395]სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2341951?publication=0, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[396]იხ. ინტერპოლის ოფიციალური საიტი, https://www.interpol.int/Who-we-are/What-is-INTERPOL, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[397] იქვე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დაქვემდებარებაშია ინტერპოლის ეროვნული ბიურო (სამმართველო). ბიუროს საქმიანობა ეფუძნება შსს მინისტრის 2014 წლის ბრძანებას[398] და მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულება მოიცავს: ინტერპოლთან, ევროპოლთან და სუამთან 24/7 საკონტაქტო პუნქტის ფუნქციის განხორციელებას. კერძოდ:

1. ოპერატიული და არაოპერატიული ინფორმაციის გაცვლა;
2. საზღვარგარეთის სახელმწიფოების სამართალდამცავი ორგანოებიდან დეპარტამენტში შემოსული მოთხოვნების მიღება და დამუშავება;
3. საზღვარგარეთის სახელმწიფოების სამართალდამცავ ორგანოებში მიმდინარე რეფორმების, აგრეთვე დამნაშავეობასთან ბრძოლის მეთოდიკისა და პრაქტიკის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
4. ინტერპოლის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების აღსრულება;
5. საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ოპერატიულ - სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელება;
6. საზღვარგარეთის სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებთან ერთად შექმნილი საგამოძიებო და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივ ჯგუფებში მონაწილეობა.[399]

რაც შეეხება ევროპოლს, იგი არის სამართალდაცვითი თანამშრომლობის ევროკავშირის სააგენტო, რომელიც ეხმარება ეროვნულ სამართალდამცავ

[398]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის (მთავარი სამმართველო) ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საქმიანობისა და თანამშრომლობის წესი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2647833?publication=3, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[399] შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, იხ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://info.police.ge/uploads/6204facaf3c46.pdf, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ორგანოებს სერიოზული საერთაშორისო დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.[400]

ევროპოლთან საქართველოს თანამშრომლობა ეფუძნება 2017 წლის საერთაშორისო შეთანხმებას საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ.[401] ევროპოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის, განსაკუთრებით ტრეფიკინგის და სხვა მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი თავიდან აცილება. ძირითადად საქართველოსა და ევროპოლს შორის თანამშრომლობა ემყარება ინფორმაციის გაცვლას. ევროპოლისთვის განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად, თანამშრომლობამ, შეიძლება მოიცვას სპეციალიზებული ცოდნის, ზოგადი ვითარების შესახებ ანგარიშების, სტრატეგიული ანალიზის შედეგების, სისხლის სამართლის საგამოძიებო პროცედურების, დანაშაულის თავიდან აცილების მეთოდების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, თანამშრომლობა მოიცავს ტრენინგებში მონაწილეობას, აგრეთვე, სისხლის სამართლის კონკრეტულ გამოძიებებთან დაკავშირებით რჩევის მიცემას და დახმარების აღმოჩენას.[402]

საერთაშორისო საპოლიციო ორგანოებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების გამოვლენის, გახსნის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის საქმეში.

---

[400]იხ. ევროპოლის ოფიციალური ვებ გვერდი, https://european-union.europa.eu/institutions-law-budget/institutions-and-bodies/institutions-and-bodies-profiles/europol_en, (last seen 12/05/2023).

[401] საერთაშორისო შეთანხმება საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/document/view/3767463?publication=1, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[402] იქვე.

5.3. პერსონალური მონაცემების დაცვა საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში

საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში განსაკუთრებული როლი ენიჭება პერსონალური მონაცემების დაცვას. პერსონალური მონაცემია - ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია მოხდეს პირის იდენტიფიცირება. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, კი განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამგვარი ინფორმაციის, შენახვის, დამუშავების და გადაცემის წესს. შესაბამისად, არსებობს არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს. ასეთია, ევროსაბჭოს კონვენცია „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“[403] და „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი ზედამხედველობით ორგანოებთან და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადინებასთან დაკავშირებით“.[404]

მიუხედავად იმისა, რომ პალერმოს კონვენცია მოიცავს, როგორც საპოლიციო, ისე იუსტიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობის მუხლებს, მასში არაფერია ნათქვამი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვას ისახავს მიზნად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის ევროპის საბჭოს კონვენცია „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას

[403] ევროსაბჭოს კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244845?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[404]პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი ზედამხედველობით ორგანოებთან და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადინებასთან დაკავშირებით, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2352161?publication=0, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“.[405] კონვენციის მიზანია, თითოეული პიროვნების უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფა თითოეული მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, კონკრეტულად კი, აუცილებელია კონფიდენციალობის დაცვის უზრუნველყოფა, რომელიც კონკრეტულ პიროვნებას შეეხება.[406] საქართველო აღნიშნული კონვენციის წევრია 2006 წლიდან.

რაც შეეხება ქვეყნის შიდა სამართლებრივ აქტებს, „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და გადაცემის წესს. ზემოაღნიშნული კანონის მე-20 მუხლის მიხედვით, თანამშრომლობის ფარგლებში, პერსონალური მონაცემების გადაცემა და დაცვა ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულებების და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) პერსონალური მონაცემები გამოყენებულ უნდა იქნას მიზნობრივად;

ბ) პერსონალური მონაცემები არ უნდა გადაეცეს მესამე მხარეს;

გ) პერსონალური მონაცემების მიმღებმა სამართალდამცავმა ორგანომ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მათ გადამცემ სამართალდამცავ ორგანოს პერსონალური მონაცემების გამოყენების შედეგების შესახებ;

დ) პერსონალური მონაცემები უნდა იყოს ზუსტი და განახლებული, ხოლო თუ ამგვარი მონაცემი არასწორია, ან არარის განახლებული პერსონალური მონაცემების მიმღებმა სამართალდამცავმა ორგანომ უნდა შეასწოროს და განაახლოს ისინი ან უნდა გაანადგუროს ისინი;

ვ) თუ არსებობს პერსონალური მონაცემების გამოყენების კანონიერი საფუძველი იგი უნდა განადგურდეს;

---

[405] ევროსაბჭოს კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244845?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[406] იქვე.

თ) პერსონალური მონაცემების გადამცემმა ორგანოებმა უნდა აღრიცხონ გადაცემული და მიღებული პერსონალურ მონაცემები;

ი) პერსონალური მონაცემების მიმღებმა სამართალდამცავმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მათი გადამცემი სამართალდამცავი ორგანოს მიერ მიწოდებული პერსონალური მონაცემების პერიოდული გადახედვა.[407]

„საქართველოს კანონით პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის 41-ე მუხლი არეგულირებს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემას. კანონის 41-ე მუხლის მიხედვით, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ კანონით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და თუ შესაბამის სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.[408] ასევე, იმ შემთხვევაში თუ: ამგვარი მონაცემების გადაცემა გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით და მონაცემების მიმღებ სახელმწიფოს აქვს მონაცემთა დამუშავების სათანადო გარანტიები.[409]

პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის შესახებ ნებართვის გაცემის წესს არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის იანვრის ბრძანება.[410]

---

[407]საქართველოს კანონი სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048477?publication=5 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[408]პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=24 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[409] იქვე.

[410]პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის თაობაზე ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5399667?publication=0 , (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ქვეყანაში რომ პერსონალური მონაცემების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება, ამას მოწმობს ზემოაღნიშნული კანონები და პერსონალურ მონაცემთა სამსახურის უფროსის ბრძანება. რაც ყველაზე მთავარია, ქვეყანაში არსებობს ცალკე დამოუკიდებელი სამსახური, რომელიც უშუალოდ ახორციელებს კონტროლს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებასა და ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, ასევე ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობაზე.[411]

5.4. გამოძიების სპეციალური მეთოდები და ნასამართლობის დადგენა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების გახსნის საქმეში. პირველი მუხლი პალერმოს კონვენციაში, რომელიც საპოლიციო თანამშრომლობას ეხება, არის მე-20 მუხლი, იგი არეგულირებს გამოძიებისას ისეთი სპეციალური მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა: კონტროლირებადი მიწოდება, ელექტრონული მეთვალყურეობა ან მეთვალყურეობის სხვა ფორმები, მათ შორის, აგენტურული ოპერაციები.[412]

კონტროლირებადი მიწოდება პალერმოს კონვენციის მიზნებისთვის განიმარტება, როგორც „მეთოდი, რომლის დროსაც დასაშვებია ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ტერიტორიიდან ან ტერიტორიის გავლით უკანონო ან საეჭვო ტვირთის შემოტანა ან გატანა, ამ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოების ნებართვითა და ზედამხედველობით, დანაშაულის გამოძიებისა და დამნაშავეთა გამოვლენის მიზნით“.[413] თავისი შინაარსიდან

[411]იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალური საიტი, https://personaldata.ge/ka/about-us (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[412] პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[413] იქვე.

გამომდინარე, აღნიშნული მეთოდი დიდ როლს თამაშობს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების გახსნაში. კონტროლირებადი მიწოდება გამოიყენება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში. შესაბამისად, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი იცნობს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების მიერ ღიად ან კონსპირაციის წესების დაცვით კონტროლირებად მიწოდებას.[414] რაც შეეხება საერთაშორისო დონეზე მის გამოყენებას, ამას არეგულირებს კანონი „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ.“[415] აღნიშნული კანონი განმარტავს კონტროლირებად მიწოდებას, რომლის თანახმადაც „მიღებული მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანო დანაშაულის პრევენციის, გახსნის ან/და დამნაშავეთა გამოვლენის მიზნით საქართველოს ფარგლებში, მის ფარგლებს გარეთ ან საქართველოს გავლით ახორციელებს შესაძლო ნივთიერი მტკიცებულების კონტროლირებად გადაადგილებას“.[416]

კონტროლირებადი მიწოდების შესახებ მოთხოვნის წარდგენას აქვს თავისი წესები, იგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას: ტვირთის შემადგენლობის, სავარაუდო მარშრუტის, გადაადგილების ხანგრძლივობის, სატრანსპორტო საშუალებების საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ, ინფორმაციას ესკორტირების სახის შესახებ, ასევე ინფორმაციას ესკორტირებაში მონაწილე პირების შესახებ და სხვა ისეთ ინფორმაციას, რაც დაკავშირებულია ტვირთთან და ოპერაციაში მონაწილე პირებთან.[417]

---

[414]საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/18472?publication=52 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[415] სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ზეპირსიტყვიერადაც, მოთხოვნაზე პასუხი უნდა გაიგზავნოს გონივრულ ვადაში. დამატებით იხ. სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდი https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048477?publication=5.

[416] საქართველოს კანონი სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048477?publication=5 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[417] იქვე.

კონტროლირებადი მიწოდების, თითოეულ შემთხვევასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან შეთანხმებით, ასევე ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.[418]

ოპერატიული საქმიანობის ეს ფორმა გახდა საკონსტიტუციო სარჩელის აღძვრის საფუძველი. კერძოდ, 2021 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა, მიმართა საკონსტიტუციო სასამრთლოს იმ საფუძვლით, რომ საკონტროლო შესყიდვა/მიწოდება წარმოადგენს დანაშაულის პროვოცირებას, ხოლო ამგვარი ქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები უნდა იქნას დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობილი, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას.[419] მოსარჩელეს მიაჩნია, რომ, „რადგანაც საკონტროლო შესყიდვა და კონტროლირებადი მიწოდება არ ექვემდებარება სასამართლო კონტროლს და ეფექტიან საპროკურორო ზედამხედველობას, მაღალია რისკი, სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულის გამოვლენისათვის ჩატარებულმა ოპერატიულმა ღონისძიებებმა, რეალურად, დანაშაულის პროვოცირება გამოიწვიოს“.[420] საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად და მიიჩნია, რომ „მოთხოვნის ამგვარად ფორმულირება, ეფუძნება კონსტიტუციური სარჩელის ავტორის მხრიდან სადავო ნორმების შინაარსის არასწორ აღქმას. სადავო ნორმების შინაარსი ამოიწურება საკონტროლო შესყიდვისა და კონტროლირებადი მიწოდების, როგორც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების სახეების, რეგლამენტირებით. ისინი არ არეგულირებენ სისხლის სამართლის საქმეზე

---

[418]საქართველოს კანონი სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048477?publication=5 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[419] საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, თბილისი, 2022. https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14478, იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ გვერდზე, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[420]იქვე.

მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, მტკიცებულებათა გამოკვლევის ნიუანსებს ან/და ამა თუ იმ მტკიცებულების განაჩენის საფუძვლად გამოყენების შესაძლებლობას."[421]

საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ამ ფორმას, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის გახსნის საქმეში, რადგან იგი მიმართული ისეთი დანაშაულების გამოძიებისა და გახსნისკენ, როგორიცაა საერთაშორისო ტრანზიტით იმგვარი ნივთების/ნივთიერების ბრუნვა, რომლის თავისუფლად გადაადგილება აკრძალულია. ამ ტიპის დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად და შესაძლო დანაშაულების გამოსავლენად არჩეულია თვით ამ დანაშაულის ჩადენის ხერხი, რაც ზრდის მისი გამოყენების აქტუალობას და ეფექტიანობას.

საპოლიციო თანამშრომლობის ამ სახეს კი ვხვდებით არაერთ საერთაშორისო სამართლებრივ აქტში, მათ შორის: „სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების ევროპული კონვენციის მეორე ოქმში"[422] და „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ" გაეროს კონვენციაში.[423]

რაც შეეხება საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის კიდევ ერთ სახეს, ესაა ნასამართლობის დადგენა. პალერმოს კონვენციის 22-ე მუხლის მიზანია, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში „ეჭვმიტანილის ნასამართლობის დადგენა". აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, განეკუთვნება განსაკუთრებული

---

[421] საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, თბილისი, 2022. https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14478, იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ გვერდზე, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[422]სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების ევროპული კონვენციის მეორე ოქმი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2341951?publication=0, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[423] გაეროს კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ, იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე https://police.ge/files/narkopolitika/18_UN_1988_Convention_Geo.pdf, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

კატეგორიის მონაცემს.[424] საქართველოს კანონში „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, ცალკე ფორმად არ არის გამოყოფილი ნასამართლობის დადგენა, ისე როგორც ეს მოცემულია პალერმოს კონვენციაში. მაგრამ ეს ფაქტი არ წარმოადგენს საპოლიციო თანამშრომლობაზე უარის თქმის საფუძველს. ზემოაღნიშნული კანონის მე-10 მუხლი ითვალისწინებს ინფორმაციის გაცვლასა და მიწოდებას, რომლის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს შესაბამის უწყებებს შეუძლიათ ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით გაცვალონ/მიაწოდონ ერთმანეთს სხვა ინფორმაცია და მონაცემები.[425]

5.5. სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის სხვა სახეები

პალერმოს კონვენციის 26-ე მუხლი ერთგვარი წამახალისებელი ნორმაა, რომელიც ემსახურება ორგანიზებული დანაშაულების შესახებ ინფორმაციის მიღებას ამგვარ დანაშაულებში მონაწილე პირებისგან. ბუნებრივია, აღნიშნული მუხლის მიზანი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების გახსნაა. ამაში კი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თვითონ დამნაშავეები, იმ კომპენსაციის სანაცვლოდ, რასაც მას სახელმწიფო სთავაზობს. ე.წ. ინფორმატორებმა კომპეტენტურ ორგანოებს უნდა მიაწოდონ შემდეგი სახის ინფორმაცია: დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ, მათი შემადგენლობის, ადგილმდებარეობისა და

[424]საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=24 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[425]საქართველოს კანონი სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048477?publication=5 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

საქმიანობის შესახებ, მათი კავშირების შესახებ, დანაშაულების შესახებ, რომლებიც ჩაიდინეს ან უნდა ჩაიდინონ ორგანიზებულმა ჯგუფებმა და ბოლოს ნებისმიერი ინფორმაცია, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფებისათვის რესურსების და დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ჩამორთმევას.[426]

მოცემული ჩანაწერიდან ორი ასპექტი შეგვიძლია გამოვყოთ ერთი არის უკვე ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მათ შორის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ეკონომიკური შესუსტების გზით, რასაც ქონების ჩამორთმევა ემსახურება და მეორე, სამომავლოდ, ჩასადენად დაგეგმილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. იმ შემთხვევაში, თუ პირი არსებითად თანამშრომლობს გამოძიებასთან, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება შეუმსუბუქონ ბრალდებულს სასჯელი ან მიანიჭონ იმუნიტეტი სისხლისსამართლებრივი დევნისგან.[427] ორივე ღონისძიება წამახალისებელია, ხოლო თუ რომელს გამოიყენებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულის ხასიათი, მასშტაბები იმის გათვალიწინებით, თუ რა მასშტაბების დანაშაული იქნა თავიდან აცილებული. აღნიშნული პირები ექცევიან მოწმეთა დაცვის ფარგლებში და მათზე სწორედ ის წესები გავრცელდება, რასაც მოწმეთა დაცვა გულისხმობს.[428]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც არის ასახული მსგავსი შინაარსის ნორმები, რაც ემსახურება ბრალდებულის სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას სასჯელისგან საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად. სსკ-ის 70[1]-ე მუხლის მიხედვით, როცა ბრალდებულის მიერ საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა

---

[426]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[427] იქვე.
[428] მოწმეთა დაცვის შესახებ იხ. მეორე თავი, გვ.93.

თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის/პირების ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით მოხერხდა ამ დანაშაულის გახსნისთვის მნიშვნელობანი პირობების შექმნა, სასამართლო უფლებამოსილია სრულად გაათავისუფლოს ბრალდებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.[429] ამ შემთხვევაში საქმე ეხება პირის ბრალდების ეტაპზე საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობას, ხოლო სსკ-ის 73[1]-ე მუხლის შემთხვევაში, უკვე შესაძლოა მსჯავრდებული პირი გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისგან პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე.[430] შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას – მსჯავრდებულის სასჯელის ვადის შემცირების ან სასჯელის სახის შეცვლის ან მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების თაობაზე.[431]

პალერმოს კონვენციის კიდევ ერთი მუხლი, რომელიც კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების სამართალდამცავ ორგანოებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას ეხება, არის 27-ე მუხლი. თითოეულ მონაწილეს სახელმწიფოს ავალდებულებს მიიღოს ეფექტური ზომები, რათა:

1. შექმნან საკომუნიკაციო არხები თავიანთ კომპეტენტურ ორგანოებს, დაწესებულებებსა და სამსახურებს შორის, რაც მოემსახურება ინფორმაციის უსაფრთხო და სწრაფ გაცვლას;

2. დაადგინონ ორგანიზებული დანაშაულების ჩადენაში ეჭვმიტანილ პირები, მათი ადგილსამყოფელი და საქმიანობა, ასევე ამგვარი დანაშაულების გზით მიღებული შემოსავლებისა და ქონების გადაადგილება ან დანაშაულების ჩადენისას გამოყენებული ან მომავალში გამოსაყენებლად გამიზნული ქონების, მოწყობილობის ან სხვა საშუალებების გადაადგილება.

---

[429]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=246, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[430]იქვე.

[431] იქვე.

3. გამოძიების ან ანალიზის მიზნით, წარმოადგინონ აუცილებელი საგნები ან საჭირო ნივთიერებები, თანამშრომლებისა და ექსპერტების, მათ შორის, უზრუნველყონ კავშირგაბმულობის სპეციალისტების გაცვლას;
4. სხვა სახელმწიფოებთან გაცვალონ ინფორმაცია დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების მიერ გამოყენებული კონკრეტული მეთოდების და საშუალებების შესახებ".[432]

ზემოაღნიშნული დებულებებიდან, შეგვიძლია გამოვყოთ ის ძირითადი საკითხები, რასაც ეყრდნობა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა. პირველი, ეს არის ინფორმაციის გაცვლა დანაშაულებრივი საქმიანობის და მასში მონაწილე პირების შესახებ, მეორე, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების ადგილმდებარეობის დადგენა, მესამე, მტკიცებულებების მიწოდება და თანამშრომლების გაცვლა და ბოლოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მეთოდებს იყენებენ დამნაშავეები ორგანიზებული დანაშაულების ჩასადენად.

„სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონი, სწორედ სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობის იმ პრინციპებს ეფუძნება, რასაც პალერმოს კონვენციით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული დებულებები. კანონის შესაბამისად, სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი კომუნიკაციის არხებითა და საშუალებებით.[433] დანაშაულების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები სხვა სახელმწიფოს სამართალდამცავ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ცვლიან სხვადასხვა სახის ინფორმაციას, მათ შორის:

---

[432]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[433]საქართველოს კანონი სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048477?publication=5 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ინფორმაცია და პერსონალური მონაცემები, რომლებიც ეხება ძებნისადმი დაქვემდებარებულ ან დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირებს, დამნაშავეთა კავშირებს, დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფების სტრუქტურას, ცალკეული დამნაშავეებისა და დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ გამოყენებულ ტიპურ მეთოდებს, ცეცხლსასროლი იარაღის შეძენას ან რეგისტრაციის ასევე, ავტოსატრანსპორტო საშუალების, გემის, საჰაერო ხომალდის, უძრავი ქონების საიდენტიფიკაციო მონაცემებსა და მისი მესაკუთრის ან მფლობელის პერსონალურ მონაცემებს, ასევე ინფორმაციას დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ქონების შესახებ.[434] გარდა ინფორმაციის გაცვლისა, სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობა მოიცავს, ძებნისადმი დაქვემდებარებული პირების ან/და საგნების ადგილმდებარეობის დადგენას, ასევე უცხო ქვეყნის ოპერატიული მუშაკის განთავსებას საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე ვიზუალური კონტროლის განხორციელებას, რომელზედაც არსებობს ვარაუდი, რომ ის მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში, ან იმ პირისა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი ზემოაღნიშნული პირის იდენტიფიკაციას და მისი ადგილმდებარეობის დადგენას.[435]

საქართველოს კანონი „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ ითვალისწინებს საპოლიციო დონეზე დანაშაულის გამოვლენისთვის ერთობლივი ჯგუფის შექმნას, რომლის მიხედვითაც, თუ:

1. ჩადენილი დანაშაული სცილდება ერთი ქვეყნის ფარგლებს და მისი გამოვლენა ერთი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოსათვის რთულია;

[434]საქართველოს კანონი სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048477?publication=5 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[435] იქვე.

2. ერთი და იმავე დანაშაულის გამოვლენის ღონისძიებები ერთზე მეტ ქვეყანაში ხორციელდება, რაც ამ ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების ერთობლივ მუშაობას მოითხოვს.[436]

აღნიშნული კანონი, ასევე ითვალისწინებს ოპერატიული მუშაკის განთავსებასაც, რაც გულისხმობს ორმხრივი საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში საზღვარგარეთის ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურის ოპერატიული მუშაკის განთავსებას საქართველოს ტერიტორიაზე, და პირიქით - საქართველოს სამართალდამცავი ორგანოს ოპერატიული მუშაკის განთავსებას საზღვარგარეთის ქვეყნის ტერიტორიაზე.[437]

შესაძლოა ითქვას, რომ საპოლიციო თანამშრომლობის ეს მოთხოვნები პალერმოს კონვენციის მოთხოვნებზე მეტიცაა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც საქართველოს კანონის „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ," ისე პალერმოს კონვენციის ზემოაღნიშნული მუხლების მიზანია, კონვენციის მონაწილე ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებს შორის, ასევე, საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამის სტრუქტურებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობა, ორგანიზებული დანაშაულების პრევენცია, მათი გამოვლენა და აღკვეთა.

5.6. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ხასიათის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, გაცვლა, ანალიზი, კადრების მომზადება და ტექნიკური დახმარება

როგორც წინა თავებში ვისაუბრეთ, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მნიშნელოვან როლს თამაშობს

[436]საქართველოს კანონი სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048477?publication=5 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).იქვე.
[437]იქვე.

იუსტიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, ისევე როგორც საპოლიციო თანამშროლობა. მაგრამ ტრანსნაციონალური დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად მხოლოდ ეს არ არის საკმარისი, ამისათვის აუცილებელია თეორიულ დონეზე ცოდნის გაცვლა და მონაწილე სახელმწიფოებს შორის მჭიდრო აკადემიური ურთიერთობის დანერგვა. პალერმოს კონვენციის 28-ე მუხლის მიხედვით, „თითოეულმა სახელმწიფომ სამეცნიერო და აკადემიურ წრეებთან კონსულტაციების მეშვეობით უნდა შეისწავლოს თავის ტერიტორიაზე ორგანიზებული დანაშაულის ტენდენციები, ის პირობები, რომლებშიც ორგანიზებულ დანაშაულს უწევს არსებობა და ამ საქმიანობაში ჩართული პროფესიული ჯგუფები და ტექნოლოგიები“.[438] ამ თანამშრომლობის ფარგლებში, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაუზიარონ ერთმანეთს ორგანიზებული დანაშაულის ტენდენციები და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიღებული ზომები.[439] აღნიშნული მუხლი ემსახურება საერთაშორისო თანამშრომლების განვითარებას, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც პალერმოს კონვენცია არეგულირებს, არის სამართალდამცავი მუშაკების გადამზადება, მათ შორის: პროკურორების, გამომძიებლების, საბაჟო ორგანოების თანამშრომლების, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების თავიდან აცილებაზე, გამოვლენასა და აღკვეთაზე. კადრების მოსამზადებელი პროგრამები უნდა ეხებოდეს ყველა იმ საკითხს, რაც მნიშვნელოვანია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, მათ შორის აღსანიშნავია: კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების პრევენცია, აღკვეთა, გამოვლენა, დანაშაულების ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა მარშრუტები და მათ მიერ გამოყენებული მეთოდები,

[438]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
[439]McMclean, Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols, 2007, 220.

კონტრაბანდის გადაადგილების კონტროლი, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების, ქონების და მოწყობილობების და ამ შემოსავლების, ქონების და მოწყობილობების გადაცემის, დაფარვის ან შენიღბვის სხვა საშუალებების და მეთოდების გამოვლენა და მონიტორინგი (კონტროლი).[440]

საქართველოს კანონის მიხედვით, „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, საქართველოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს შეუძლია, საზღვარგარეთის ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოსთან ითანამშრომლოს შემდეგ სფეროებში: ექსპერტების გაცვლა და მათი ტრენინგი, სხვადასხვა ერთობლივი ტრენინგების, კონფერენციების და სემინარების ჩატარება, გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება, კადრების პროფესიონალიზმის ამაღლება, სამეცნიერო კვლევის შედეგების გაზიარება, შესაბამისი ტექნიკით და მოწყობილობით დახმარება.[441]

რაც შეეხება საქართველოში არსებულ ვითარებას, „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგიის“ მიხედვით, დღესდღეობით სამართალდამცავი უწყებების სტრუქტურული ერთეულები აქტიურად თანამშრომლობენ სხვა ქვეყნებთან, საუკეთესო პრაქტიკისა და ცოდნის გაზიარების მიზნით. შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი აქტიურ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას, როგორც ოპერატიული, ისე ინსტიტუციური და საერთაშორისო საპოლიციო მიმართულების გაძლიერების გზით.[442] ზემოაღნიშნული სტრატეგიის მიხედვით, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ხარისხის გაუმჯობესების, მტკიცებულებების მოპოვების და შემდგომ მათი

---

[440]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[441]საქართველოს კანონი სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048477?publication=5 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[442]ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

სასამართლოში გამოყენების მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დარგის განვითარება ISO სტანდარტის შესაბამისად, ახალი ტექნოლოგიების შემოტანა და კადრების გადამზადება, ასევე მიმდინარეობს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მიმართულებით ადამიანური რესურსების გადამზადება და ამ მიმართულების ტექნიკური საშუალებების განვითარება.[443] კადრების მომზადებას და გადამზადებას დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს სხვადასხვ სამართალდამცავ უწყებაში, მათ შრის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს პროკურატურასა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში 2020 წელს შეიქმნა სასწავლო ცენტრი, რომელიც ემსახურება თანამშრომლების და სხვა სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების გადამზადებას, ასევე ცნობიერების ამაღლებას.

5.7. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილება

იმდენად, რამდენადაც, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებაა მნიშვნელოვანი, ასევე, ორმაგად მნიშვნელოვანია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილება და მისი პრევენცია. პალერმოს კონვენციის 31-ე მუხლი ეხება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილებას. იმისათვის, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული თავიდან იქნას აცილებული, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და შეაფასონ ეროვნული პროექტები და ხელი შეუწყონ ამ თვალსაზრისით საუკეთესო პრაქტიკის და პოლიტიკის

[443]ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ჩამოყალიბებას. დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფებს უნდა შეუმცირონ ლეგალურ ბაზარზე დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლებით სარგებლობის შესაძლებლობები.[444] უფრო კონკრეტულად კი, პალერმოს კონვენციის მიხედვით, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების პრევენციისთვის უნდა იქნას მიღებული შემდეგი ზომები: „სამართალდამცავ ორგანოებს ან პროკურატურასა და კერძო სამართლის შესაბამის იურიდიულ პირებს, მათ შორის, სამრეწველო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას უნდა გაძლიერდეს, რაც გულისხმობს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საჯარო რეესტრის წარმოებას, რომლებიც მონაწილეობენ იურიდიული პირების დაფუძნებაში, მართვასა და დაფინანსებაში, ასევე იმ პირთა ეროვნული რეესტრის შემოღება, რომელთაც აკრძალული აქვთ იურიდიული პირის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება“.[445]

პრევენციისთვის მომდევნო მნიშვნელოვანი ნაბიჯია, მსჯავრდებულთა საზოგადოებაში რეინტეგრაცია და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.[446]

რაც შეეხება საქართველოს მიდგომას და გამოწვევებს, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის პრევენციის კუთხით, მნიშნელოვანია ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. შეთანხმება, რომლის მიხედვით „მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება“ - საქართველოს ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრულია, ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ძალისხმევის გაგრძელება.[447] ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია, ძირითადად, სწორედ

---

[444]პალერმოს კონვენცია, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[445] იქვე.

[446]იქვე.

[447]ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ორგანიზებული დანაშაულების პრევენციას ისახავს მიზნად და ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში გარკვეული პრობლემები, სწორედ პრევენციული ღონისძიებების ნაკლებობით აიხსნება.[448]

უნდა აღინიშნოს პროექტები, როგორც მიმდინარე, ისე დასრულებული, რომელიც უშუალოდ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის პრევენციას ემსახურება. ერთ-ერთი ასეთი დასრულებული პროექტია, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვენების პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ (EPPCP), მისი მიზანი იყო საპოლიციო თანამშრომლობის გაზრდა ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის.[449] აღნიშნულ პროექტს ახორციელებდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ხოლო ბენეფიციარები საქართველოსთან ერთად იყვნენ: სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა, ბელორუსია.[450] რაც შეეხება მიმდინარე პროექტებს, უნდა აღინიშნოს, „სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ (TOPCOP) პროექტი, რომლის მიზანია სტრატეგიული და ოპერატიული თანამშრომლობის გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებსა და ევროკავშირის სააგენტოებს შორის. სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება, ორგანიზებულ და მძიმე დანაშაულთან ბრძოლის კუთხით.[451]

---

[448]ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია, იხ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[449]დამატებით იხილე შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ გვერდი, https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/saertashoriso-urtiertobebis-departamenti/donorta-koordinatsia/proeqtebis-shesakheb/ongoing-projects/aghmosavlet-partniorobis-qvenebis-politsiis-sferoshi-tanamshromloba, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

[450]იქვე.

[451]აღნიშნული პროექტი განხორციელდება 2020-2024წწ, დამატებით იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/saertashoriso-urtiertobebis-departamenti/donorta-koordinatsia/proeqtebis-shesakheb/ongoing-projects/topcop ასევე იხ. ვებ გვერდი https://www.cepol.europa.eu/international-cooperation/topcop. (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია: ორგანიზებული დანაშაულების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, შესაბამისი სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლების გადამზადება და მათვის უწყვეტ რეჟიმში ინფორმაციის მიწოდება დანაშაულის იმ ხერხებისა და მეთოდების შესახებ, რასაც ორგანიზებული ჯგუფები იყენებენ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში. ორგანიზებული დანაშაულის თვიდან აცილების საქმეში დიდ როლს თამაშობს დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ქონების კონფისკაციაც, ვინაიდან ეკონომიკური ფაქტორი გადამწვეტ როლს თამაშობს ამგვარი დანაშაულების მომზადებასა და განხორციელებაში.

დასკვნა

პალერმოს კონვენცია საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით უნიკალური და გლობალური მნიშვნელობის სამართლებრივი დოკუმენტია. იგი ემსახურება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და მიზნად ისახავს ამგვარი დანაშაულების პრევენციას. დღემდე არ არსებობდა სამეცნიერო ლიტერატურაში კვლევა, რომელიც უშუალოდ შეისწავლიდა და წინამდებარე ნაშრომის სახით ჩამოაყალიბებდა პალერმოს კონვენციის იმპლემენტაციის შედეგებს ქართული კანონმდებლობაში. ამ მხრივ, შესაძლოა, დისერტაცია მივიჩნიოთ სამეცნიერო სიახლედ, ხოლო მასში განხილული საკითხები აქტუალურად, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე ქვეყნის შიგნით.

ნაშრომში სხვადასხვა მეცნიერთა და მკვლევართა მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე, ასევე ორგანიზებული დანაშაულისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ნიშნების შედეგად, განისაზღვრა ორგანიზებული დანაშაულის ერთიანი ცნება. რაც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ორგანიზებული დანაშაული არის წინასწარი შეთანხმებით ჩადენილი დანაშაული, იმ პირთა ჯგუფის მიერ, რომელებიც გაერთიანებულნი არიან დიდი ხნის განმავლობაში და მოქმედებენ მათთვის მკაცრად დადგენილი წესებით, ახასიათებს იერარქიულობა და კონსპირაციულობა, დანაშაულის ჩადენის ძირითადი ხერხია ძალადობა ან ძალადობის მუქარა, ძირითადად, ამგვარი დანაშაულის მიზანია მატერიალური მოგების მიღება. ამგვარი განმარტება ერთიან და მეტნაკლებად სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის ორგანიზებული დანაშაულის შესახებ.

პალერმოს კონვენციის მიზანი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა იყო/არის საერთაშორისო დონეზე. იგი მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს 4 კატეგორიის დანაშაულებრივი ქმედების კრიმინალიზებას. მათ შორის ერთ-ერთია ორგანიზებული ჯგუფების

მიერ ჩადენილი დანაშაული. ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად ქართული კანონში არაერთი ცვლილება განხორციელდა. პალერმოს კონვენციის მოთხოვნას, მონაწილე სახელმწიფოებს მოეხდინათ ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი ქმედებების კრიმინალიზება, ქართულ კანონმდებლობაში ზედმიწევნით აისახა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, რომლის მიხედვით დასჯადი გახდა „კანონიერი ქურდობა“ და „ქურდული სამყაროს წევრობა“. მიუხედავად საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა, მაინც არის გარკვეული ხარვეზი კანონმდებლობაში და ქვეყნისთვის ისევ გამოწვევად რჩება ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულები. შემუშავდა კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“, რომლის მიზანია ებრძოლოს ორგანიზებულ დანაშაულს. აღნიშნული კანონი განმარტავს „კანონიერ ქურდს“, რაც საკანონმდებლო დონეზე უშვებს ისეთი ტერმინების გამოყენებას, რაც თავის თავთან მოდის წინააღმდეგობაში. სწორედ ამიტომ, დისერტაციაში შემოთავაზებულია მათ ნაცვლად გამოსაყენებელი ისეთი ტერმინები, როგორიცაა: დანაშაულებრივი გაერთიანება, დანაშაულებრივი გაერთიანების ხელმძღვანელი, შესაბამისად განსხვავებულია მათი დეფინიციაც. ტერმინების ახლებურად ჩამოყალიბება საბოლოოდ შეასუსტებს ამ ინსტიტუტის პოპულარობას და დროთა განმავლობაში დაკარგავს აქტუალობას.

ნაშრომში ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილ დანაშაულებთან ეფექტიანდ ბრძოლისთვის შემოთავაზებულია მორიგი რეკომენდაცია, რაც უშუალოდ „კანონიერი ქურდების“ მიერ სხვა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების ჩადენის შემთხვევაში ქმედების ერთობლივ კვალიფიკაციას მოიცავს. ასეთ დროს, შესაძლოა, სსკ-ის ისეთ მუხლებს, როგორიცაა ქურდობა, ყაჩაღობა და აშ. დამამძიმებელი გარემოების სახით დაემატოს ქმედება ჩადენილი „ქურდული სამყაროს“ მიზნის მისაღწევად, შესაბამისად საჭირო აღარ იქნება დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაცია.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზება, ერთ-ერთი იმ ქმედებათაგანია, რომლის კრიმინალიზებას ითხოვს პალერმოს კონვენცია. ფულის გათეთრება, როგორც ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ფორმა, აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, საფრთხეს უქმნის კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემოს შექმნას და აძლიერებს ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს. ფულის გათეთრების წინააღდეგ საბრძოლველად, საქართველოს კანონმდებლობა, ბოლო ათწლეულის განმავლობაში შეიცვალა და უამრავი საკითხი ახლებურად ჩამოყალიბდა. ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ზომების დახვეწა და ჩამოყალიბება არ ყოფილა მხოლოდ პალერმოს კონვენციის იმპლემენტაციის შედეგი, ვინაიდან საქართველო არის სხვა საერთაშორისო შეთანხმებების და ხელშეკრულებების მონაწილე, რომლებიც ითხოვს სხვადასხვა ხერხებით და მეთოდებით ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას. ფულის გათეთრება, როგორც დანაშაულებრივი ქმედების კრიმინალიზება, ისე მის წინააღმდეგ მიმართული პრევენციული მექანიზმების, საკანონმდებლო აქტების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია FAFT-ის რეკომენდაციებმა. რადგან იგი დეტალურად განსაზღვრავს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ზომებს და ასევე, ის არის განახლებადი დოკუმენტი, რაც ფეხს უწყობს და წინ უსწრებს ამგვარი დანაშაულების გამოვლენის ფორმებს. რაც შეეხება პალერმოს კონვენციის მოთხოვნებს, საქართველოს სსკ-ში კრიმინალიზებულია უკანონო შემოსავლების ლეგალიზება, ხოლო ამგვარი საქმიანობის შედეგად მიღებული ქონებით სარგებლობა/შეძენა/ფლობა/განკარგვა დასჯადი 2008 წლიდან გახდა. რაც შეეხება ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული პრევენციული ზომების იმპლემენტაციას, იგი ჩამოთვლილია „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“, საქართველოს კანონში. პალერმოს კონვენციის მოთხოვნა - მონაწილე სახელმწიფოებში არსებობდეს ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის და გავრცელების ცენტრი საქართველოში ჩამოყალიბდა, როგორც - ფინანსური მონიტორინგის სამსახური. ქვეყანაში

არსებული კრიმინოგენული ვითარების ფონზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკანონმდებლო ბაზების სრულყოფის მიუხედავად, ისევ გამოწვევად რჩება ორგანიზებული დანაშაულის ისეთი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორიცაა ფულის გათეთრება, რასაც ცხადყოფს ნაშრომში მოყვანილი სტატისტიკა და ამგვარი დანაშულების რიცხვის მატება.

კიდევ ერთი ქმედება, რომლის კრიმინალიზებასაც მოითხოვდა პალერმოს კონვენცია, არის კორუფცია და კორუფციული დანაშაულები. იგი ხელყოფს ქვეყნის განვითარებას ყველა სტრატეგიული და ძირითადი მიმართულებით, მათ შორის საფრთხეს უქმნის განათლების სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, ეკონომიკურ, სამართლებრივ და დემოკრატიულ განვითარებას. კორუფციასთან საბრძოლველად აღიარებულია ორი მიმართულება, ესაა კორუფციის პრევენცია და მისი კრიმინალიზება. პალერმოს კონვენციის მე-9 და მე-10 მუხლები სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ მოახდინოს კორუფციული ქმედებების კრიმინალიზება და ადრეულ ეტაპზე მოხდეს მისი პრევენცია. რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობაში კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ნორმების არსებობას და პალერმოს კონვენციის როლს ამაში, უნდა აღინიშნოს, რომ კონვენცია ერთ-ერთი პირველი იყო იმ საერთაშორისო ინსტრუმენტთაგან, რომელიც მონაწილე სახელმწიფოების კანონმდებლობაში მოითხოვდა ყოფილიყო ანტიკორუფციული ნორმები. შესაბამისად, კონვენციასთან შეერთების შემდეგომ სსკ-ში გაჩნდა ჩანაწერი ქრთამის შეთავაზების, როგორც დამთავრებულ დანაშაულად კვალიფიკაციის შესახებ. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციული ღონისძიებები და ფარგლები ემთხვევა დღევანდელი ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და ასევე მისი დამოუკიდებლობის სტანდარტსაც. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტებს. მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი და აქტუალურია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან საქართველო არის განვითარებადი ქვეყანა, საჯარო სამსახურებში დაბალია

სახელფასო ანაზღაურება, შესაბამისად კორუფციის რისკიც არის მაღალი. ამიტომ ამ მიმართულებით საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, ცნობიერების ამაღლებას, ბიუროკრატიის შემცირებას, თანამედროვე ტექნოლოგიების დახვეწას და პრევენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საბოლოოდ, კორუფციას შეუძლია დამანგრეველი შედეგები მოუტანოს სახელმწიფოს არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში, არამედ რამდენიმე წლის შემდეგაც კი.

დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელია მართლმსაჯულების სრულფასოვნად განხორციელების უზრუნველყოფა. რაც მოიცავს მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობას და ასევე პროცესის მონაწილეების დაცვის სპეციალური ღონისძიებებით სარგებლობის შესაძლებლობას. პალერმოს კონვენციის მოთხოვნა, კონვენციის მონაწილეებს დასჯადად გამოეცხადებინათ სამართალწარმოების პროცესში ნებისმიერი ფორმით ჩარევა, სიახლე არ იყო ქართული კანონმდებლობისთვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარი მოთხოვნა ემყარება კონვენციით კრიმინალიზებული ქმედებების მიმართ განხორციელებულ სამართალწარმოების პროცესს. რაც შეეხება პროცესის მონაწილეთა, როგორც მოწმეების, დაზარალებულების და სხვა პირების დაცვის მექანიზმებს, პრევენციული ფუნქცია აქვს. საქართველოს სსკ-ის 367-ე მუხლში შესული ცვლილება, დაცვის მოსარგებლე პირთა საიდუმლოების გაუხმაურებლობას ეხება, დანაშაულის სუბიექტს დაემატა დაზარალებული და მოწმე, რაც ნიშნავს იმას, რომ დაცვის სპეციალური საშუალებებით სარგებლობის უფლება აქვს პროცესის ყველა მონაწილეს და მათი დაცვის სპეციალური ღონისძიების შესახებ ინფორმაციის გახმაურება კრიმინალიზებული გახდა. ეს უკანასკნელი ჩანაწერი შეგვიძლია მივიჩნიოთ პალერმოს კონვენციის იმპლემენტაციის შედეგად. მოწმეთა და დაზარალებულთა დაცვის კუთხით, ასევე მართლმსაჯულების განხორციელების ხელის შეშლის კრიმინალიზების თვალსაზრისით, ქართულ კანონმდებლობაში არსებობს ყველა მექანიზმი, რაც

მართლმსაჯულების სრულფასოვნად განხორციელებას უზრუნველყოფს. ასევე არსებობს პრევენციული მექანიზმებიც, რომლებიც პროცესის მონაწილეთა დაცვას ემსახურება, ხოლო აღნიშნული მექანიზმები გამოიყენება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

პალერმოს კონვენციის მიხედვით, კიდევ ერთი მექანიზმი, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად არის იურიდიული პირებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა აღიარებულია, როგორც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საშულება. ამაზე მეტყველებს არაერთი საერთაშირისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც ითხოვს სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისთვის იურიდიული პირის პასუხისმგებლობას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ჩანაწერი 2006 წელს გაჩნდა. რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაშია პალერმოს კონვენციასთან და იზიარებს მითითებებს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესახებ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკითხის მხოლოდ საკანონმდებლო რეგულირება რეალურ შედეგს ვერ გამოიღებს, აუცილებელია მისი პრაქტიკაში გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა, შესაბამისი უწყების თანამშრომლების გადამზადება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. ასევე შესაძლებელია, იურიდიული პირის სასჯელის სახეების გაფართოება, რაც შესაძლებლობას მისცემს იურიდიულ პირს „გამოასწოროს შეცდომა“

ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად საკმარისი არ არის მხოლოდ გარკვეული ქმედებების კრიმინალიზება და პრევენციული ღონისძიებების არსებობა. საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია ებრძოლო ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს. ამის აუცილებლობა განაპირობებს, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებით

ნაკისრი ვალდებულება, ისე ამ დანაშაულების ხასიათი. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთ-ერთ საუკეთესო ხერხად მიიჩნევა უკანონონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა, ვინაიდან ამგვარი დანაშაულების ჩადენის/მომზადების დროს ქონების აკუმულირება ხდება სხვადასხვა ქვეყნებში, ამიტომ თითოეული მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ან ჩადენის შედეგად მოპოვებული ქონების კონფისკაცია/ყადაღა. პალერმოს კონვენცია ერთ-ერთი იმ საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი იყოს, რომელიც მოითხოვდა უკანონო და დაუსაბუთებელი, დანაშაულის შედეგად მოპოვებული ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ქონების კონფისკაციას. რაც შეეხება პალერმოს კონვენციის იმ ნორმატიული შინაარსის მუხლების იმპლემენტირებას ქართულ საკანონმდებლო აქტებში, რომლებიც არეგულირებს კონფისკაციის და ყადაღის წესებს, ყველა ძირითადი ასპექტი ასახულია, სისხლის და სამოქალაქო კოდექსში, ასევე კანონში „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“. მაგრამ მაინც რჩება რამდენიმე საკითხი, რაც დაზუსტებას და მეტ კონკრეტიკას საჭიროებს. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლში ქონების ჩამორთმევა გამოიყენება როგორც დამატებითი სასჯელის სახე, ხოლო ამავე მუხლში ნახსენებია სიტყვა „ბრალდებული“, ვინაიდან ბრალდებულის მიმართ ჯერ კიდევ არ არის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, შეუძლებელია მისთვის ქონების ჩამორთმევაზე საუბარი, ამიტომ მიზანშეწონილია სსკ-ის 52-მუხლში აღარ ეწეროს ტერმინი „ბრალდებული“, ბრალდების ეტაპზე გამოყენებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც უშუალოდ ნივთის დაყადაღებას გულისხმობს, ხოლო უკვე გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის შემთხვევაში კი სასჯელის სახედ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სსკ-ის 52-ე მუხლი. ასევე, პალერმოს კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსს დაემატოს ისეთი შინაარსის ჩანაწერი, რაც პროკურორს მისცემს

შესაძლებლობას მართლმსაჯულების განხორციელების ხელის შეშლაში მსჯავრდებული პირის მიმართ 10 წლის განმავლობაში ქონების კონფისკაციის მოთხოვნით აღძრას სარჩელი. ქონების ჩამორთმევის ღონისძიების გამოყენება საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში აფერხებს ახალი დანაშაულების ჩადენას, ხელს უშლის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დაჯგუფებების გაძლიერებას და მეტიც - ჩამორთმეული ქონება შესაძლოა გამოყენებული იქნეს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ექსტრადიცია არის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმა იგი გამოიყენება, როგორც ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთ მეთოდი. ამ ინსტიტუტის პოპულარობას განაპირობებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების მზარდი ტენდენცია. ექსტრადირების ინსტიტუტი ემსახურება საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას და სახელმწიფოების ერთიანი ძალებით ბრძოლას სხვადასხვა დანაშაულების წინააღმდეგ. პალერმოს კონვენციის მუხლი ექსტრადირების შესახებ, შესაბამისობაშია ქართულ სისხლის სამართლის კოდექსთან და ასევე „საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონთან.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, საერთაშორისო თანამშრომლობის რამდენიმე ხერხი არსებობს. პალერმოს კონვენცია კი დეტალურად აწესრიგებს მას. როგორც საპოლიციო, ისე სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობის მიზანია ებრძოლოს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს. მსჯავრდებულ პირთა გადაყვანა სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით ემსახურება სასჯელის მიზნების განხორციელებას. მსჯავრდებულ პირთა გადაყვანის საკითხის აქტუალობა განაპირობა ტრანსნაციონალური

დანაშაულის ხასიათმა და ისეთმა გლობალურმა, პროცესმა როგორიც მიგრაციაა.

რაც შეეხება გამოძიების ეტაპზე თანამშრომლობას, საერთაშორისო დონეზე, მისი მიზანია, ერთობლივი ძალისხმევით ბრძოლა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან და გამოძიების სრულყოფილი ჩატარება. დახმარებაში იგულისხმება ნებისმიერი ხასიათის სამართლებრივი დახმარება, კონვენცია რაიმე შეზღუდვას ან ფარგლებს ამ მხრივ არ აწესებს. სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის კიდევ ერთი ფორმაა სისხლისსამართალწარმოების გადაცემაა, რაც ასევე ემსახურება იმ მიზანს, რომ გამოძიება ჩაატაროს იმ ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ რომელსაც ამის მეტი შესაძლებლობა აქვს, როგორც ადამიანური რესურსის, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები, რაც დარეგულირებულია პალერმოს კონვენციით, სრულად ასახულია და მოწესრიგებულია „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს“ კანონში.

საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა და მისი როლი განუზომელია ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან საბრძოლველად. ქვეყნებს შორის საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა ეფუძნება საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, ასევე სპონტანურ თანამშრომლობას. საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის საფუძვლად კი შეგვიძლია მივიჩნიოთ პალერმოს კონვენცია, რომელიც საპოლიციო თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროს აწესრიგებს. იმისათვის, რომ საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა იყოს ეფექტიანი, აუცილებელია არსებობდეს საკომუნიკაციო არხები და საშუალებები, რაც ქართულ კანონმდებლობაში პოლიციის ატაშეების/მეკავშირე ოფიცრების ინსტიტუტის გაძლიერებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამართლებრივ თანამშრომლობაში შეიძლება გამოიხატოს.

საერთაშორისო საპოლიციო ბაზებში არსებული ინფორმაცია, როგორც ოპერატიული, ისე არაოპერატიული, ასევე საგამოძიებო მოქმედებებში დახმარება გულისხმობს მსოფლიოს ერთიანობას მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად. პალერმოს კონვენციის მონაწილე საერთაშორისო საპოლიციო ორგანოებთან თანამშრომლობის სრული დამოუკიდებლობა აქვთ, მეტიც ის მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულებთან ბრძოლის მიზნით ითანამშრომლონ საერთაშორისო საპოლიციო ორგანოებთან. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილია სპეციალური დანაყოფი, რომელიც უშუალოდ თანამშრომლობს საერთაშორისო საპოლიციო ორგანოებთან. ერთ-ერთი გამოწვევა, რაც ამგვარ თანამშრომლობას ახლავს როგორც საპოლიციო, ისე სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობას, ეს არის პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი. სამწუხაროდ, ეს საკითხი ქვეყნის შიგნითაც მწვავედ დგას. პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე კონტროლს ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური. მიუხედავად იმისა, რომ პალერმოს კონვენციაში არაფერია ნათქვამი საერთაშორისო თანამშრომლობის დროს პერსონალური მონაცემების დაცვაზე, საქართველოს ქვეყნის შიდა თუ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში საუბარია პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობისას, გამოიყენება არაერთი ხერხი და მეთოდი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ შორისაა: კონტროლირებადი მიწოდება, ელექტრონული თვალთვალი და სხვა აგენტურული ოპერაციები. კონტროლირებადი მიწოდება/საკონტროლო შესყიდვა მეტად საფრთხილო და ამავე დროს მნიშნელოვანი ხერხია დანაშაულის გამოვლენისა და გახსნისთვის, იგი სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას და ცოდნას მოითხოვს. პალერმოს კონვენციაში, გარდა კონტროლირებადი

მიწოდებისა, საპოლიციო თანამშრომლობის კიდევ ერთი ფორმაა, რაც ნასამართლობის დადგენას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ კანონში მსგავს ჩანაწერს ვერ ვხვდებით, ეს არ გამორიცხავს საერთაშორისო საპოლიციო თანამშროლობის ფარგლებში განხორციელდეს ინფორმაციის მიწოდება პირის ნასამართლობის შესახებ. ამის საშუალებას იძლევა, სისხლის „სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ სქართველოს კანონი, რომელიც უშვებს შესაძლებლობას საერთაშორისო საპოლიციო ფარგლებში მოხდეს სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაცვლა საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში.

ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულების გახსნა და გამოვლენა საერთაშორისო საპოლიციო და იუსტიციისა და სასამართლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია. მაგრამ, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებები, პრევენციის გარეშე მხოლოდ შედეგებთან ბრძოლა იგივეა სარეველა ბალახს მხოლოდ თავები მოაცალო. ხოლო პრევენცია და პრევენციული მექანიზმები ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ემსახურება ამგვარი დანაშაულების თავიდან აცილებას. პრევენციული ღონისძიებების არაერთი სახეა მოცემული პალერმოს კონვენციაში: მათ შორის, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი, გაცვლა, კადრების მომზადება და ტექნიკური დახმარება. ვფიქრობთ, რომ პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, აუცილებელია ორგანიზებული დანაშაულების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, შესაბამისი სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლების გადამზადება და მათთვის უწყვეტ რეჟიმში ინფორმაციის მიწოდება დანაშაულის იმ ხერხებისა და მეთოდების შესახებ, რასაც ორგანიზებული ჯგუფები იყენებენ.

დასასრულს კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალობა, რასაც მისი

მზარდი ტენდენცია განაპირობებს და პალერმოს კონვენციის როლი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ორივე შემთხვევაში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული საკანონმდებლო აქტების იმ ნორმების ჩამოყალიბებაში, რომლებიც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურება, პალერმოს კონვენციამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა, ხოლო ქვეყნისათვის ისევ გამოწვევად რჩება ბრძოლა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან. პალერმოს კონვენცია კი აუცილებლად უნდა განვხილოთ სხვა კონვენციებთან ერთობლიობაში, ისე როგორც ეს განხილულია ნაშრომში. ვინაიდან, პალერმოს კონვენციით დარეგულირებული საკითები მოწესრიგებულია სხვა რეგიონალური, მათ შორის ევროსაბჭოს კონვენციებით, ამიტომ მათი ერთიანობაში განხილვა უფრო ეფექტიან და მყარ სამართლებრივ საერთაშორისო სამართლებრივ გარანტს ქმნის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბიბლიოგრაფია

1. აღაპიშვილი, ირინა., ბესელია, გვანცა., ქარდავა, ეკატერინე., კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში: კორუფციული სამართალდარღვევა, ინტერესთა კონფლიქტი და თანამდებობრივი შეუთავსებლობა, მომზადებულია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ, 2022;
2. ბაძაღუა, მალხაზ. ჯგუფური დანაშაულობა საქართველოში, თბილისი 2021;
3. გარიშვილი, მარინა., ხოფერია, მარიამ, რომის სამართლის საფუძვლები, თბილისი: 2010, http://www.library.court.ge/upload/xoferia-garishvili-romi.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
4. თუმანიშვილი, გიორგი. შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, თბილისი: 2012 http://eprints.iliauni.edu.ge (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
5. თუთბერიძე, მარიამ. დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური - საქართველო და საერთაშორისო სტანდარტები, თბილისი, 2017, https://idfi.ge (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
6. კვინიხიძე, შალვა. საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის სამართალი (ბრძოლა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან), თბილისი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, 2022;
7. ლეკვეიშვილი, მზია., მამულაშვილი, გოჩა., თოდუა, ნონა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი I, თბილისი: მერიდიანი, 2019;
8. ლეკვეიშვილი, მზია., მამულაშვილი, გოჩა., თოდუა, ნონა. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი II, თბილისი: მერიდიანი, 2020;
9. მესხიშვილი, დავით. ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი დახასიათება საქართველოში, თბილისი, 2012, https://dspace.nplg.gov.ge, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

10. მესხიშვილი, დავით. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, სტატია. თბილისი 2011, N1(28)11;
11. ნაჭყებია გურამ., გორაშვილი გოჩა., მამულაშვილი გიორგი., თოდუა ნონა., გოგშელიძე რევაზ., სულაქველიძე დავით., დვალიძე ირაკლი, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი: შოთა რუსთაველის ფონდი, 2012, https://www.tsu.ge,(ბოლოს ნანახია 12/05/2023);
12. ოსაძე, ნინო. ტრანსნაციონალური დანაშაულობის ეკონომიკურ ფორმებთან ბრძოლის პრობლემები, თბილისი, 2015, https://dspace.nplg.gov.ge, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
13. ოხანაშვილი, ანრი. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ქართული და ზოგიერთი უცხოური კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი), (სამართლის ჟურნალი, N2,) 2009, http://library.law.tsu.ge/files/Publications/Samartlis_Jurnali_2009_2.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
14. ტურავა, მერაბ. სისხლის სამართალი დანაშაულის მოძღვრება, თბილისი: მერიდიანი, 2011;
15. ტყეშელიაძე, გ., ლეკვეიშვილი, მ., ნაჭყებია, გ., თოდუა, ნ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მეოთხე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2019;
16. ფაფიაშვილი, ლ., თუმანიშვილი, გ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, თბილისი: 2015, https://sdasu.edu.ge (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
17. ცხვედიანი, თ., კვაჭანტირაძე, დ., ნოსელიძე, ა. საკუთრების უფლების დაცვის გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში, 2019,

https://alfg.ge/wp-content/uploads/2020/07/kvleva.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

18. შალიკაშვილი, მორის. კრიმინოლოგია, თბილისი: მესამე გამოცემა, მერიდიანი, 2017;
19. შაშიაშვილი, გიორგი. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი პრობლემა, დისერტაცია, 2015 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/172502/1/Disertacia.pdf, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
20. ჩომახაშვილი, ქეთევან., ოსეფაშვილი, სალომე. მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2017, https://osgf.ge/files (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
21. ჯონსი, სტივენ. საქართველოს პოლიტიკური ისტორია პოლიტოლოგია, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013, https://dspace.nplg.gov.ge, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
22. ჯიშკარიანი, ბაჩანა. ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში, თბილისი: იურისტების სამყარო, 2013;
23. ადამიანის უფლებათა პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2004, http://oldtbappeal.court.ge/upload/r_854.pdf, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
24. დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის საფუძვლები პრაქტიკული სახელმძღვანელო სპეციალისტებისა და პროფესიული სწავლებისათვის, თბილისი: ინტერნეშენელ ჯენერალ სერვისი, 2021; https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/dec/books/aliashvili-danashauli-prevencia.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
25. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კოდექსის კომენტარები, https://sdasu.edu.ge/media/1001542/2017/12/16/6ef3a43b9a3432caef47ce80898b0e61, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სისხლის სამართლის საქმეებზე, (2014) https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-sisxli.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
27. Abadinsky, Howard. Law and Justice: An Introduction to the American Legal System, 6th ed, Upper Saddle River, NJ: Pearson, 2008;
28. Channing, May. Transnational Crime and the Developing World, 2017. (Global Financial Integrity https://www.gfintegrity.org/ (last seen 12/05/2023);
29. Dennis, Kenney., James Finckenauer., Organized Crime in America, (1995);
30. Edwards A., and Gill P., Transnational Organized Crime Perspectives on Global Security. London: Routledge, 2003;
31. Finckenauer, James., Problems of Definition: What is Organized Crime?, Trends in Organized Crime, 2005;
32. Godson R., Olson W. International Criminal Organization. Organized Crime: Contemporary Issues;
33. Hunter, Ronald., Dantzker, Mark., Crime & Criminality: Causes and Consequences, Upper Saddle River, NJ: Prentice Hall ,2002;
34. Hübschle, Annette. Organised Crime in Southern Africa, First annual review, Pretoria: Institute for Security Studies, 2010;
35. Heinrich-Boll-Stiftung, Regine Schonenberg, Transnational Organized Crime, Analyses of Global Challenge to Democracy, 2013;
36. Livey, Fiona Rebecca International legal framework for combating transnational organised crime, 2017;
37. James, Cockayne., Transnational Organized Crime: Multilateral Responses to a Rising Threat, by International Peace Academy, 2007;
38. Joseph, Albini., The American Mafia: Genesis of a Legend,New York: 1971;
39. James Finckenauer, Yuri Voronin, The Threat of Russian Organized Crime, Washington DC: National Institute of Justice, 2001;

40. James Gilbert, Criminal Investigation, (Upper Saddle River, NJ: Pearson PrenticeHall,(2007);
41. Klosek, Jacqueline. The Development of International Police Cooperation within the EU and Between the EU and Third Party States: A Discussion of the Legal Bases of Such Cooperation and the Problems and Promises Resulting Thereof, Article 1, Volume 14 | Issue 3, 1999;
42. Louise Shelley, Erik R. Scott and Anthony Latta.Organized Crime and Corruption in Georgia. (Published in association with the Transnational Crime and Corruption Center, American University, Washington, DC,) http://www.untag-smd.ac.id/ (last seen 12/05/2023);
43. McMclean.,David. Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols, Oxford Universitu Press, 1 st 2007;
44. Ortmeier, Introduction to Security, Operations and Management, 4th ed., Upper Saddle River, NJ: Pearson 2013;
45. Vermaaten, Hunter. Answering the Challenge of Transnational Organized Crime, Old Dominion University Model United Nation: 2017, https://ww1.odu.edu (last seen 12/05/2023);
46. Tenant, Ian. The Promise Of Palermo a political history of the UN Convention against Transnational Organized Crime, 2020, https://globalinitiative.net (last seen 12/05/2023);
47. Gless, Sabine, Police and Judicial Cooperation Between The Europe Union Members States, https://edoc.unibas.ch (last seen 12/05/2023);
48. WHITE PAPER on transnational organised crime, 2014.Council of Europe; Council of Europe, Crime Analysis: Organised crime - Best practice survey no. (Strasbourg, France: 2002),https://www.coe.int (last seen 12/05/2023);
49. The European Union and the United Nations Convention against Transnational Organised Crime, Working paper, 2001, https://www.europarl.europa.eu, (last seen 12/03/2023).

50. Wisnu Aryo Dewanto, Palermo Convention in our legal system: part of our national law or merely a source of law, Volume 12 Number 4 July 2015, https://media.neliti.com, (last seen 12/03/2023).
51. International standart on combating money laundering and the financing of terrorism and ploriferation, The FATF Recommendations, https://www.fat, (last seen 12/03/2023).
52. United Nations Conference of the Parties to the United Nations Convention against Transnational Organized Crime, 2008.
53. Legislation guide for implementation of the United Nations Convention Against Transnational Organized Crime, (United Nations Office on Drugs and Crime,2017)https://www.unodc.org/documents/treaties/Legislative_Guide_2017/Legislative_Guide_E.pdf (last seen 12/05/2023).
54. Council of Europe , Crime Analysis: Organised crime - Best practice survey no. Strasbourg: France, 2002;
55. Global Human Trafficking and the UN Convention against Transnational Organised Crime , https://heinonline.org (last seen 12/05/2023);
56. Legislative guides for the implementation og the united nations conventions against transnational organized crime and the protocols thereto. (UNITED NATIONS New York, 2004);
57. Law The Liability Of Legal Entities For Criminal Offences, "Official Gazette of the Republic of Serbia" (Serbia: Official Gazette of the Republic of Serbia, No. 97/08,2008)_https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Issues/Mercenaries/WG/Law/Serbia/LawOnLiability.pdf (last seen 12/05/2023).
58. Anti-money laundering and counter-terrorist financing measures Georgia Fifth Round Mutual Evaluation Report, 2020, https://www.fms.gov.ge/eng/news/133 (last seen 12/05/2023);
59. Standing, André., Transnational Organized Crime and the Palermo Convention: A Reality Check, International peace institute: 2010, https://www.ipinst.org/wp

content/uploads/publications/e_pub_palermo_convention.pdf (last seen 12/05/2023);

60. Protocol against the Illicit Manufacturing of and Trafficking in Firearms, Their Parts and Components and Ammunition, supplementing the United Nations Convention against Transnational Organized Crime, https://treaties.un.org/, (last seen 07/01/2022);
61. Naples Political Declaration and Global Action Plan against Organized Transnational Crime, https://digitallibrary.un.org,(last seen12/05/2023);
62. United Nations Convention against Corruption, 2004, https://www.unodc.org, (ბოლოს ნანახია 07/06/2023);

ნორმატიული აქტები:

63. ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონი, 2004, https://matsne.gov.ge/ka/document/view/27814?publication=1 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
64. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984, https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=511 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
65. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, https://matsne.gov.ge/ (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
66. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=152 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
67. საქართველოს კანონი ოპერატიული საქმიანობის შესახებ, 1999, https://matsne.gov.ge/ka/document/view/18472?publication=52 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
68. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997, https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=122 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

69. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=156 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
70. საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, 2010, https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594?publication=10 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
71. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ, 2003, https://matsne.gov.ge/ka/document/view/12922?publication=9 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
72. სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, 2013, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048477?publication=5 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
73. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონი, 2003, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=7, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
74. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონი, 2019, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=7#DOCUMENT:1, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
75. საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონი, 1997, https://matsne.gov.ge/ (ბოლოს ნანახია 07/06/2022);
76. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=81 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

77. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი, 2012, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=24 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
78. საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, 2015, https://matsne.gov.ge/ (ბოლოს ნანახია 07/06/2022);
79. პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის თაობაზე ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, 2022, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5399667?publication=0, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
80. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და უნგრეთის მთავრობას შორის დანაშაულის თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1852054?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
81. საერთაშორისო შეთანხმება საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის, https://matsne.gov.ge/document/view/3767463?publication=1, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).
82. გაეროს კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, 2000, https://matsne.gov.ge, (ბოლოს ნანახია 02/01/2022);
83. ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და სასჯელთა დადგენის შესახებ, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1394035?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

84. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის ოქმი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის აღკვეთის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1209390?publication=0, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
85. კორუფციაზე სისხლის სამართლის გაეროს კონვენცია, იხ. https://police.ge, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
86. გაეროს კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, 1988. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2540250?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
87. პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი ზედამხედველობით ორგანოებთან და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადინებასთან დაკავშირებით, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2352161?publication=0, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
88. სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2341951?publication=0, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
89. ევროპის საბჭოს კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ, https://rm.coe.int/16802ec853 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
90. ევროსაბჭოს კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244845?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

91. ევროპის საბჭოს კონვენცია, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ 2005, ttps://matsne.gov.ge/ka/document/view/2345907?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
92. ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1203547?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
93. ევროპის საბჭოს კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ, 2005, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1216554?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
94. ევროსაბჭოს კონვენცია მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ, https://rm.coe.int/16802ec944, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);
95. ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2608263?publication=0, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

ანგარიშები, დებულებები და სტრატეგიები

96. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0 (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

97. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3660371?publication=0 ბოლოს ნანახია 12/05/2023;

98. საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგია, https://pog.gov.ge/uploads/7f5da215-saqarTvelos-prokuraturis-2022-2027-wlebis-strategia, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

99. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია, 2019, http://procurement.gov.ge (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

100. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2284180?publication=3, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

101. საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის ანგარიში, https://pog.gov.ge/page/default/saprokuroro-sabWosTvis-wardgenili-angarishebi (ბოლოს ნანახია 12/05/2023),

102. საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის ანგარიში, https://pog.gov.ge/page/default/saprokuroro-sabWosTvis-wardgenili-angarishebi (ბოლოს ნანახია 12/05/2023),

103. 2021 წელს განხორციელებული დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების ანგარიში, თბილისი, http://www.csb.gov.ge/ (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

104. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და მისი შესრულების კოორდინაციის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების

შესახებ,https://matsne.gov.ge/ka/document/view/2150844?publication=4, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

105. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4374126?publication=0, (ბოლოს ნანახია 12/05/2023).

106. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულება, ვრცლად იხ. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის https://www.fms.gov.ge/Uploads/files/Samsaxuris_debuleba_26.12.2019.pdf (ბოლოს ნანახია, 12/05/2023);

107. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანტიკორუფციული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5745658?publication=0 (ბოლოს ნანახია, 12/05/2023);

108. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/104218?publication=6, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

109. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის (მთავარი სამმართველო) ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საქმიანობისა და თანამშრომლობის წესის დამტკიცების შესახებ, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2647833?publication=3, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

110. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ https://info.police.ge/uploads/6204facaf3c46.pdf, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

სასამართლო პრაქტიკა:

111. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვტილება „აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ, სტრასბურგი, 2014, https://www.supremecourt.ge/ (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

112. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ალიევი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი № 522/04) სტრასბურგი, 2009, https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/s_winaagmdeg/alievi.pdf, (ბოლოს ნანახია 15/05/2023).

113. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №1/ბ-128-17, 2017, http://library.court.ge/judgements/69892017-10-27.pdf (ბოლოს ნანახია12/05/2023);

114. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, №558აპ-18, 2019, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

115. საქმე „გოგიტიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, სტრასბურგი, 2015, https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saqartvelos-winaagmdeg-gogitidze-da-sxva.pdf (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

116. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 2022. https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/43939/2, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

117. საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2022. https://www.constcourt.ge/ka/judicialacts?legal=14478, (ბოლოს ნანახია 12/05/2023);

ინტერნეტ რესურსები:

118. https://www.cepol.europa.eu/international-cooperation/topcop;
119. https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/saertashoriso-urtiertobebis-departamenti/donorta-koordinatsia/proeqtebis-shesakheb/ongoing-projects/topcop;
120. https://www.cepol.europa.eu/international-cooperation/topcop;
121. https://iep.utm.edu/rene-descartes/;
122. https://sputnik-georgia.com/20230326/qurdul-samyarostan-brzola-sss-statistika;
123. www.geostat.ge;
124. https://police.ge/ge;
125. https://financialcrimeacademy.org/the-history-of-money-laundering-and-its-origins/#mcetoc_1fg4smuac0
126. http://genia.ge/?p=10547
127. https://kyc-chain.com/the-history-of-money-laundering;
128. https://kyc-chain.com/the-history-of-money-laundering;
129. https://www.fms.gov.ge/;
130. https://www.fatf-gafi.org/en/home.html;
131. https://www.rcn.org.uk/Get-Involved/Campaign-with-us/Prevention-is-better-than-cure;
132. https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-koruphtsiis-donis-reitingshi/;
133. https://www.oecd.org/corruption-integrity/explore/oecd-standards/anti-bribery-convention/;
134. https://www.usmarshals.gov/witsec/;
135. https://blog.ipleaders.in/witness-protection-programs-around-the-globe/;
136. https://www.usmarshals.gov/witsec/;
137. https://assetsrecovery.go.ke/;
138. https://www.interpol.int/en/How-we-work/Notices/View-Red-Notices ;
139. https://www.interpol.int/Who-we-are/What-is-INTERPOL.